

ქვეყნის გაზეთი



საქართველოს
მედიკალთა
კავშირის
გაზეთი
№2 (257)
1-31 მარტი
2017
ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავი მომსახურე



მაყვალა გონაშვილი

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ
ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით ავიგისათ
სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას
ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.

როდესაც ერი ირწუნოდა, ვითარც ლერწამი,
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ
აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ,
სინამდის მცველო,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო.

მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბენვიც
არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნანამები, სევდით ამევსო,
მადლობელი ვარ ნუგეშისთვის,
მწყემსო კეთილო,
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.

ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის
გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით,
სიყვარულის მასწავლებლო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

ქვის კარიბჭე

მზე დაიღვენთა,
ქვის კარიბჭეს ჩრდილი მიადგა.
მე გინვდი ამ გულს,
როგორც ლოცვით ნაქარგ იადგარს.
თითქოს ამ კართან
მე ოდესლაც ვიდექი უკვე
და ხმა უცნობი
მაფრთხილებდა მინის ბინადარს.
მასხოვს მე ის ხმა
და სიტყვები დამინწყებია.
მასხოვს თვალეები,
მაგრამ სახე დამინწყებია.
მასხოვს ნუგეში,
მაგრამ სევდა დამინწყებია,

ავი სენივით დავინწყება გადამდებია.
გამილე კარი,
გვედრები,
გამილე კარი...
ვყვირი და ფრჩხილებს
სიმწრისაგან ძირამდე ვიკვნეტ.
იქნებ ძახილი ჩემი არის
სუსტი და უხმო
ან კარის იქეთ
უკვე არვინ არ არის, იქნებ?!
ან იქნებ სულაც, ველარა მცნობ,
ვიცვალე სახე?
და აღარ ვგავარ შენგან სრულქმნილს
ახლა სრულებით?
და სხეულს ჩემსას,
მირიადი წლებით განბანდის,
აღარ ატყვი
შენი წმინდა ნათითურები?
სხივს გამოვყვივი,
სამზეოდან სხივი მეძახდა!
მინდოდა ერთხელ მაინც
შენი სახე მენახა.
დამინწყებოდა მსურდა,
ქვეყნის დავიდარაბა.
აქ კი დახშული დამხვდა
ყველა კარი, დარაბა!
ო, გვედრები, ოდნავ მაინც
შემისხენ კარი.

დიდებას ეძებ?

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინლა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სინამდის
ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თერთად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი
და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე - დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა - რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა „სანამდის?“
გულზე გვანევს, მძიმე ლოდინით
როს ერის მამას ლაზღანდარა

დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მინის?
უდაბნოს შინა მღალადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმცხიხავს,
ვინლა შემრისხავს?!

ქასილი

დედაო ევა, სად ხარ, დედა?!
დედა, დედა! დე!
მინდა, რომ ვიყო ქვეყნის მეფე
თიხად ქცევამდე.
მეც მიყვარს თავი. მინდა ვიყო თავისუფალი,
სანამდე ჩემს სულს მიიბარებს მამა უფალი.
სანამ სხეულში მზე ბულრაობს,
სანამ ცა მოთოვს,
სანამდე მკერდთან ვარდს დავაჭკნობ
და ფერხთან _ ლოტოსს.
რადგან ქალი ვარ,
მეც მახელებს ცნობის ნადილი,
მეც გამომწარდა ბევრი თავფლით
ტკილი წანდილი.
მეც ბევრჯერ ვენები მომეხვია
სხეულზე გველი.

ბევრჯერ დავძლიე
მორჩილებით დაუძლეველი.
რა, არ იცოდი, მამა ღმერთო,
რომ მომეც სული
ქალი სულმოკლე, სულსწრაფია
და სულწასული
გამოცდილებით თუმც ათასჯერ
ამიცრეს ტანი,
მაინც ათასჯერ ვიყავ მონა
ტრფობის, სატანის.
ყელთამდე წყალში ვიდექი და მწყუროდა წყალი,
ვით ტანტალოსი, საუკუნო ტანჯვის ამტანი.
ხომ არ გრცხვინია, მამა ღმერთო,
შენი ხელობის?

ჩვენი სიბეცის, უღმერთობის, ასე ხელობის?
მზე ჭკნება ცაზე, დედამინა იფარავს შვილებს,
დამდგარა ჟამი უკეთობის
და თვითმკვლელობის.
წლები გვამთიმებს,
ცოდვებით და გამოცდილებით.
ვხვდებით ჯოჯოხეთს,
რა ჟამს წამით გამოცდილებით.
და მაინც გელით და იმედი ბუუტავს კვარით.
თვალეები გვრჩება გახელილი ზეცის კარივით,
აგედევნებით ბოლოს მაინც მორჩილ კრავით,
გავივლით ნეტავ ამ ბუნვის ხიდს,
თუ ვერ გავივლით,
მოვასწრებთ რამეს

გარდაუვალ ბედისწერამდე?
კულისებიდან განათებულ ა, იმ სცენამდე?
აღზევებიდან დაცემამდე, მინად ქცევამდე?
ჩემო სანყისო, სახეე ჩემო, დედაო ევა,
წლები გვაშორებს ათასობით, მაინც
შენ გვევარ,
მშობელო ჩემო, პირმშო ჩემო,
სად ხარ, დედა, დე!
მტკივა სხეული დაქცეული
თხემით ტერფამდე!

გაცვეთილა სიბრძნის წიგნი

მადლი ვქენი, ქვაზე დავდე,
ქვაც არ დამხვდა, როს დავბრუნდი,
ვნახე, როგორ დაეჭირა
აქლემის ქურდს ნემსის ქურდი.
ხალხს მოძღვრავდა „არამკითხე“,
„მეტის მტტი და თავს რეტი“,
„დღე-მეზღალი“ კაცებით

სავსე იყო პარლამენტი.
„ნაბან წყალს ბავშვსაც ატანდნენ“,
არ ზომავდნენ ისე ჭრიდნენ,
სიმართლის ხემ ვერ იხარა,
დახერხეს და დაიკიდეს.
აღარ ეწვოდა ქურდს ქული
და მარხავდა ცოცხლებს მკვდარი,
ათ კურდღელს ერთად იჭერდა,
ორი კურდღლის მადევარი.
თერთად ფასობდა ზრდილობა
აღარ ხტოდა კვიცი გვარზე
მწყერი ხეზე შემჯდარიყო
და ბაყაყი - ხალიჩაზე.
ამირან გულში მღეროდა
მთებმა უთხრეს მოძახილი
და ბელელი სავსე იყო
მხოლოდ ქარის მოტანილით.

გაცვეთილა როგორც ძველი
ქოში, კაბა ანდა გზები
წინაპართა სიბრძნის წიგნი :
იგავ-არაკ-ანდაზები.

ის მე ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გემით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰყვითავს მოვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მინის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მასხოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაადრული ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავანახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავეკემე
ლამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბრონეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღანვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

ზომი რამ რიკვზ მიწველასის უხსლესი რომანის შესახებ

მურმან ჯგუბურია

„რატომღაც ანგარიშს არ ვუნწვთ, თორემ ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ადამიანს გააჩნია ფიქრის თავისუფლება. ამ თავისუფლებას ჯერ ვერაფერი მოუხერხეს, ვერ აკრძალეს, არცაბებში ვერ ჩასვს“.

რევაზ მიშველაძე

ამთავითვე ვიტყვი: ამ რომანის მთავარი გმირი – ლავერენტი მიქავა, უწინარესად ფიქრის კაცია.

მაგრამ მე აქ სხვა რამეზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. არცთუ ისე შორეულ წარსულში, ნაწარმოები ფასდებოდა მისი მხატვრულობით. ამიტომაც ეწოდებოდა მას მხატვრული ლიტერატურა, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეენაცვლა პუბლიცისტიკა, რაც ისეა განსხვავებული ერთმანეთისგან, როგორც ცა და მიწა. „ციყვი ბორბალში“ სწორედ ის გამოჩნდა, სადაც მხატვრული მხარე დომინანტობს.

წინ მიდევს რევაზ მიშველაძის უახლესი რომანი „ციყვი ბორბალში“ და ვკითხულობ, ვინაშენ, ვინერ ამ რომანიდან სხვადასხვა პასაჟებს, ეპიზოდებს, სადაც, ჩემი გაგებით, პასუხისმგებელი ჩემს მიერ აქვე წამოჭრილ კითხვაზე. არათუ მხოლოდ პასაჟებსა და ეპიზოდებს, არამედ კარგა მოზრდილ მონაკვეთსაც, რაც უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს თავად ნაწარმოების ავტორს, ვიდრე მის კრიტიკოსსა და შემფასებელს.

„ციყვი ბორბალში“ უკვე ითარგმნა რუსულ ენაზე, ითარგმნება სხვა მრავალ ენაზე და როგორც ვიცით წარდგენილია 2017 წლის ნობელის პრემიის მოსალოდნელად.

ჩემი ღრმა რწმენით, ნობელის პრემიის მნიშვნელობა (განსხვავებით, როგორი მცირერიცხოვანია ჩვენი ერის), არა იმდენად ავტორისათვის არის სასურველი და სახარბიელო, არამედ, სასურველი და თავმოსანონია ჩვენი ერისთვის, საქართველოსთვის და ქართველთათვის, რუსთაველის და ზოსიმეს ენისათვის. რა ენასაც არაჩვეულებრივ განმარტება მიუსადაგა ჩვენმა თანამედროვე პოეტმა, ცხოვნებულმა ირაკლი აბაშიძემ, როცა მას უნდა „ყოვლის მთქმელი და ყოვლის არმთქმელი“ ენა, რაც ჯერ კიდევ რუსთაველისეული გამოხატულებიდან იღებს დასაბამს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშვებების“. თუმცა, ეს ყოვლის ართქმა სხვა გაგება-ნიუანსაც მოიცავს: ფარულს, სიმბოლურს. მისტიურს, ქვეტექსტს და, რაც მთავარია, მინცდა-მინც ჩვენებურობას, ქართულობას, ადათ-წესების მოყოლასა და შენახვას-ერთგულებას.

გამორჩეულია რევაზ მიშველაძის ქართული სუფთა, წმინდა, აუმიღვრეველი, დაახლოებით ისეთი, როგორიც არის ჭის წყალი, ვედროს რომ ისე ჩაუშვებ ჭის სიღრმეში, კედლებს რომ არ მიენარცხოს, ისე ამოიტანო ჭიდან, რომ წამითაც არ აიმიღვრეს, რათა მწყურვალს მიაწოდო წმინდა წყალი, მკითხველს – წმინდა ქართული.

ამგვარი ქართულითაა განწყობილი რევაზ მიშველაძის მრავალი ნოველა და განსაკუთრებით ეს რომანი, სადაც ჩვენი ბედკრული სამშობლოს მთელი ავან-ჩავანია გამოფენილი. მწერალი ვითომ ერთი კაცის (ლავერენტი მიქავას) ბედ-ბედობაზე გვესაუბრება, სინამდვილეში კი იხატება მთელი ჩვენი სამშობლო და იქნებ თანამედროვე მსოფლიოც.

მკითხველს შეიძლება ოდნავად გაჭიანურებული მოეჩვენოს ამ რომანის სანყისი თავები, ისე დაწვრილებით იხსენებს რომანის გმირი თავის წარსულს, თავის სიყმაწვილს, იხსენებს პიტაპიტა, მაგრამ სწორედ ეს დაწვრილებითი მონაცემი გვიხსნის თავის მას. მის შინაგან-ბუნებას, თანაც არ დაგვაზიანებს, ამეებს იხსენებს კაცი, რომელიც უკვე საკანში ზის, პატიმარია და ხმის გამცემიც არ ჰყავს. თანაც ისიც ვთქვათ, რომ კაცი უმეტესად, მამინა მართალი, როცა მარტოა და არავის წინაშე არაა ვალდებული გაღიზიებული სიტყვა მოიშველიოს. პატიმარი კაცი, უმთავრესად დროზე, დროის სვლაზეა დამოკიდებული და დრო რომ მოკლას, ამიტომაც იგონებს იგი თავის გარდასულს, თავის სიყმაწვილს, რამე ხომ არ ჩაიდინა ისეთი პატარაობისას, რამაც მერე იჩინა თავი („ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვიღვართ“). გაეცხენით ნეტარი ავგუსტინეს „ელსარება“, როცა პატარები მეზობელს ვამლს თუ მსხალს პარადენდნ და როგორ ნაწობს შემდგომში იმ საქციელს და რანაირი დასკვნა გამოაქვს. აი, თუნდაც ასეთი: პატარები ხოცავენ ჩიტებს, რაც გამორიცხული არაა დიდობაში ადამიანების დახოცვაშიც გადაიზარდოს.

რა სუფთაა ლავერენტი მიქავას წარსული, მისი ბავშვობა და სიყმაწვილე, რანაირი ურთიერთობა აქვს მას თავის თანატოლებთან, მასწავლებლებთან, ახალ გაცნობილ კაცთან, ქუჩასთან, სკვერთან, ქალაქთან და საქმესთან, რაც მას არ ევალება (ქუჩის მოკირწყვლა-გაშენება), როგორი ურთიერთობა აქვს სკოლის მეგობარ ბიჭთან და საყვარელ გერმანულ ასულთან, ნაცნობ მეჩემესთან. მეზობლის ეზო-კართან, უცნობ ბიძი-კაცთან, გაზეთის რედაქციასთან, ფოტოაპა-

რატან, რაც ბოლო-ბოლო მისი ტრაგედიის მთავარი მიზეზი გახდება.

„აი, მიზეზი და მიზეზის კიდევ მიზეზი“ (გალაკტიონი). ნაიკითხობთ, როგორ აღწერს იგი თხის ამბავს, თხის ჩვევა-ხასიათ-ბუნებას. ასევე შეუძლია მას აღწეროს წვიმისა და თოვლის ამბავი. თოვლი რომ დევეს ფერდობზე და უცებ რომ თავსხმა წვიმა დაეცემა. რა ვითარებაზეც პოეტი – ამირან შალიკაშვილი იკითხავს, „მაგრამ თოვლს რა ეშველება“? სიტყვამ მოიტანა და დიდმა რეჟისორმა და მსახიობმა თავის თეატრში წარმოადგინა რევაზ მიშველაძის სცენარის მიხედვით დასრულებული რამდენიმე არაჩვეულებრივი სპექტაკლი „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“ და აგერ, სულ ახლახან „ვეფხისტყაოსანი“, რომლის გენიალურ შემოქმედს ვერ გადაუხადა თუ არ გადაუხადა მთავარმა ხელისუფლებამ 850 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. საოცარი ხალხი ვართ ქართველები, დავით გურამიშვილს უხდის იუბილეს უკრაინა, ჩვენ კი ჩვენი გენიოსი პოეტი არ გვახსოვს.

ამ და აგრეთვე არაერთ საშურველ და საჭირობოტო საკითხზე გვესაუბრა ამას წინებში „ახალი საქართველოს“ ეკრანიდან რევაზ მიშველაძე. არასოდეს დამავინყებდა მისი საბოლოო სიტყვა, რაც წარმოთქვა მან რუსთაველის თეატრის სცენიდან: „თვემი ერთხელ მაინც უნდა შევიაროთ სასაფლაოზე, რათა დავხედო ჩვენგან წასულ ჩვენინებს და სხვისინებს. ახლა ისინი ჩვენიანებად და სხვისიანებად არ მოიხსენიებიან, დასძინა, რამაც მე მომაგონა ერთი ჩვენი უძველესი წინაპარი პოეტის ლექსი:

„მოვედით და შთავიხედოთ საფლავთა, სადა არას შური, ბოლმა და მტრობაი, აჰა, ესერა თიხა, ნაცარ და ცოტა ქმნილ არს ყოველი“.

შური ლუპავს საქართველოს, ქართველები, ალბათ არც ერთ ერს არ გააჩნია შურის ისეთი მიახლოებითი განმარტებაც კი, რაც გვითხრა სულხან-საბამ:

„შური არს მწუხარებაი სხუისა სიკეთესა ზედ“. ქართველები, სამწუხაროდ, არ ვულრმადვებთ ამ გამონათქვამს. არა თეთრი შური, არამედ, შავი, ანუ, რატომ კარგი ავიგია, რატომ კარგი დაგინერია, რატომ კარგი დაგინახტავს და მისთანანი.

ამ სიტყვამ, „დაგინახტავს“ ისევ თხის ამბავი მომაგონა. აი, როგორ აღწერს რამანის გმირი (რომანის ავტორი) ამ ამბავს:

„მეცხვარეები შეიძლება არ დამეთანხმონ, მაგრამ თხაზე საყვარელი ცხოველი დედამინაზე არ არსებობს.

რა ჭკვიანია, ლამაზი და რა თვინიერია თხა. როგორ უხდება წვერი, რქები, სახეზე დაშვებული რბილი, ნაცრისფერი ბუნჯი და ამოზურცული ნესტოების ირგვლივ თეთრ არშიად შემოვლებული ფაფუკი ბუსუსები.

ჭკუა? ხანდახან ბალახნარებს მოვუტავ, შიგ სარევალა ბალახსაც ვაუზრევ ხოლმე და დაუქმანებ.

მოზაკუნდება. ახრამუნებს დინჯად, ენით არჩევს ჩემს თაიგულში რა ეჭმევა და რა არა, რაც არ მოსწონს, თან რომ გადაყვე არ შეჭამს.

ვაცი? დატრიალებს არვეს. ხან აქედან მოუვლის, ხან იქიდან. ახალ ნეკერთან ბურქს რომ მიადგება, დედა თხებს უხმობს. თხები, რომ ყლორტებს შეესევიან, თვითონ განზე დგება. ვინ თქვა, თხამ ლაპარაკი არ იცისო.

ხანდახან რქებით ჯაგებში რომ გაიხლართება, დაიძახებს, – ბეეე! თუ მაყვლის ჭრით გავერეთ ან ჩამთვლიმა, ვაცი (მეგროულად „ოჩი“ ჰქვია) გამოიტყვევა და ყურში ჩამყვირებს:

– ბეეე! – აქაოდა, შე კაი კაცო, ყურადღებით იყავი, ხომ ხედავ, თხა ქაცვებში რქებით გაიხლართაო.

ახლა დედა თხა? თიკანი ორ თვეს საძოვარზე არ გამოიშვება. შინ რჩება. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეშია დედა თხა. მოვა. გვერდით დამიდგება. „ბეეთი“ – თი რომ ვერას გახდება, რქითაც შემეხება.

აქაოდა, წავიდეთ შინ, თიკანი შიმშილით მოკვდებაო, ხომ ხედავ, სავსე მატქს ჯიქანი, წავიდეთ, გემუდარებო.

ა, ასეთია თხა. წინა ორი ფეხით შემდგარა ჩირგვზე და აკნატუნებს ნეკერს. თან „ბეეთი“ დროდადრო თანაარველებსაც შეეხმინება, აქა ვარ, შორს არ წახვიდეთო. შიგადაშიგ შენსკენაც გამოიხედავს... ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

სალამოსკენ: რა ერთგულად, თანმიმდევრულად, ნაბიჯაურქარებად მიჰყვებიან ვაცს სოფლისკენ.

ი. ბუნიწის, როგორც მასსოვს, დამწყებმა მწერალმა (ვ. კატაევმა) მიუტანა თავისი მოთხრობები. ბუნიწმა ნაიკითხა და ასე დაახასიათა ახალგაზრდა მესიტყვის ნახელავი: შენ რომ ხეს აღწერ, არაა შენი ხე. შენი საკუთარი სხვათაგან განსხვავებული თვალით დანახული. ხეზე იყო საუბარი თუ ძალზე, არ მაგონდება. ნაკითხულიდან: სხედან ბაღში ჩინეთის იმპერატორი და მისი კარის მხატვარი, უცებ, მათ თვალწინ ძალღმა გაიბრინა: იმპერატორმა იკითხა: „ძალის დახატვაა

უფრო რთული თუ ზღაპრის ფერის? მხატვარმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ძალის. ამ ნაგავს ბევრი ვინმე იცნობს, ბევრს ჰყავს ნანახი და თუ ისეთი არ დახატე, როგორიც არის, ნახატს დაინუნებენო, ფერისა კი, როგორიც გინდა, ისეთს გამოიყვანო.“

ლავერენტი მიქავას მიერ აღწერილი თხა (ასევე) „მხოლოდ და მხოლოდ მისი თვალით დანახული და აღქმულია და განა მარტო თვალით? თვალი ხომ მრავალნაირია: თვალი, გულის თვალი, სულის თვალი და კიდევ მრავალნაირი თვალი. აი, იმას რა ჰქვია, ერთხელ რომ ჩადგი ფეხი ორმოში და მეტად იგივეს არ გაიმეორებ. მწერლის მიერ აღწერილმა თხის ამბავმა ერთი ჩემი ხუმრობაგაშვებითი ლექსი მომაგონა:

„ის თხა, რომელიც შენ დაკარგე და ველარ ნახე, გაუწყრა ღმერთი, ვინ დაუგო საბრალოს მახე. ის თხა არა ჩანს და იმედი კი გაქვს ისევე, იბოვნო იქნებ, ასე ფიქრობ, როცა იხსენებ. ოლონდ არ ნახო ის თხა სულაც, ხან ასე ფიქრობ, და არაფერი აღარ გინდა ამქვეყნად თვითონ. ვითომ ასეა, რასაც ამბობ, მითხარი ერთი, რაიმე ჩემზე არ იეჭვო, იწამე ღმერთი. ამგვარად გითხრა მეზობელმა და იმას აქეთ, შენ თხას არ ეძებ და მეზობელს უზომოდ აქებ“.

ეს ლექსი რომ ნაიკითხა, ერთმა ჩემმა თანასოფელმა მოკლე ბარათი მომწერა, რა კარგი მეზობელი ჰყოლიაო იმ კაცს, მთელი საღამო გულში მეცინებოდაო. მკითხველიც არის და მკითხველიც. ამ ლექსში შეპარვით ნათქვამს, ასე მგონია, რომ იმ ჩემი თანასოფელი ნაცნობივით აღიქვამდა ამ რომანის გმირი, ანუ ამ რომანის ავტორი. მიქავა მეგრელი კაცია და მინცდამინც თხის ამბავი ამიტომ გვიამბო, რაც სხვა კუთხელი და სხვა ენოვანი მკითხველისთვის არცთუ ისე იოლად აღსაქმელია.

შეიძლება კი, ძვირფასო მკითხველო, მსგავსი სურათის დამხატვას, ანუ ლავერენტი მიქავას ავი ჩამჩაედინა?

რევაზ მიშველაძის რომანში გვხვდება სულსმემძვრელი ეპიზოდები და პასაჟები ცალკე რომანის სიუჟეტებად რომ გამოდგებოდა.

ასეთებია მაგალითად: გერმანელი გოგონას კლარა ზიბერტის ისტორია, საქართველოს მოხუცი პრეზიდენტის დრამატული სვე, როცა თურქ კოლეგას საქართველოს გადარჩენის გზებზე ესაუბრება, ქუთაისელი ნახიკიას უიღბლო საზღვარგარეთული ვოიაჟი, უჩა მაღლაკელიძის ცხოვრება, ეპოქისგან აფერისტად და ყალბთანდად ქვეული ნამჩვევების ისტორია, ზემფირას ტრაგედია, მარინა ჭანუყვადის უაღრესად ორიგინალური სიუჟეტი, ძალად გაბიზნესმენებული ქიონია ედგვერადის იუმორნარევი, სევედიანი ეპიზოდები და ა. შ.

მკითხველი, რომ არ გადავლალო ამ ვრცელი ესეის გაგრძელება სხვა დროისათვის გადავდოთ, სადაც უკვე არა მარტო ფლორასა და ფაუნაზე გვექნება საუბარი, არამედ იმ გმირებზე და იმ ადამიანებზე, რასთანაც (რომელთანაც) აკავშირება მთელი ცხოვრება რომანის მთავარ გმირს. თუმცა მე, თუკი თავის მონონებად არ ჩამეთვლება. მწერლის ცალკეულ კონკრეტულ გამონათქვამებზეც კი შემიძლია მკითხველის ყურადღება კარგა ხნით შევაჩერო. მაგალითების ჩამოთვლაც კი შორს ნაგვიყვანდა. აქ კი მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებ:

„ქურდს ჯაჭვით დაბმული ძაღლის უფრო ემინია“.

„ქუჩაში რატომღაც უფრო მეტი ფოთოლი ყრია, ვიდრე, ახლო-მახლო ხეებს ესხა“.

„ქუჩაში გაჩნდნენ პატარა რუები და შეთანხმებულებივით მამწვე არხისკენ ქნეს პირი“.

„სიცოცხლეს მისცემდა, ახლა რომ შეძლებოდა, წვიმისათვის სარკმილიდან ხელი გაუშვარა“.

„ერთი კაცის მოტყუებაზე ადვილი ხალხის, მასის მოტყუებაა“.

„ჩოხა-ახალუხსა და აზიაცკლეკვერთხებში ჩამჯდარი, შუახანსგადაცილებული, ნითელულვაშა კაცი კულტურის სახლიდან შესვენებაზე გამოქცეულ დრამწრის წევრს ჰგავდა“.

„ჭამე რამე? – სასტუმროს წინ ფეხებნაჭრილ ტაბურეტზე მოკალათებული გერმონია ურია ყოველ დილით ერთსა და იმავეს ეკითხებოდა“.

„ჩოუფევექით, რუსი თუ დალევაზე გამოგყვა, ჩათვალე რომ ძმაა შენი“.

„სირცხვილი, ქეთრინ, ადამიანებმა მესამე პირისთვის მოიგონეს, ჩვენ ხომ ამ ჯუნგლებში ორნი ვართ, ამოიგვე თავიდან ეგ ზედმეტი ბარგი“.

„მანქანის საათი დღელამეში საათნახევრით უკან რჩებოდა, პატრონი მას უკვე აღარ ასწორებდა. ამ უბრალო მიზეზის გამო კიჭოთა ხვადავიანმა აღარც იცოდა მისი საათი რომელი წლის რა დროს უჩვენებდა“.

„გაცრეცილ ღრუბლებში მთვარე ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მიცურავს“.

აქ, „არ ვიცი“ და „ვერ გეტყვით“ იმაზე მეტია, ვიდრე ვიცი და გეტყვით.

ბევრი ვერ იქმნის სონოლოგიას

მურმან თავდიშვილი

ეს წიგნი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ისტორიკოსის დანერგულია. გარდა იმისა, რომ ლექსებით მალე მთავრდება, თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: ეხება ეთნიკურ ტერმინოლოგიას, გამაჰმადიანების პროცესს საქართველოში, ექვთიმე თაყაიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას 1918-1921 წლების თბილისის უნივერსიტეტში, აფხაზურ პრობლემებს, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს, ადამიანის უფლებებს, პოლიტიკის ცალკეულ საკითხებს, ისლამურ სამყაროს, ისლამისტური მიმართულების განხრებს.

პროფესორ ავთანდილ სონოლოგიას თავისუფალი და ლაღი ქართული მოუმარჯვებია, ენობრივი საქცევები ეფექტიანად გამოუყენებია და იმაზედაც დაგულისყურებულა, რათა ეს სამასგვერდიანი კრებული „უნივერსალს“ გავრეგულადაც გემოვნებით გაეფორმებინა და პენიანად გამოეცა.

„ისტორია და თანამედროვეობა“ ლექსებით იკითხება-მეთქი, - ვთქვი და ვიმონძებ ასეთ ფაქტს: საკუთარი თავი ამგვარ უცნაურ მოქმედებებში დაიჭირე - საქმეთაგან რომ მოვიცილი და რაიმეს კითხვა მომიხდებოდა, ამ წიგნს გადავხედი და არაერთხელ უკვე გულისყურით წაწაკითხავ სტატიებს ხელახლა ვკითხულობ. და მათში ყოველთვის ვპოულობ სულ ახალ და ახალ, ასევე ფრიად და ფრიად საინტერესო ინფორმაციას, ზოგჯერ პრობლემის მახვილი ნიბოთი დაყენებას, ხანაც - აქტუალური საკითხის მოულოდნელი რაკურსით შემობრუნებას; ყოველივე ამას კი თან ახლავს მეცნიერული მიგნებები, თითქოსდა კარგად ნაცნობი პრობლემების ახალ შრეთა ამობრუნება და განათება. ავტორის ძვირფას თვისებად შეგვირაცხავს უნარი, უკვე ისე ნაცნობი მნიშვნელოვანი ფაქტები კონტექსტში ისე ჩართოს, სრულიად ახალი განათება და ფერადობა მიანიჭოს და, ფაქტობრივად, სწორედ ამ სტატიის მეხობით ის მძლავრ კამერტონად აქციოს. მრავალფეროვანი ეთნიკური ტერმინების ნუსხას რომ გვითვალაჩინოებს ნათელი ისტორიული კონტექსტების ფართოდ და გერგილიანად გამოყენებით, იქვე იმონებს ერთი ისტორიული ხატის მონაცემს, რითაც მის მსჯელობას უწყყარობის ელფერი ეღება: „ქართველი ხალხის ჩამოყალიბება VIII - IX საუკუნეებში დამთავრდა, რასაც მალე ქართველი ერის საბოლოო ფორმირება მოჰყვა. ამ თვალსაზრისით, რაოდენ ბევრისმთქმელია თუნდაც საქართველოს უმორეულები კუთხის სვანეთის ერთ-ერთი თემის ლატალის პატარა სოფლის ლაილის ეკლესიის ხატის XI საუკუნის ნარწერი: „წმინდა მთავარანგელოზო მუხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატიონიანი და დადიანი, და დიდებული და ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანი“... როგორც ჩანს, ქართველთა ერთობა და ერთიანობა... საბოლოოდ სრულიად საქართველოს ფარგლებში გამოინართო და შედუღდა. ეს ჩანს თუნდაც სვანეთის პატარა სოფლის მოსახლეთა თვითშეგნების გამოხატულებიდან“ (11).

ქართველთა ისტორიული გადარჩენის ერთ-ერთ პირობად მათი ტოლერანტობაა სახელდებული: „გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს ტერიტორიის პოლიეთნიკურობა აქაურ მოსახლეობას ცხოვრების გარკვეულ წესს კარნახობდა - ტოლერანტობა“ (12).

ავტორის ზოგი კომენტარი შორსგამიზნულია. ერთგან იგი წერს: „ილიას დავესხებებით ერის განმარტებასთან დაკავშირებით: „ერი ეს არის ... ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“. ამ უაღრესად ლაკონურ, მაგრამ ტყვად განსაზღვრებაში მოცემულია ერის არსის მახასიათებლების ისეთი გადმოცემა, რომლის დარი არც მის თანამედროვე და არც დღევანდელ პოლიტიკურ მეცნიერებაში არ მოიპოვება... ეს რომ ინგლისელს ან გერმანელს დაენერა, პოლიტიკური ეკონომიის, სამართალმცოდნეობისა და პოლიტოლოგიის ვერცერთი ავტორი ამ დებულებას გვერდის ვერ აუვლიდა“ (15).

შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე გვეძლევა განზოგადებული დებადი: „სულიერ ღირებულებათა რთულ კომპლექსში ეთნიკურ და რელიგიურ გრძნობებს თანაბარი ადგილი ეჭირა. პიროვნების შინაგანი ზნეობრივი კრიზისისა და კონკრეტული მიმდევრობის სოციალ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ხდებოდა ხოლმე მათი დაცილება“ (28).

დაკვირვება და მახვილი თვალი ბევრ რასმე გვიხელს. თუმცა კი „1886 წელს მაჰმადიან მესხთა ნაწილს უკვე დაკარგული ჰქონდა ქართული გვარები - ამ წელს ჩატარებული აღწერის დროს ისინი ეროვნების მიხედვით ან „ქართველებად“ ან „თათრებად“ ეწოდებოდნენ, ოღონდ არსად გვხვდება ეროვნება „თურქი“. სრულიად ნათელია, რომ „თათარი“ აქ მაჰმადიანური რელიგიის აღმარებელსა ნიშნავს და არა ეროვნებას“ (30).

აფხაზეთის საკითხზე მსჯელობისას ერთობ საინტერესოა საქართველოს პოლიტიკური სივრცის საზღვარზე საუბარი. ნაირგვარი ფაქტებისა და დოკუმენტების შეფერების შემდეგ მკვლევარი დასძინს: „1920 წლის... მისი ერთგვარი წყაღებამოყვანა „მითოლოგიას“ და „რეალობას“ შორის - ამ დღეს მსოფლიომ ცნო თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სივრცის საზღვრები. თუ 1920 წელს „მსოფლიოს“ მხოლოდ რუსეთი წარმოადგენდა, უკვე 1921 წლის დამდეგს იმავე საზღვრებში საქართველო „დე იურე“ ცნო ევროპისა და აზიის ყველა წამყვანმა სახელმწიფომ“ (65).

ახლა კი ისა ვნახოთ, თუ როგორ არკვევს ჩვენი ავტორი ე.წ. ავტონომიების არსს: „ადგილობრივ მართვა-გამგეობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის“ საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული; გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა“; გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებდა ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ და სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად შვავეს ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მსუბუქი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები“, „ოლქები“, „ნაციონალური ოკრუგები“ და სხვა“ (69).

იმ მრავალი საგულისხმოდ მოსაზრებიდან, რომლებიც ავტორის ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოაქვს, უაღრესად საინტერესოა შემდეგი: „საბჭოთა რუსეთის თავისი წარმომადგენლებით შვავედა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში... საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები შვავედათ რუსეთში. რუსეთსა და აფხაზეთის შორის წარმომადგენლების გაცვლა არ მოხდარა; რუსეთს არც ხელშეკრულება გაუფორმებია აფხაზეთთან. მან მხოლოდ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვერენიტეტი ცნო. აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი არ წარმოადგენდა რეალურად არსებულ დამოუკიდებელ (თუნდაც საბჭოური გაგებით) რესპუბლიკას“ (77).

პროფესორის გამოყენებია საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური სექტების ისტორია. უწინარეს ყოვლისა, ის არკვევს რელიგიური სექტებისა და განხრების სახელწოდებებს, ტერმინოლოგიას; გამოყოფს მათ ორ ძირითად ჯგუფს. „პირველ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის „რუსული წარმოშობის“ სექტები, რომლებიც გამოხატავდნენ ბატონყმობის, ცარიზმის, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის კანონით შეუზღვევლი ბატონობისადმი წინააღმდეგობას, მათი გავლენისაგან თავდასხნის ძიებას. ასეთებია: დუხოზორები, მალაკები, სტარობრიადეცები და სხვა. მეორე ჯგუფის ქრისტიანული სექტები საზღვარგარეთული, პროტესტანტული წარმოშობის სექტებია. ისინი კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში და „იმპორტის ფორმით“ გავრცელდნენ. ასეთებია: ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტიტისტები, იელოველები...“ (89).

ყურადსაღებია საბჭოთა ხელისუფლების ოუდასადმი დამოკიდებულების მკვლევრისეული ძიება: „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას რელიგიასა და, კერძოდ, მართლმადიდებლობასთან მიმართებით რელიგიურად აწვენებს ბიბლიური პერსონაჟის - ოუდასადმი დამოკიდებულება. ჭეშმარიტი ქრისტიანის პოზიცია ცალსახაა - ის მოალაგის, გამცემის, ანგარებანი კაცის სინონიმია. ამ ოდიოზურ ფიგურას საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში... ძველი დაუდგა, როგორც „კაცობრიობის პირველ რველუციონერს“. ეს ლევ ტროცკის სიტყვებია, რომელმაც გახსნა აღნიშნული ძეგლები... სავსებით კანონზომიერია, რომ ერთ-ერთი ძეგლის

კვარცხლბეკზე მოგვიანებით ლენინის ბოუსტი დაიდგა. ეს ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს. სწორედ ამ ხელისუფლებამ დახვრიტა ათეულ ათასობით სასულიერო პირი“ (91).

ეროვნული უმცირესობების განსახლების საკითხებზე მსჯელობა ორმხრივ არის საინტერესო: პირველი, აქ ძალიან საგულისხმო სტატისტიკური და სხვა მონაცემებია მოყვანილი; მეორეც, დასაგულისყურებელია მათი ანალიზი და ამ ანალიზის შედეგები. აი, მათი ნიმუშები. საგულისხმო ფაქტია: ოციან წლებში იმდენად არ ექცეოდა ყურადღება ეროვნებას, რომ ერთი გორელის დოკუმენტში ეროვნების გრაფში ეწერა „ინტერნაციონალისტი“ (103); მეორე ფაქტი: ძველი ალბანელების ერთ-ერთი ტომი უდინები მათ თავკაც ზინობი სილიკაშვილს ყვარლის რაიონში ჩაუსახლებია. სოფელ ზინობიანი დაერქვა ზინობის პატივსაცემად“ (105).

შემოქმედებითი კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, თუ რატომ, როგორ და რა ვითარებაში გაჰყავდათ ქართველი სპეციალისტები რუსეთში, ხოლო საქართველოში ჩამოჰყავდათ სხვა სპეციალისტები და ამით ხელოვნურად შემოქმედდნენ რესპუბლიკის დემოგრაფიაზე (115).

მკვლევრის ძიებათა სიღრმეს ნათელყოფს ერთი უბრალო ფაქტიც - ეროვნულ უმცირესობათა განსახლების საკმაოდ მოკლე მასალაში გამოყენებულია 61 სამეცნიერო წყარო (120).

უაღრესად საჭირო და საინტერესო ნაშრომი ჰონკონგის შესახებ ნაირგვარ ცოდნასა და სრულ წარმოდგენას გვიქმნის დედამინის ამ ეკონომიკურ ოაზისზე. საგულისხმოა, რომ ელგანტურად, თითქოსდა დიდი ხელოვნებით შემზადებული ესე იყოს, ისე მთავრდება ეს ნარკვევი: „დიდმა ბრიტანეთმა, როგორც იმპერიამ, შეწყვიტა თავისი არსებობა და ჰონკონგში „ოუნიონ ჯეკის“ დროშის ჩამოშვებამ საბუნდამოდ დახურა ჩინეთის ისტორიის განსაკუთრებით მტკივნეული თავი“ (132).

ძალზე საყურადღებო ნაშრომია „პოლიტიკური ლიდერის იმიჯი“, სადაც ავტორი მარჯვედ იყენებს სხვათა მოსაზრებებსაც და ჯეროვნად ავითარებს მათ, რითაც სწორ საბოლოო დებულებებამდე მიდის. ერთგან ვითარებობით თითქმის აფორიზმის დონემდე ასულ დებულებას: „იავარქმნილი სახელმწიფო სწორედ სევედის საზრდის იძლევა, რომელიც შეცნობის შემდეგ თავად იქცევა ენერგიად“ (155).

ეს თემა ისეთია, შეუძლებელია, ავტორის თავის მსჯელობაში არ ჩაერთო ნიკოლო მაკიაველის მხატვრული ფიგურა, რეალისტური პოლიტიკური ხედვის დასტური: „ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენება გარეშე თავის მოძიბვლელობას კარგავს“ (157). დაკვირვებული მკვლევარი მართებულად მსჯელობს, როცა შექმნილი იმიჯს სიმბოლოდ მიიჩნევს: „შეიძლება, პოლიტიკოსის სინამდვილეში მის შესახებ გამოთქმული თვისებები არც გააჩნდეს, მაგრამ ამ ფასეულობებს საკმაო მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იმიჯს აღიქვამენ. ამიტომაც ამბობენ, რომ შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და რეალობისაგან განსხვავდება“ (158).

და აქ, მეტი რომ არ შეიძლება, ისე გამოადგებოდა ავტორს, ქართული გამოცდილების ნიმუშები რომ გახსენებოდა. პირველი ნიმუში XII, მეორე - XVII საუკუნის განვითარება. თამარ მეფის იმიჯის შესაქმნელად მეტადრე გაისარჯა ჩახრუხაძე. მისი „თამარიანი“ სახელის ტქმნილება, რომელშიც თამარ მეფის იმიჯის სრულყოფის მიზნით ხელმწიფე ქალს ფანტასტიკური თვისებები მიენერება. იმიჯომანია იმდენად ჩვეულებრივი ყოფილა, რუსთველისათვის კიდევაც უბრძანებიათ, დაწერა სახობტო ტექსტი. თვითვე გვიმწოდებებს: „მობრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისაო“; ახლა XVII საუკუნე გავსინჯოთ. 1661 წელს 14 წლის პირტიტველა ყმანვილი არჩილ შაჰნავაზის ძე იმერეთის ტახტზე ავიდა. „ჯვრით უწვევულს“ ყრმას მანამდე არავფი გაუკეთებია სასახელი და მას ჰაერივით სჭირდებოდა იმიჯის შექმნა. და აი, აქ ასაზრზეზე გამოჩნდა შემოქმედის (გურიამია) მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე, რომელმაც აღნიშნული მიზნით შეთხზა „ქება მეფისა არჩილისა“, 108 სტროფიანი ხობტა, და ამით ავტორიტეტი შესძინა ხობტის საგანს. მან საამისო ნიმუშად სწორედ „თამარიანი“ აიღო და იმის თარგმვ გამოქურა ახალი ქება.

პროფესორი მსჯელობს იმიჯის ამაღლებასა და დაცემაზე, იხილავს სათანადო ნიმუშებს; შემდეგ გადადის ათეისტურ საზოგადოებაზე:

„ათეისტურ, ღმერთს მოკლებულ საზოგადოებაში უფლის შენაცვლება ზეკაცით ან ბეღადით ყველაზე მახლობელი“ ლენინის, სტალინისა და ჰიტლერისათვის აღმოჩნდა (161). ძალიან საგულისხმოა, რომ „იესო ქრისტეს ცხოვრების გარეგნული მოდელის განმეორებას შეეცადა საბჭოთა იმპერატორი და კომუნისტური პარტიის ისტორია სახარებათა თარგმე მოჭრა“ (161).

მკვლევარს მოჰყავს ამ „ზეკაცების“ იმიჯის ზენიტში ანევის ფაქტები, მათდამი ფანატიკური დამოკიდებულების ნიმუშები. „ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვნის. მეგობარს კი, თავის მხრივ, სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული. ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გოცნებულნი ხედავენ: ერთმანეთისათვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვნიათ“ (162).

ამ ადგილს უსათუოდ მოუხდებოდა გრიგოლ რობაქიძის მონათხრობი: ის დამწერებული მგზავრობდა. საქართველოს უზადრუკ ბედზე ურვილს, ეტყობა, მეტად მძიმე გამომეტყველება ჰქონდა. მის წინ მჯდარ გერმანელ ბიჭუნას შეუქმნევია ეს და ამ მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით უცნობი ძისათვის ჰიტლერის სურათი უჩუქებია.

მსგავსი მაგალითები მოყვანილია ლენინის, სტალინის ბიოგრაფიებიდან (164-165).

მკვლევარი გამოწვლელით საუბრობს იმ ფიარტეპოლოგიებზე, რაც ამ ბოლოს გამოიყენება და რისი მეშვეობითაც პოლიტიკოსებს იმიჯი უუმჯობესდებოდა.

ყველაფერი ეს დიდად საინტერესო და დამაინტრიგებელია, რაც მკითხველს წიგნზე მიაჯაჭვავს, სწორედ ისე, როგორც სტატია „ცივი ომის ანატომია“ (180).

ჩვენს ისტორიკოსს შესანიშნავად დაუხატავს „ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური პორტრეტი“ (217). აქ ცალკეული საგულისხმიერო დეტალების დასაგულისყურებელი განზოგადება ხდება. სწორედ ევ არის მთავარი. ავტორმა აქეთკენაც მიგვახედა: საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმდე ადამიანები, რომელთაც არ ჰქონდათ მიღებული სრული უმაღლესი განათლება. სხვაგან მსჯელობა ისე მიდის, მიდხარ დასკვნამდე: ურსკის გუბერნიის სოფელმა კალინოვკამ თავი იმით გამოიჩინა, რომ აქ დაიბადა ტაკიამასხარა პოლიტიკოსი ხრუშჩოვი, რომელმაც ერთხელ ღვთის შეწევით „ლატარის ბედნიერი ბილეთი“ შეიძინა, ანუ შემთხვევით გაეცნო და დაუმეგობრდა ნადეჟა და აილიუევას და ამაწ კიდევაც განსაზღვრა მისი კარიერის ბედი (220).

ძალიან საინტერესოა, რომ ხრუშჩოვის უცნაურ და სკანდალურ მოგზაურობებს უცხოეთში ავტორი „სიურეალისტური ვიზიტებად“ ნათლავს. ეს შესანიშნავად მიგნებული მარჯვე ტერმინია, საქმის არსს რომ ზედმიწევნით გამოხატავს.

მე, ვისაც „შაჰნავა“ საგანგებოდ შემინავლია, კარგად ვიცოდი ის, რაც, შესაძლოა, ფართო მკითხველმა არ იცოდეს: თურქებსა და ირანელებს ერთმანეთი ათასჯერ უფრო მეტად სძულთ, ვიდრე - ქრისტიანები. ავთანდილ სონოლოგიის მოჰყავს საამრიგო მტკიცება, რომ, თურქთა აზრით, „საპატიო ცოდვაა მოკლა 40 სპარსელი, ვიდრე ერთი ქრისტიანი; ასევე, ომის დროს რომ მოკლა ერთი სპარსელი, უფრო მეტი დამსახურება ალაჰის წინაშე, ვიდრე მოკლა 40 ქრისტიანი“ (256).

აი, ასე საინტერესო და მრავალმეტყველია ნარკვევი „ისლამი და გარესამყარო“.

როგორც დავინახეთ, კრებულში არ მოიძებნება სტატია, რომელიც რაიმე კუთხით სახელს არ გვთავაზობდეს, რაიმე კუთხით ორიგინალურ დასკვნას არ გვაზიარებდეს ან საკითხი ახლებური რაკურსით არ იყოს დაყენებული. მაშასადამე, ჩვენი წიგნის თაროს შეემატა შინაარსობრივად ღრმა და საჭირო, ხოლო, შესრულების მიხედვით, გონივრულად შედგენილი და სასიამოვნოდ საკითხავი ნაშრომი.

ჩვენი მხრივ, უნდა დავძინოთ: ყინადა, თამამად და ყელმოდურებით ტელევიზორებში მჯდომი ბევრი ისტორიკოსის მცდელობა ვერ დაეტოლება ჩვენი მოკრძალებული ისტორიკოსის - ავთანდილ სონოლოგიის - ნაკალმარს. ალბათ, სწორედ მსგავსი ვითარება ჰქონდა მხედველობაში მიტროპოლიტ იაკობ შემოქმედელს, ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ წერდა - ბუ რაც უნდა წელგამართული იჯდეს, შევარდენი მაინც ვერ გახდებოდა:

ძალთან რა წნას სამართალმან, თვარემ ვერ ხართ კარგ ქართულად, მაგრამ ვერ იქმნის სონოლოგობას, ბუ თუ რას ჯდეს გამართულად.



გიორგი მალაშვილი

ფიქრები ლექსებად

აზრთა აკიდოს, ვით მტევნებს,
ავკრეფ,
ვუხმო მათ ძალებს,
მსურს ვიყო მუდამ მოალერსე
სიტყვების მწყემსად,
ფიქრების კონებს, როგორც
პირმშოს
ელვარე თვალებს,
მოვეფერები სიყვარულით
და დაეწავ ლექსად.
მსურს სიტყვა იყოს, როგორც ელვა,
მკვეთრი და სხარტი,
მზის სხივებით იღვრებოდეს
ვრცელ სამყაროში,
რომ ჰქონდეს ძალა მიმზიდველი
მას ანდამათის
და არა ჰგავდეს მოცახცახეს,
ყინვით გათოშილს!
მიშველის ლექსი, როცა ძალა
ცნებებს არ ყოფნის,
როცა ლოგოკა თვით რკინისა
ხდება უძღური,
რითმა იფეთქებს ცხადზე ცხადი
ისე, ვით თოფი,
შემეცნების ჟინს დააკებს,
ვით ღვინო წყურვილს,
აზრთა აკიდოს,
ვით მტევნებს, ავკრეფ,
ვუხმო მათ ძალებს,
მსურს, რომ შევეხო მხოლოდ
ნატიფ სიტყვათა სიმებს,
ფიქრთა კონების კოცონს
ალმად ავაბრიალებ,
ლექსით მე ავწევ უშველებელ
აზრთა სიმძიმეს!

კრედი

Sapienti sat *
ლატინური სეტენცია
ვძერწავ სტრიქონებს
და ყოველ სიტყვას
ისე, როგორც შვილს,
თავს დავკანკალებ.
ვისაც კი მოსწონს,
ის წაიკითხავს,
ვისაც არა და
მე არ ვავალებ!
ჩემს სათქმელში ვდებ
სულის ნათებას,
მას. ვით ცა ღრუბელს,
საქვეყნოდ გავფენ,
არ ვეჭიდები
ცივ უკვდავებას,

აზრებთან ჭიდილს
კი დავენაფე.
აზრში ჩავძირე
ღრმა გულისძგერა,
სტრიქონის სიმში –
სუნთქვის აკორდი,
რითმებში ჯდება
თვით ბედისწერა
და ჩემი არსიც
მათგან ამოდის.
ვძერწავ სტრიქონებს
და ყოველ სიტყვას
ალერსით ვუმზრ,
ვით ლამაზ ქალებს,
მიპოვის მათში,
ვინც მოისურვებს,
ვინაც არა და
სხვას არ ვავალებ!

სტილი

კალამს რომ ვიღებ,
ვწერ მე ლექსს სადას,
არა ტლანქს და რთულს,
რომ არა ჰგავდეს
სიჭრელით ფარდას,
ფერებში ჩაფლულს.
მწვევეა როცა მე შთაგონება
ოცნებით გართულს,
ვით პირმშო, გულში
რომ მეკონება,
ვუხმო იმ ქართულს.
კალამს რომ ვიღებ,
ვწერ მე ლექსს სადას,
არა ტლანქს და რთულს,
რომ ყველა ჩანდეს,
ჩემს აზრებს ცხადად,
ქარაგმით არ თქმულს,
და სიხარულით მივწვდები ზეცას,
ღრუბლებით დახსულს,
ტკბილ ხმად მივანვდენ
მოყვარეს, მტერსაც
სიტყვას ნაღდ ქართულს.
სამყაროს ვხატავ,
როგორც მწამს ისე,
არ მწყინს მიწოდოთ,
გინდ მოხალისე!

პოეზია

გულს ავსებს ფიქრი თავამდე,
ვით ღვინო, ლამაზ სურას,
ხისტად დამაყრის მკაცრ განცდებს,
ხან მტანჯავს, ხან კი მკურნავს.
ზოგჯერ დიდ სიბრძნეს იტევს,
ხან მჩატობს, როგორც ფთილა,
მომართულია, ხან მიტევს,
მილიმის ხან, ვით დილა!
ხან ბობოქარი, ვით ქარი,
შემიცვლის იერს, პოზას,
ხან ფიცხია და აშარი,
ხან – მდორე, როგორც პროზა.
სულ სხვა რამ არის ფაქიზი
ფიქრი ასხმული ლექსებად,
აჟღერებული ხმა მისი
თითქოსდა მეალერსება.

განა ლექსია

ყველა სიტყვას აქვს მისი ადგილი,
როგორც ვაზის ძირს
და მერცხლის ბუდეს.
იპოვო იგი, აღარ არის სულაც ადვილი,
ვინაც ვერ აგნებს,
სჯობს, რომ დადუმდეს.

სიტყვას, ვით ხორბალს, მისი ფესვი აქვს,
ის უნდა იყოს გალალეული.
განა სტრიქონი გართიმული
ყველა ლექსია,
თუ კი არ არის, როგორც კერა,
აალებული!

საქართველო, უნდა
აყვავდი!

ქართული მინავ, ხარ სანალკოტე,
სულ სხვა ეშხი აქვს შენს ტიტებს,
ვარდებს,
შენ უნდა შლიდე ნატვრის ხის ტოტებს,
უნდა გაბრწყინდე, უნდა აყვავდე!
ურყევ ფუძედ გაქვს დიდი წარსული,
გყავს ფარნავაზი, სპეტაკი ქუფი,
გლოცავს თამარის უკვდავი სული,
ხარ სიკეთეთა სავესე საუნჯე,
უქრობი მადლის უხვი წიაღის
მპყრობელადა ხარ შვილთა გულების,
ლალ ოცნებათა ლურჯი ცის თალის
გელვრება სითბო მარად ულევით.
ბუნება გერგოთ მადლით საზღაპრო,
ძენო კოლხეთის, მხარის ივერთა,
მოყვითოვს მოდგმით ხართ
ულალატო,
რისხვა ხართ მხოლოდ მოსისხლე
მტერთა!
გიდგანან მარად ბურჯებად ერის
სვეტიცხოველი, გელათი, გრემი...
ციური შუქით, ლალი იერით
ქართველთ მინავ, ხარ ბალი ედემის!
გვამხნევეს სულით დაუდეგარი,
როგორც ენგური, ანცი თერგია,
იდუმალ ფიქრებს გინახავს მტკვარი,
ჩქეფს ერის სიბრძნის ზღვა ენერგია!
დე, ენთოს შენი აზრის ნათელი,
სიტყვა კაზმული, ვით პატარძალი,
სიბრძნის მპყრობელი გონი ქართველის
ელავდეს მძაფრად, როგორც კვაზარი!
ამაღლდეს შენი მეზობრადე,
ჭეშმარიტების აზრის მწვდომელი
ხალხის გულისკენ ვინც კარებს ალებს,
და მისი განძის არის მფლობელი!
ამერ და იმერ, დე, დაინერგოს
წესი ურყევი, ვით კლდე, მაგარი,
ხალხს უნდა ერგოს, უნდა შეერგოს
მისი ნაღვანი და მონაგარი!
ვერ გვწვდეს, ვით ვეფხს კლანჭები
კატის,
თითო-ოროლა შვილი გაგრია,
მიიღებს მისას, ვინაც ლალატით
უნწყალოდ გძარცვა და დაგანგრია!
უნდა აყვავდე სიკეთის რწმენით,
ალალ-მართალთა ნუგეშ-იმედად,
ხარობდეს მყარად ქართული გენი,
ლოცავდეს შენს დიდ გზას ქართლის
დედა!
ქართული მინავ, ხარ სანალკოტე,
ახარებ მკერდზე ტიტებს და ვარდებს,
შენ უნდა შლიდე ნატვრის ხის ტოტებს,
ედემის ბალად უნდა აყვავდე!

თბილისის საიუბილეო

ქართლის შვილებმა ჩავიდგეს ბურჯი
და გიშენებდნენ ურღვევ კარიბჭეს,
მათ დაგიმარცხეს დუშმანი ურჩი
და უკვდავება შენ მოგანიჭეს.
ზღაპრის მშვენიერების აბრწყინებს ეშხი
შენი მიწის მკერდს და ზეცის
თალებს;

დღეს საქართველო აგიყვანს ხელში,
რა წარმტაცი ხარ ყველას ანახებს!

ჭეშმარიტება

ჭეშმარიტების მივდევ ნათებას,
სანთლით დავეძებ, ფიქრებში
ვხედავ,
როცა ვარსკვლავად აკიაფდება,
ვერევი მაშინ ტკივილს და სევდას.
კაცობრიობის გონის სიკეთე
იშვიათობით არის დიადი,
ცხოვრების გზებზე შუქს იგი
გვინთებს,
ჩამოეცლება გულს ხვაშიადი.
რომ მივაკვლიო, სამყაროს ვქექავ,
და ისტორიის ვაბრუნებ ტომებს,
დავანთებ ცეცხლს და ძლიერ
დავჭექავ,
შევერკინები ცდომილთა ლომებს.
მინდა მივწვდე იქ, სადაც
სადგურობს,
რაშიც ძლიერად არის ჩასული,
ავაბრდღვიალებ აზრის ნათურებს
ჩვენი ლამაზი სიტყვით ქართულით.
ძნელია პოვნა, ვით ყველა განძის,
ვით დიდი სიღრმის, ძნელია წვდომა,
როგორცა ჩვენი დიდების ვაზი,
ითხოვს ის სპეტაკ გულსა და
შრომას.
ნულარ დავეძებთ, ვერ ვპოვებთ
მისხალს
იმას ტირანთა ავ კოჰორტაში,
მძლავრ არმიათა არ ახლავს
რისხვას,
არაა იგი მლიქვნელთა ტაშში!
ვერ ნახავთ ჭერქვეშ თუნდაც
მსოფლიოს
ყველაზე ცნობილ სრა-სასახლეთა,
ვერ ეუფლება, დაშნით რომ სდიოს
მხედრიონთ გუნდი მას
ყოვლის მძლეთა!
ვერ იხელთებენ ძალით და შიშით,
არ ხურდავდება დოლარ-მარკებად,
არ იბადება ზოზინა ტვინში,
მრუდი საჭრეთლით არ შანდაკდება;
არც დიდრონ სკივრში დაუდევს ბინა,
სიმდიდრის ურიცხვ მთებს განერიდა,
ვერც ოქრო-ვერცხლი და
ვერცა რკინა
ვერ უბნევს გზა-კვალს და
რჩება წმინდად!
ვაგნებ მის ბრწყინვას
დაღლილი თვალით
მაშვრალთა ოფლში, რომ არ
დამშრალა;
ის მასთანაა, უშრეტი ძალის
სიბრძნის ალაში ვინაც გაშალა!
ვპოულობ კიდევ ნაოჭში შუბლის,
ბრძენთა ბრძენთ ფიქრთა
სიღრმეში უხვად,
აზრთ კორიფეთა კოცონში გულის,
ვინც ღვას კაცთ მოდგმის რწმენის
ბერმუხად!..
ჭეშმარიტება დედის რძეშია
და მამის კაცურ ღრმა საუბარში,
ჩვენი ცხოვრების დიდი ეშხია,
სულის ალია გონის ბუხარში!
მისი მარცვალი ჩვენი განძია,
როგორც კრისტალი შუქით უცვლელი,
ჭეშმარიტია ჯიხა, ვარძია,
სიტყვა ილიას, აზრი რუსთველის...
ვიცხოვროთ უნდა ჭეშმარიტებით –
ბედნიერების გზა ნათელი,
კაცობის ტვირთი ვატაროთ მხრებით,
აი, ასეთი მწამს მე ქართველი!

ავტობიოგრაფიული, როგორც უნარი

იური ბიბილეიშვილი

გამოჩენილი მწერლის ცხოვრების, აზროვნებისა და შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლა საშური საქმეა. ამისათვის მნიშვნელოვანია ყოველი ფაქტი და დეტალი, რაშიც მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელების სირთულეები პოულობს ასახვას. ავტორის სახასიათო ნიშან-თვისებები და მინიშნებები ამ ინტერესის დაკმაყოფილების წყაროებია, პირველ რიგში, თვით მხატვრული ქმნილებები, შემდეგ მემუარები. როგორც ერთ-ერთი წყარო საყვარელი მწერლის თანამედროვეთა მოგონებები და მემუარები, როგორც ერთ-ერთი წყარო საყვარელი მწერლის პიროვნების შესასწავლად.

მაგრამ არის თემები და საკითხები, რომლებიც შეიძლება ვერ ჩაჯდეს ვერც მხატვრულ ნაწარმოებში და ვერც ავტობიოგრაფიის ჩარჩოებში. მაგალითად, ვაჟა-ფშაველამ საკმაოდ შინაარსიანი ავტობიოგრაფია დაგვიტოვა („ჩემი წუთისოფელი“), მაგრამ შემდეგ მაინც შექმნა ცნობილი „Pro domo sua“ (1896) და გააკეთა უაღრესად საინტერესო და პრინციპული განმარტებები საკუთარი შემოქმედების აქტუალურ საკითხებზე, ერთი მწერლის მეორე მწერალზე გავლენების შესახებ, რაც მკითხველს უფრო სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის ვაჟას ნაწარმოებების ხასიათისა და შინაარსის გააზრება-შეფასებისათვის.

ასევე საინტერესო ავტობიოგრაფია შექმნა მიხეილ ჯავახიშვილმა, მაგრამ ცალკე დაწერა „როგორ ვმუშაობ“, „როგორ იწერებოდა“, „არსენა მარაბდელი“, რადგან იმ თემებს, რასაც შეიცავს წერილი „როგორ ვმუშაობ“, ავტობიოგრაფიულად არ თვლიდა მწერალი და შენიშნავს კიდევ: „მართალია, მხატვრულ შემოქმედებას მალე დავანებე თავი და თითქმის ოც წელიწადს ვდღეობდი, მაგრამ ამას გვერდს ვერ ავუხვევ. ავტობიოგრაფია სხვა დროისათვის იყოს (ტ. VI, გვ. 383).

ავტობიოგრაფიულ ნიმუშად მიგვაჩნია რევაზ მიშველაძის ვრცელი წერილი „ჩემზე“, რომელიც სპეციალურად დაწერა ჩვენი წიგნისათვის „რევაზ მიშველაძე სალიტერატურო კრიტიკაში“ (2010 წ.).

ახლა სამივე (ვაჟას „Pro domo sua“, მ. ჯავახიშვილის „როგორ ვმუშაობ“, რევაზ მიშველაძის „ჩემზე“) ლიტერატურის ისტორიის პირველხარისხოვანი მასალაა. ისინი მემუარებად არ მიგვაჩნია, ისინი სხვა ჟანრის ნაწარმოებებია, რომლებსაც ლიტერატურის ისტორიაში პირველად მოუძებნა საკუთარი სახელი მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა და უწოდა „ავტობიოგრაფიული“, თავადაც შექმნა „ავტობიოგრაფიული“ საუკეთესო ნიმუში და მისი განმარტებაც ჩამოაყალიბა. „რა არის ეს (ავტობიოგრაფიული – ი. ბ.), ჟურნალისტიკის ახალი ჟანრი? – სვამს კითხვას მწერალი და უპასუხებს, – არა. მწერალი წერს, რაც მას აინტერესებს, რაც იცის ან იმაზე, რაშიც შედევს სურს თავად, ყველა ადამიანს, საერთოდ და მომავალ მკითხველს, ანუ ეკითხება თავის თავს და იმ კითხვებზე თავადვე პასუხობს...“ მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის „როგორ ვმუშაობ?“ ავტობიოგრაფიული კითხვებზე „რა მასალა უფრო მშველის?“, „პირველ იმპულსს რა მადლევს?“, „როდის ვმუშაობ?“, „რამდენ საათს ვმუშაობ?“, „მაქვს თუ არა წინასწარი გეგმა?“, „რაზე უფრო ვამყარებ სახეს, სმენაზე თუ თვალზე?“ და ა. შ.

საკუთარ თავზე და თავის ეპოქის უმწვევარეს საკითხებზე გვთავაზობს მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი საუბარს საკუთარ თავთან. „ვინ ხარ, ჭაბუა ამირეჯიბო, საიდან მოდიხარ? „საიდან და როგორ დაიწყო შენი „უკულმართი“ ცხოვრება?“ „როდის დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა?“ „რით ვარ დაინტერესებული, რაზე მსურს ვილაპარაკო?“ „რა არის ადამიანი, როგორ ცხოვრობს მზისა ქვეშ, როგორ და როდის მიდის უმჯობეს სამყაროში?“ ამ კითხვებზე პასუხის გამო კონტრკითხვას უსვამს მწერალი საკუთარ თავს და თითქოს ნათქვამის შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს მისგან: „მგონია, ადამიანის სიკვდილის გამო მოსაზრებებს იმპერიების ცხოველმომქმედებაზედაც ავრცელებ“; ამას მოჰყვება

კითხვები თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ბედზე: „რაზე ოცნებობ, როგორი აზრის ხარ საქართველოს სინამდვილესა და მომავალზე?“ „რა აზრის ხარ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე?“ „ავტობიოგრაფიული“ – ს ამთავრებს მწერალი ისევ საკუთარ თემებზე: „როგორ მოიქცეოდი, სიცოცხლის თავიდან გამოვლა რომ დაგჭირვებოდა?“ „შენი შემოქმედებითი ლაბორატორიის გამო რას იტყვი?“.

საბჭოთა იმპერია ჯერ კიდევ მყარად გრძნობდა თავს, როცა მის მომავალზე ასეთ ფიქრებს უზიარებდა მწერალი საკუთარ თავს: „ცნობილია, იმპერიებს აარსებს ერთი რომელიმე ერი, ხალხი, როგორც გნებავთ, ისე დაარქვით. დროთა ვითარებაში ეს წარმონაქმნი „ჩაგრულ“ და „მჩაგვრელთა“ მრავალეროვან სახელმწიფოდ ყალიბდება. როცა წინააღმდეგობები კულმინაციას აღწევს, იწყება თანდათანობითი რღევა და, ზოგ შემთხვევაში, კატაკლიზმური ნგრევაც... რუსეთის იმპერიის ფინალიც ისეთივე იქნება, როგორც სხვა იმპერიებისა იყო. მგონია, თითქმის დარწმუნებული ვარ, ფინალს დღევანდელი ახალი თაობა მოესწრება“.

კითხვაზე „რა აზრის ხარ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე?“ – ჭაბუა ამირეჯიბი ორიგინალურ პასუხს გვთავაზობს. მწერალი თვლის, რომ რუსეთი დიდი და უდავოდ, ძლიერი სახელმწიფო და ამდენად საქართველოსათვის საშიში მეზობელია. მაგრამ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთი ყოველთვის ვერ იქნება დიდი სახელმწიფო, რომ მუშტი ქოქოსის კაკალში აქვს (ეს არის მაიმუნის მონადირეების ხერხი: ქოქოსში კეთდება მცირე ზომის ნახვრეტი, შიგ ჩაიდება გაფხეკილი სურნელოვანი სტაფილოს ნაჭერი: სურნელებით მოტყუებული მაიმუნი ხელს ჰყოფს ნახვრეტში. ჩაბღუჯავს სტაფილოს ნაჭერს, მაგრამ ძლივძლივობით ჩატეული ხელი მუშტად შეკრული, ზემოთ ვეღარ ამოღებს. ქოქოსი მკვიდრად არის დაბმული. მაიმუნს მუშტის გაშლა აზრადაც არ მოსდის-მოიპოვია! ამის შემდეგ მონადირე ადვილად იჭერს მაიმუნს „ჩაჭიდების რეფლექსმა იმუშავა“!). რუსეთი საკუთარ წინააღმდეგობებს თავს ვერ დააღწევს, „მაგრამ ამის შედეგს რამდენი დრო დასჭირდება, ღმერთმა იცის“ – დასძენს მწერალი.


საგულისხმო დეტალებს გვაცნობს მწერალი საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაზე საუბარში: „ვწერ ნელა და ძნელად, მაგრამ სადა, ადვილი ენით, შესაძლებლობისდამიხედვით – გასაგებად რთულსა და ხელუხლებელ თემებზე. წერას ვიწყებ მხოლოდ მას მერე, როცა წიგნს მთლიანად დავინახავ და იმ ნაწყვეტით, რომელიც იმ მომენტში მხეხასიათება. გადავდებ და ნაწიკითხავ მხოლოდ ორიოდ კვირის შემდეგ ან „ჭკუაზე მოვიყვან“, ან კალათაში ჩავყრი. გამოვტყდები, უარყოფა იშვიათად ხდება.“

ხელნაწერს არავის ვუშლა. ყოველთვის მაინტერესებს სხვათა აზრი, ამა თუ იმ მცირე ნაჭრის გამოც კი. როგორც ვთქვი, განწყობილების მიხედვით ვწერ წიგნის ნაწილებს. ეს შესაძლოა ფინალიც იყოს.

როცა ეს ნაწყვეტები დაწერილია, აი, მაშინ იწყება ყველაზე რთული სამუშაო-კომპოზიცია, ანუ ამ ნაჭრების ერთ წიგნად შეკვრა, მუშაობა მასალის სწორ განლაგებაზე, ერთობლიობად ქცევაზე“. მაგალითად საგულისხმოდ მიგვაჩნია მწერლის შეხედულება ადამიანის მიერ საკუთარი მისიის შესრულების თაობაზე. ბედნიერია ადამიანი, როცა მისთვის დაბადებიდანვე მინიჭებულ ფუნქციას აღასრულებს და დამშვიდებული მიდის ამქვეყნიდან.

მწერალი ჭაბუა ამირეჯიბის „ავტობიოგრაფიული“ ნაკითხვის შემდეგ გიჩნდებათ სურვილი ყველა გამოჩენილი მწერალი ერთ-ორ ავტობიოგრაფიულს მაინც ქმნიდეს თანამედროვე და მომავალი მკითხველისათვის.

ჭაბუა ამირეჯიბის „ავტობიოგრაფიული“ ორიგინალობის ბეჭედი აზის. იგი ერთნაირად საინტერესოა, როგორც შემოქმედებით, ისე მწერლის პიროვნულ თავისებურებებზე დაკვირვებისათვის, მით უმეტეს, როცა ეს მწერალი მკითხველს უკვე აღიარებული ჰყავს კლასიკოსად.



შოთა ზოიძე – 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა ახმედის ძე ზოიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო შოთა!
ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს, XXI საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ ბურჟუა და მეციხოვნეს.

დიხაბაც რომ მეციხოვნე ბრძანდებით თქვენი სამშობლოსი, მეციხოვნე საქართველოს იმ უმშვენიერესი კუთხისა, სამასი წელი რომ გმინავდა დამპყრობელის უღელქვეშ და მაინც არ იდრიკებოდა, მაინც დედა საქართველოსკენ ეჭირა თვალი. სამასი წელი ვახსენეთ და მტკიცედ გვწამს, რომ თუ საჭირო შეიქნა, მართლაც სამასი არაგველივით თუ სპარტელივით მკერდით გადღეფარებით თქვენს სათაყვანებელ და საესავ მინას, საიდანაც პირველად გამოკრთა ქრისტეს ის ღვთაებრივი ათინათი, XXI საუკუნეშიც საოცარი მადლითა და მორონით რომ ინახავს ერთი მუჭა ქართველობის არსებობას ჯუნგლად ქცეულ დედამიწაზე.

თქვენი სამწერლო ხელდასხმა წინარე საუკუნის 50-იან წლებში მოხდა, როდესაც გაზეთ „აჭარაში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. თქვენი პოეზიის ძირითადი თემა სამშობლოა, მისი ბედი თუ უბედობა, მისი წარსული და მომავალი. ვაჟაკური ქედუხრელობისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის აპოლოგიაა თქვენი სტრიქონები და ამიტომაც შეიყვარა ის ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა გულწრფელობისთვის, ორიგინალურობისკენ და უოკებელი სწრაფვისათვის, სათქმელის ცხადად და მართლად გამოხატვისათვის, სახეობრივი აზროვნებისათვის.

ყოველივე ამის ჩინებულ დასტურს წარმოადგენს თქვენი პოეტური კრებულები „სიხლოვე“, „ათასი ზარი“, „პაემანი წვიმაში“, „უსანქციო სონეტები“, „სიყვარულის ახსნა“, „დიდი ქალაქი“, „სვეტი ნათლისა“, „წითელი თოვლი“, „თეთრი ქალაქები“, „არმაზის მსხვერვა“, „შემოღობილი მუზა“, ერთტომეული, რჩეული ორტომეული...

თქვენი პოეზია, რომელიც თარგმნილია ინგლისურ, თურქმენულ, უზბეკურ, ყაზახურ, უკრაინულ, სომხურ, თურქულ, რუსულ ენებზე, ჭეშმარიტი შთაგონების წყარო გახდა ისეთი დიდი კომპოზიტორისთვის, როგორიც გიორგი ცაბაძე იყო. ამ მართლაც ყველასთვის საყვარელმა კომპოზიტორმა თქვენს ლექსებზე არაერთი დიდებული სიმღერა შექმნა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობა. მართლაც რომ დიდებულად თარგმნეთ ფეოდორ ტიუტჩევის, ათანასე ფეტის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდ ბლოკის, სერგეი ესენინის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევის, ევგენი ევტუშენკოს, კონსტანტინე სიმონოვის პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

ძალზე საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ესსეები გამოაქვეყნეთ ქართული მწერლობის ისეთ კორიფეებზე, როგორიც იყვნენ დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე... ამ თქვენმა ნააზრებმა დაივანა ისეთი წიგნებში, როგორიცაა „ილია – საქართველოს გოლგოთა“, „ანა დედოფალი“, „ჯვარცმული ფიქრი“, „ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა“, „ძმები“, „სიყვარულის გაკვეთილები“, „ესეები“ (2 წიგნად)...

დიდი და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით გამომცემლობა „აჭარის“ რედაქტორად, გაზეთ „აჭარის“ განყოფილების გამგედ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ბათუმის კონსერვატორიის კათედრის გამგედ, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორად, გაზეთ „მამულის“ მთავარ რედაქტორად, ეროვნული ცნობიერების დაცვის საზოგადოების „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

მონიჭებული გაქვთ საქართველოს სახელმწიფო პრემია, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიები. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. ბატონო შოთა!

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

თეთრი ქალაქი

თეთრი ქალაქი რომ ვახსენეთ, მკითხველს უპირველესად ალბათ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შეფენილი თელავის იმ ნაწილისკენ გაექცა მზერა, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში ნაციტურ ტალღას გარიდებულ ებრაელ არქიტექტორთა ძალისხმევით დაიბადა. ბაუშაუზის სტილში გადაწყვეტილი ათასობით ნაგებობა მსოფლიო მოდერნიზტული არქიტექტურის უდიდეს კონცენტრაციადა იქცა და ამიტომაც აღმოჩნდა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში თეთრ ქალაქად ნოდებული. თუმცა, ამჯერად ამ თეთრ ქალაქზე არ ვაზიარებლავთ ყურადღებას, ჩვენ მწერლის თვალთა დახაზული სხვა თეთრი ქალაქის შესახებ გვსურს ვესაუბროთ მკითხველს.

გიორგი სოსიაშვილის „თეთრა ქალაქმა“ ახლანახსნილია სამხე. ეს საერთო არქიტექტონიკით შეკრული მცირე ზომის ნოველებია, რომლებიც წმინდა მინაზე მოგზაურობის ავტორისეულ შთაბეჭდილებებს წარმოადგენს. სატონანად მოცემული ბიბლიური სიუჟეტები, რეალური და ირეალური წარმოსახვითი პასაჟიურ ტექსტს მისტიურ საბურველში ხვდვს და დოკუმენტური პროზის საინტერესო ნიმუშად აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში მოქმედ პიროთა გალერეა საკმაოდ მრავალფეროვანია და მსჯელობაც მრავალპლანიანი პალიტირით გახლავთ მოცემული, ჩვენი საუბრის თემა ერთგვარად ლოკალიზებულია და ერთ თემას წარმოადგენს. მწერლის მიერ იერუსალიმის წმინდა მინაზე ფეხის დაბიჯებით აღძრული ემოციის ჩვენება და ამ ემოციით გამოწვეული განცდების ლაბირინთებში ვსურს მეგზურობა გავუწეოთ მკითხველს.

„თეთრი ქალაქი“ პირველი ფურცლებიდანვე ერთი ამოსუნთქვით იკითხება. შეჩერების საშუალებას არ გიტოვებს თავიდანვე გაცხადებული ინტერესი იდუმალის მიმართ. თხრობის სიუჟეტური განვითარების ლოგიკური ხაზი ეფუძნება ერთის მხრივ ნანახი და განცდილი რეალობის ტრანსლირებას, ხოლო მეორეს მხრივ, ოსტატურად მიგნებულ სახარებისეულ აღუზიარებას და მთხრობელის მიერ ოსტატურად შექმნილი ფანტასმაგორიული შუქჩრდილებით შესაბამეული ყოფიერი მოვლენების რეალურობის განცდას.

ხშირად ავტორი არ იფარავლება მხოლოდ აღწერითი ასპექტებით და მკითხველიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იქცევა დაფიქრებული თეორეტიკოსის თვალით დანახულ სიღრმისეულ მეტამორფოზათა თანამონაწილედ: „დედა ღვთის კარზე... ასცქერი ვარსკვლავებით დაზორტილ ცას და თითქო თვალნათლივ არჩევ ანგელოზებს. აქ გატარებული თითოეული წუთი მივლ ცხოვრებას გიღირს. თითქო საკუთარი წუთისოფლის დღეებს, საათებს, წუთებსა და წამებს კადრებით უმზერ და საბოლოოდ ხედავ შენ თავს - ვინ ხარ, რა გინდა, საკუთარი უსუსურობისა და უზადრუკობის შეგრძნება გიმძაფრდება. თეთრ ქალაქში ნებიერებს ღვთიური ღამე. ყველაფერი ამ ქალაქს უკავშირდება. აქ იბვა ღვთის სიტყვა, ადამ და ევა... ჩვენი ფეხებზეც ხომ ამ ქალაქს უკავშირდება. აქ მოვიხილეთ თიხისგან და აქვე შთაბავებრა სული სამყაროს შემოქმედმა“ (გვ. 68).

როგორც ვამბობდით, ეს არ არის რაიმე კონკრეტული მიზნით დაწერილი ნიჭი. იგი მწერლის იერუსალიმში ხანმოკლე ვიზიტის ანარეკლი გახლავთ ძალზე ორგანულად ჩანწული მოგონებებით, რომლებიც მოხდენილად მონაცვლეობს წარსულსა და აწმყოს შორის.

მთხრობელის მიერ უგულვებელყოფილია მოგზაურობის ზუსტი თანმიმდევრობა. მერე რა, რომ ეს მოგზაურობა ხანმოკლეა, მერე რა, რომ იგი უსრულდება დღის მანძილზე გრძელდება, სამაგიეროდ მას წინ უღვდის მრავალწლიანი ფიქრი თეთრ ქალაქზე. მის საოცნებო წილში მოხვედრის იმედი დიდ ხანია ავტორის სტულის წაწილად ქცეულია და ამიტომაც არ აფერხებს მწერალს იქ, ახდენილ ოცნებაში, გატარებული რამდენიმე დღის მწველი შთაბეჭდილებების აკიდო: „დედადამ მეზმანება იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. ბევრჯერ ვყოფილვარ წარმოსახვით, ბევრჯერ შემდილა მისი ქიშკარი, ის კი არა, სამრეკლოს ქვეშ მოქცეულვარ და ზარი დამირისხებია.“

სამრეკლოსკენ იზიარება ჯვრის მონასტრის კრებული; გაკვირვებით ამოსცქერიან ქართული ბერები - ვინ დარეკა ზარი? ვილაც აპარულა სამრეკლოზე...

სიზმარი... სიზმარი... რამ ამიყვანა მე უღირსი ჯვრის მონასტრის სამრეკლოზე?“ (გვ. 80)

იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის დედოზარის ხმას ისეთი პასიონარული ქარიზმა შემოაქვს ტექსტში, რომ მკითხველის მესხიერებიდან წარმოსახვითა გამკრთალეების ალბათობა ძალზე მცირეა: „წამოსვლის წინ მესიზმრა იერუსალიმის ქართველთა მონასტერი: ახალგაზრდა მნათე რეკავდა ზარს. ცისკრის წირვა იწყებოდა; ლევაზ დაღანის მიერ შემოწირული ზარი რეკავდა სამრეკლოზე და განთიადს ეგებებოდა მონასტრის ეზოში შეკრებილი ჯვრის კრებული. სადაც იყო, ჯვრის ვიდეა გამოარძანებოდა და წირვას დაიწყებდნენ. ვადექი და ავცქერიოდა ციხესიმაგრის მხვავს მონასტერს. რამდენი სისხლი და ვაება ენახა ქართველთა მიერ ნაგებ უზარმაზარ კედლებს; რამდენი ქართველი ბერის სიცოცხლე ჩაფრფილდა ლოცვაში, შრომასა და სამშობლოს მონატრებაში. ცისკრის ნათელი ადგა ჯვრის მონასტერს და თითქო ამ კედლებს მოღვანე ყველა თაობის ბერი ერთად შეკრებილიყო.“

ჯვრის მამას შეეგებნენ თავშებურული ბერები. უფრო ხმამაღლა ისმოდა ზარის რეკვა, იტყოდი, ქვეყნიერებას გასწვდებოდა ქართული ზარის ხმა...“ (გვ. 81)

თეთრი ქალაქის ზღურბლზე გადაბიჯება მეორედ დაბადების და პიროვნული მისიის გარდამტეხი მისტერიაა. ყოველდღიური ადამიანური ყოფისთვის დამახასიათებელი ადრეული გნოსტიკური კულტურის დინებებიდან თავის დაღწევასა და სუფთა ჰაერის შეგრძნებასთან ასოცირდება. საზოგადოდ მთხრობელი მშვიდი და ჰარმონიული ფერებით შესრულებულ ტილოს გვთავაზობს. როგორც კი თეთრი ქალაქის ზღურბლს მიატან, მინიერი ქალაქის გავლით, ზეციურ იერუსალიმში სტუმრობის განცდა გეუფლება. ქალაქში, რომლისთვისაც უცხოა აგრესია, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიენიღო...

„თითქოს ღრუბლებისკენ მიემართებოდეს გზა, ცოტაც და ზეციური ქალაქის კარიბჭეს მივატანთ. ღმერთის საუფლოს ვუახლოვდებით. აქ უკვე ნაშტის ესთეტური მიზანიანობა. ასეთი დეტალებიდან უფრო მძაფრია მწერლის ინდივიდუალური ბუნების შეგრძნება. მის იდენტობას ხაზს უსვამს წინა პლანზე გამოტანილი სათქმელი. ბუნებრივია, იგი პირველ რიგში იმ მესიჯს გვთავაზობს, რაც მისთვისაა უმთავრესი და მნიშვნელოვანი.“

გეტესტი შთამბეჭდავდა ჩანწული შინაარსის მიმართ სრულიად რელიგიანტური ბიბლიური ინტონაციებით ისე, რომ ავტორი ინარჩუნებს ტექსტის ესთეტურ მიზანიანობას. ასეთი დეტალებიდან უფრო მძაფრია მწერლის ინდივიდუალური ბუნების შეგრძნება. მის იდენტობას ხაზს უსვამს წინა პლანზე გამოტანილი სათქმელი. ბუნებრივია, იგი პირველ რიგში იმ მესიჯს გვთავაზობს, რაც მისთვისაა უმთავრესი და მნიშვნელოვანი.

საგულისხმო დეტალია გოდების კედელთან მიხლევის სცენა: „მივდივარ და ჩემი თავი შესანიშნავი კრავივით მიმყავს ვეება კედელთან - თან სინანული, თან ნატვრა... როგორც გინდა ინანო, როგორც გინდა ივეემო საკუთარი თავი, გულის კუნჭულში მინც ნატვრა გაქვს. რატომ? იმიტომ, რომ აღდამიანი ხარ. ღმერთმა დაიფაროს ადამიანი მარტო სინანულით ცხოვრობდეს! მაშინ ერთი სუდარა და დავტყორცებოდა. სიცოცხლის ნატვრა უხდებდა ყველა რალაცას ნატვრობა - მიდგირი დაწვეული და ასკეტი ბერით დამთავრებული. ნატვრაც დარდივით განანულებულა ადამიანთა მოდგმაში“ (გვ. 169).

„თეთრი ქალაქის“ კითხვისას ვგულვება განცდა, რომ ეს არ არის უზრალოდ წარსულში წაწიის გამმოცემა ეს უფრო წინაპირა შორეული სამყოფილიდან მოწვევნილი ხმაა, მოკრძალება, ხსოვნა და შენი სულის ამძახილიც ერთდროულად. ეს ყველაზე უფრო მოხდენილი გზაა ადეკვატურ წარმოდგენებამდე, რეალობის სრულყოფილად აღქმამდე.

საგულისხმოა, რომ თეთრ ქალაქში დრო თითქოს გაყურსა. ეს არ არის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი მძაფრი საბრძოლო ვენების და საინფორმაციო საშუალებებით განხორციელებული მედია შერკინებების ანარეკლი. უკანა რიგებიდან გვადევნებს თვალს ანალიტიკოსებისა და ექსპერტების მიერ ხელდასხმული მოვლენების ე.წ. „ობიექტური“ გამოქვება. ძირითადი ადგილი მიკუთვნებული აქვს მსუყედ წარმოდგენილ, რეალობის მწერლივესულ, სუბიექტურ აღქმას. არა მიუკერძოებელი არბიტრის შეუვალ პოზიცია, არამედ გულგახსნილი მთხრობელის საკუთარ ხედვას, ეს თვითმხილველის თავგადასავალია, მოთხრობილი სულისშემძვრული ემოციათა და განცდით.

ასეთი წმინდა მინაზე პირველად სტუმრობის ემოცია: „თითქო უსხეულად მივაბიჯებ; სულია თუ სხეული, ვეღარ ვიგებ. საკუთარი თავისას რო ვერ იგებ, ამ უკიდვანო სამყაროს როგორ შეიცწნო, უზენაესის საიდუმლოებას როგორ ჩასწვდები-რისთვის შეეჭმნა, რისთვის გაგაჩინა, რისთვის გაქცია შესაქმის გვირგვინად?!...“ (გვ. 18).

ასეთი იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში პირველად სტუმრობის ემოციი: „შევიდვართ და მუხლები მიერთის. ძველ საქართველოში დავბრუნდ... იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ვარ; ამისრულდა ბავშვობის ოცნება. თვალწინ ისევე გამოიწვია კედელზე ჭიკარბით მიმაგრებული რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავის დროზე ბერმა ტმითემ აღმოაჩინა და ქართულ საზოგადოებას ამცნო. ქართულ წარწერებსა და ფრესკებს მონუსხული ვაკვირდები. ღმერთო დიდებულო! ეს რა საოცრებაა! რა წინაპრები გვაგაფადა, რა ქვეყანა გექონდა. არა მარტო ჩვენს სამშობლოში, აქაც ვამტკიცებდით ქრისტეს გასაოცარ მხედრობას“ (გვ. 96).

გიორგი სოსიაშვილის „თეთრი ქალაქის“ ერთერთ ღირსებად ფრწაზით კვლუცობის მინიმუმამდე დაყვანა და უზრალობა მივაჩინია, რაც ავტორის დიდ შინაგან ტაქტს წარმოადგენს. თითოეული სიტყვა, თითოეული დიალოგი ბუნებრივი, ხალასი სასაუბრო ენითაა დამოკმეული. მკითხველი მრავლად შეხვდება ტექსტის მაცოცხლებელი გულახდილობით გაჯერებულ სცენებს.

„იტყვი, მთელი ცხოვრება ბისტიანი თვალებით მივლია და მხოლოდ ახლა დამბოროდა თვალისაწინა. რისთვის მოგიყვანა უფალმა? რისთვის დავგანახვა თვალისწინა სამყარო? რისთვის ვაგაჩვენა ერთმანეთი? გადის წლები და ვერც ვგრძნობთ როგორ იწურება ჩვენი ერთად ყოფნის წლები, დღეები, საათები, წუთები... ვერ ვგრძნობთ, როგორ ვმორღებთ ერთმანეთს.“

აქ თითქო მადლიდან დასცქერი საკუთარ თავს, ხედები, ვინც ხარ, რას წარმოადგენ, რა როლი გა...

„ვია დოლოროსას“ გზა. ეს აღმართიც ყველას გვაქვს ასავლელი. ჩვენი ცხოვრება არაფერი იქნებოდა ამ აღმართის გარეშე. გოლგოთაა ყველაფრის მთავარი დამავირგვინებელი; ჩვენც გვაქვს ჩვენი წილი ადამიანური ბეთლემი და ჩვენც გვაქვს ჩვენი წილი „ვია დოლოროსა“.

ეს გზა უნდა გაიაროს ყველამ. ტკბილ-მწარე სავლია... ვილაც ფეხს ნამოკრავს, ვილაც შეგაფურთხებს, ვილაც ქვას გესერის... ნაიქცვიე და თავპირით დაენარცხები, მაგრამ იქამდე მანც უნდა ააღწიო. სადღაც სვიმონ კვირინელიც დაგხედება, ოდნავ შეებას რო მოგცემს და ჯვრის ტარებაში შეეჭმელება. მთავარია, რო ბლომდე იარო. მაცხოვარმა გაიარა ეს გზა და მოგცევა მაგალითი. ჩვენი გოლგოთა, ჩვენი „ვია დოლოროსა“ რა მოსატანია იმ ერთი უთქმელ ნამებასთან, რაც იესომ განიცადა... (გვ. 141)

გეტესტი შთამბეჭდავდა ჩანწული შინაარსის მიმართ სრულიად რელიგიანტური ბიბლიური ინტონაციებით ისე, რომ ავტორი ინარჩუნებს ტექსტის ესთეტურ მიზანიანობას. ასეთი დეტალებიდან უფრო მძაფრია მწერლის ინდივიდუალური ბუნების შეგრძნება. მის იდენტობას ხაზს უსვამს წინა პლანზე გამოტანილი სათქმელი. ბუნებრივია, იგი პირველ რიგში იმ მესიჯს გვთავაზობს, რაც მისთვისაა უმთავრესი და მნიშვნელოვანი.

საგულისხმო დეტალია გოდების კედელთან მიხლევის სცენა: „მივდივარ და ჩემი თავი შესანიშნავი კრავივით მიმყავს ვეება კედელთან - თან სინანული, თან ნატვრა... როგორც გინდა ინანო, როგორც გინდა ივეემო საკუთარი თავი, გულის კუნჭულში მინც ნატვრა გაქვს. რატომ? იმიტომ, რომ აღდამიანი ხარ. ღმერთმა დაიფაროს ადამიანი მარტო სინანულით ცხოვრობდეს! მაშინ ერთი სუდარა და დავტყორცებოდა. სიცოცხლის ნატვრა უხდებდა ყველა რალაცას ნატვრობა - მიდგირი დაწვეული და ასკეტი ბერით დამთავრებული. ნატვრაც დარდივით განანულებულა ადამიანთა მოდგმაში“ (გვ. 169).

„თეთრი ქალაქის“ კითხვისას ვგულვება განცდა, რომ ეს არ არის უზრალოდ წარსულში წაწიის გამმოცემა ეს უფრო წინაპირა შორეული სამყოფილიდან მოწვევნილი ხმაა, მოკრძალება, ხსოვნა და შენი სულის ამძახილიც ერთდროულად. ეს ყველაზე უფრო მოხდენილი გზაა ადეკვატურ წარმოდგენებამდე, რეალობის სრულყოფილად აღქმამდე.

საგულისხმოა, რომ თეთრ ქალაქში დრო თითქოს გაყურსა. ეს არ არის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი მძაფრი საბრძოლო ვენების და საინფორმაციო საშუალებებით განხორციელებული მედია შერკინებების ანარეკლი. უკანა რიგებიდან გვადევნებს თვალს ანალიტიკოსებისა და ექსპერტების მიერ ხელდასხმული მოვლენების ე.წ. „ობიექტური“ გამოქვება. ძირითადი ადგილი მიკუთვნებული აქვს მსუყედ წარმოდგენილ, რეალობის მწერლივესულ, სუბიექტურ აღქმას. არა მიუკერძოებელი არბიტრის შეუვალ პოზიცია, არამედ გულგახსნილი მთხრობელის საკუთარ ხედვას, ეს თვითმხილველის თავგადასავალია, მოთხრობილი სულისშემძვრული ემოციათა და განცდით.

ასეთი წმინდა მინაზე პირველად სტუმრობის ემოცია: „თითქო უსხეულად მივაბიჯებ; სულია თუ სხეული, ვეღარ ვიგებ. საკუთარი თავისას რო ვერ იგებ, ამ უკიდვანო სამყაროს როგორ შეიცწნო, უზენაესის საიდუმლოებას როგორ ჩასწვდები-რისთვის შეეჭმნა, რისთვის გაგაჩინა, რისთვის გაქცია შესაქმის გვირგვინად?!...“ (გვ. 18).

ასეთი იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში პირველად სტუმრობის ემოციი: „შევიდვართ და მუხლები მიერთის. ძველ საქართველოში დავბრუნდ... იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ვარ; ამისრულდა ბავშვობის ოცნება. თვალწინ ისევე გამოიწვია კედელზე ჭიკარბით მიმაგრებული რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავის დროზე ბერმა ტმითემ აღმოაჩინა და ქართულ საზოგადოებას ამცნო. ქართულ წარწერებსა და ფრესკებს მონუსხული ვაკვირდები. ღმერთო დიდებულო! ეს რა საოცრებაა! რა წინაპრები გვაგაფადა, რა ქვეყანა გექონდა. არა მარტო ჩვენს სამშობლოში, აქაც ვამტკიცებდით ქრისტეს გასაოცარ მხედრობას“ (გვ. 96).

გიორგი სოსიაშვილის „თეთრი ქალაქის“ ერთერთ ღირსებად ფრწაზით კვლუცობის მინიმუმამდე დაყვანა და უზრალობა მივაჩინია, რაც ავტორის დიდ შინაგან ტაქტს წარმოადგენს. თითოეული სიტყვა, თითოეული დიალოგი ბუნებრივი, ხალასი სასაუბრო ენითაა დამოკმეული. მკითხველი მრავლად შეხვდება ტექსტის მაცოცხლებელი გულახდილობით გაჯერებულ სცენებს.

„იტყვი, მთელი ცხოვრება ბისტიანი თვალებით მივლია და მხოლოდ ახლა დამბოროდა თვალისაწინა. რისთვის მოგიყვანა უფალმა? რისთვის დავგანახვა თვალისწინა სამყარო? რისთვის ვაგაჩვენა ერთმანეთი? გადის წლები და ვერც ვგრძნობთ როგორ იწურება ჩვენი ერთად ყოფნის წლები, დღეები, საათები, წუთები... ვერ ვგრძნობთ, როგორ ვმორღებთ ერთმანეთს.“

აქ თითქო მადლიდან დასცქერი საკუთარ თავს, ხედები, ვინც ხარ, რას წარმოადგენ, რა როლი გა...

კისრია და, რა გაგიკეთებია ღვთის წინაშე; შენს უმწეობას გრძნობ; კიდევ იმას გრძნობ, რო სიყვარული შეგიძლია და აქ ყოფნის რალაც გარკვეული დროა დაგრჩა, ვიდრე სხეულიდან გახვალ, ვიდრე იმ განზომილებაში გადაინაცვლებ, სადაც ანგელოზებისა და მინიერი სოფლიდან გასული ადამიანების სულელების დახვნა შეგიძლია. გრძნობ, რო კიდევ დაგრჩა დრო სიყვარულისა...“ (გვ. 176).

მთხრობელის გულწრფელი აღსარების, გულისხმიერი ემოციის პირუთენელად ამსახველი პასაჟები და მკითხველისადმი ალალი დამოკიდებულება განგვიმტკიცებს რწმენას, რომ „თეთრი ქალაქი“ მსატერულ-ლიტურეტური პროზის შენაძენი და მართლაც საინტერესო ნიმუშია. ამ ჟანრის უმთავრესი თავისებურება (და ვფიქრობ უპირატესობაც) ხომ სწორედ ის გახლავთ, რომ მკითხველისთვის ისეთი დეტალური გაცნობის შესაძლებლობები გაიმალოს, რისი ნაკითხვაც სხვაგან შეუძლებელია.

და ბოლოს, ერთი ღამეული ზმანების ეპიზოდსა წარმოვიდგენთ. იერუსალიმი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. აქაური მზეც კი თითქოს სხვაგვარად იქვენება მწერალს. მზე, რომელიც დილიდანვე მოუცილებია, ჯერ სამხრეთული უდაბნოს სუნი არ მოუცილებია და უკვე ჩრდილოეთით გალილის მთებისკენ უჭურავს თვალის, არც იუდეის მიიანეთი გამოეპარება. სამარიის მთებსა და იუდეის უდაბნოს აღმოსავლეთით იორდანის დაბლობსაც მოავლებს თვალს. სამხრეთ-აღმოსავლეთით მკვდარი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ამბებს მოიკითხავს და ძალზედ მსცოვანი, მაგრამ ძველებურად შემართებული და ძალოვანი იერუსალიმის ჯერიც დგება. შეიძლება აქაური მზე მართლაც სხვაგვარია, მაგრამ მწერლის სანაპიროს ამბებს მოიკითხავს სულ სხვა მზეა. ხილული შზისგან სრულიად განსხვავებული, თვალისმომჭერი ამოცურებული მნათობი“ ჩვენი აზრით, მაცხოვრის პიპოსტასს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ შზის ასეთი სახის-მეტყველებითი შინაარსი ერთობ გავრცელებულია, მწერლის მიერ შემთავაზებული ფორმა ორიგინალური და საინტერესოა: „სიზმარში ვნახე ვარდებისთვის ოქრომნათობი. მზე ბევრჯერ დამსიზმრებია. ღამეულ ხილვებში ბევრჯერ ამოუყვია თავი დალოცვილ ცხრათვალას, მაგრამ ეს სულ სხვანაირი მნათობი იყო; თეთრი სხივიც ჰქონდა და უცნაურ ნათელს გამოსცემდა, შზის სინათლისგან განსხვავებულ ნათელს. იქნებ მზე არ არის? ვაკვირდებოდი: ყვითელ მთაზე ჯილასათი იდგა და თეთრი თვალებით დასცქერიდა ამ საოცარ ქალაქს, რომელიც ნათის სხივებში იყო გახვეული; სულ სხივები, სხივები, თვალისმომჭერი სითუთერ იყო ყველად. ჩვეულებრივ მზეს მცირე ხნით მანც უხედავ, ვიდრე შზის ჭიანჭველები დაგესევა და თვალებს დაგიკბენენ, ერთხელ მანც მოასწრებ თვალის შევლებას. შემდეგ მესხიერებაში ჩაგრჩება მისი ელვარება. ყვითელ მზეზე ამოცურებული მნათობი ოდნავდაც ვერ შევაველე თვალს. მზერა ვერ დავიმორჩილეთრიად მიწოდორში ვიდექი და თვალისმომჭერი სიქათათო იყო ირგვლივ. სულის შემსუთველ ხვატში სუთთქვა მიჭორდა, ყველი თითქო თოქს მიჭერდნენ და, სადაც იყო ხროტინს დაჟინყებდი. უცბად ენით უთქმელი ნეტარება ვიგრძენი. ამ პაპანაქება სიცხეში, თოვლის ფანტელი დამეცა მკვალზე; ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე... ეცემიან ფიფქები და გაურკვეველი მიმართულეებით მიფრინავენ. ვაკვირდები და... ღმერთო დიდებულო, ანგელოზები! ფიფქები კი არა, ანგელოზები არიან!“ (გვ. 107)

„თეთრი ქალაქის“ მრავალფეროვან პალიტრას მკვეთრ ფერად გასდევს ცხოველი სიყვარულის გრძნობა. სიყვარულის განცდა მოყვასის, ადამიანების მიმართ. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში, ღვთის საუფლოში სტუმრობის სცენიდან ერთი ეპიზოდი ჩაგვრჩა მესხიერებაში, რომელიც, ვფიქრობთ, ავტორისეული სულიერი კრწელა გაცხადებული. მხედველობაში გვაქვს უკუნ სიბნელები წყლის წვეთის საკრალური ხმაური, წყლის, როგორც განახლების, მარადიულობის არქიტეკონი, რომელიც ღვთის იმედით მომავლის რწმენასთან ასოცირდება. წყლის წვეთი უკუნს კვეთს და მომავლის რწმენას გინერგავს: „წინ უუხნი სიბნელება... არანაძიერ მღუმარებს წყლის წვეთის ხმა არღვევს, რომელიც ყოველ ზუთ ნამში ეცემა და უცნაურ მუსიკას გამოსცემს...“ (გვ. 101)

მკითხველმა კარგად უნყის, რომ გიორგი სოსიაშვილის პროზისთვის მსატერული სახეებით აზროვნებაა დამახასიათებელი. მოქმედ პიროთა გალერეაში თითოეული პერსონაჟი დიდი სიფრთხილით და ოსტატობით გახლავთ ნაქერი. თვითმყოფადი ლიტერატურული ადლოს წყალობით ენა მსუყე და მოქნილია, ხოლო მსატერული პალიტრა მრავალფეროვანი და სუბიექტური თვალთახევი თქმნილი.

რაც შეეხება საერთო ენობრივ ქსოვილს, სინტაქსური და სტილისტური დინამიკა ორგანული და რელევანტურია.

გიორგი სოსიაშვილის „თეთრ ქალაქში“ ავტორის ყურადღება ხშირად კონცენტრირდება მძაფრი ესთეტიკური ტრავიზმით აღწერილ დეტალებზე, რის გამოც ძირითადი ტექსტი კიდევ უფრო მახლობელი და საინტერესო ხდება.

ყოველივე ზემო თქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ მკითხველს არ გაუჭირდება გზის პოვნა ამ ნიჭისკენ.

ალექსანდრე მლბერიშვილი

75 წელი შეუსრულდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, ცნობილ მთარგმნელს, პროზაიკოსს და ესეისტს იაკობ პაპიაშვილს. საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის რედაქცია“, ვულოცავთ ბატონ იაკობს საიუბილეო თარიღს და ვბეჭდავთ მის ახალ წერილს.

იაკობ პაპიაშვილი

ეპოქა, რომელმაც შექმნა ნაპოლეონი

შემოკლებული ვარიანტი

ჩერჩილის ერთი ცნობილი გამოთქმის თანახმად, სტალინი პირად მტრებს, თითქოს მისივე მოწინააღმდეგეების ხელით ანადგურებდა. ვფიქრობ, რომ ფრაზაში „პირად მტრებს, დიდი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალიზმის მტრებს გულისხმობდა. ალბათ ეს გამოანათქვამი მან საკუთარი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან აიღო; მე-16 საუკუნიდან დაწყებული დიდი ბრიტანეთის იმპერია შეერთებული სამეფოს მტრებს ერთ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოზე წამქეზებლური პოლიტიკით ამარცხებდა. ასეთი უცნაური ხერხით, შეიძლება მას მისტიკა ან მისტიფიკაცია ვუნდოდოთ, ინგლისი 300 წელზე მეტი ხნის განმავლობაში – მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე – გამარჯვებული გამოდიოდა ყველაზე სასტიკ, უღმობელ ბრძოლებში.

ერთხელ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში სიტყვა ჩამოვარდა ლ. ნ. ტოლსტოის. იმ დიდ ტაძარში თითქმის 30 წელი ვთანამშრომლობდი. სამსახურიდან იქ შევივლიდი ხოლმე, სადაც ხშირად მოდიოდნენ ცნობილიც და დამწყები მწერლებიც. ვთანამშრომლობდი, ვარჩევდით ამა თუ იმ ნაწარმოების ავსა და კარგს. ჰოდა, იმ მშვენიერ საღამოს საუბრის თემა „ომი და მშვიდობა“ გახლდათ. თითქოსდა ამ რომანზე – ეპოპეაზე – ორი აზრი არ არსებობდა, იგი ყველასათვის ცნობილი იყო, როგორც ჭეშმარიტი ისტორიული წყარო 1812 წლის ომი რუსეთსა და საფრანგეთს შორის. რუსულ ისტორიოგრაფიაში ეს ომი სამამულო ომის სახელით არის შესული...

...და, საუბრის დროს, უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, ერთმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა თქვა, რომ ამ ნაწარმოებში, რომელიც მოცულობით ვეებერთელაა, ნაპოლეონის სახე ისტორიული და მხატვრული რაკურსით დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. გარკვეული მოსაზრების გამო მწერლის გვარს არ დავასახელებ. იგი გვარწმუნებდა, რომ არც საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას და არც მის პირმშოს ნაპოლეონს, რუსეთთან ომი არ უნდოდა, და რომ ამ ომში იგი ჩაითრია რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I.

„ომი და მშვიდობა“ მე წავიკითხე მე-9 – მე-10 კლასში. სიმართლე უნდა ვაღიარო, ამ ტილოს მხატვრული ღირსებით ისე ვიყავი შთაგონებული, რომ მასში ვადმოცემული ისტორიული მოვლენების სინამდვილეში ეჭვი არ მეპარებოდა. ამიტომ იმ დღეს ქუთაისის მწერალთა კავშირში თითქოს ციდან ჩამოვარდნილმა აზრმა იმდენად გამაკვირვა, რომ გულში პარადოქსიც კი ვუნდოდე.

რა თქმა უნდა, ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ გადარწმუნება უმტკივნეულოდ არ ხდება. პიროვნებას, ვინც ეს აზრი გამოთქვა, კარგად ვიცნობდი. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩემში მწერალი დაინახა და გასაკვირი არ არის, პატივს ვცემდი როგორც უფროს მეგობარს. ამის გამო საკითხით დავინტერესდრი და როცა ისტორიულ მასალებს საფუძვლიანად ვავეცანი, მივხვდი, რომ მსცოვანი მწერლის ნათქვამი სინამდვილე იყო. აი, მაშინ ჩემთვის დადგა დრო, ყურად

მედო ფრიად შემომწებული ფილოსოფიური ანალიზი: ისტორიული პროცესის შეუცნობლობა და მისი მიზნების შეუწყნარებელი, დაუდევარი გაკიცხვა, გაბიაბრუება, შესაძლებელია თავისებურად აისახოს ყოველი ადამიანის ნაციონალურ შეგნებაში. აქედან გამომდინარე 1805 და 1812 წლების ომების მიზეზობრიობის კვლევის დროს ფრანგს ყველა უფლება აქვს არ დაეთანხმოს რუსის აზრს.

ყალბი პათოსი – არისტოკრატიული იდეალის მაღალმხატვრული ასახვა ეპოპეაში „ომი და მშვიდობა“, ათას გვერდზე მეტს რომ შეიცავს, სრულებით არ ეთანხმება იმ მოვლენებს, რომელმაც მე-18 საუკუნის დასაწყისში ორი საზარელი, უსასტიკესი ომი წარმოშვა. არადა გამოუცდელი მკითხველი თავისი ვერ გაერკვევა, თუ მას ამ საქმის კარგი მცოდნე არ წაეხმარა. საქმე იმაშია, რომ სწორედ ეს ორი ომი იყო გამომწვევი შემდგომი ომებისა, რომელშიც რუსეთი ჩაითრია; ესენია: რუსეთ-თურქეთის, ყირიმის, პირველი და მეორე მსოფლიო ომები. გენოსი მწერალი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) კი, ამ ომებს (1805 და 1812), ისევე როგორც ნაპოლეონის გამოჩენას ისტორიულ ასპარეზზე და ალექსანდრე I-ის მონაწილეობას შეთქმულებაში თავისი მამის რუსეთის იმპერატორ პავლეს I-ის წინააღმდეგ, შემთხვევითობას უწოდებს. ამ მოსაზრებას ტოლსტოი ეპილოგში გვთავაზობს, სადაც ნაპოლეონ I და პავლე I მოკლე, არაფრისმთქმელი ფრაზებით წარმოგვიჩენს. სხვათა შორის, ტოლსტოის ზეგავლენით, რუსული კინო ფოტოხელოვნება, ამ ორ დიდ პიროვნებას ნაპოლეონ I და პავლე I, დღემდე ტენდენციური მტრისებით გვისურათხატებს, ცირკუს მასხარების დონეზე.

მოვიყვან „ომი და მშვიდობის“ ეპილოგის ერთ-ერთი კონტექსტის ჩემიული თარგმანს, ამ საკითხებს რომ ეხება:

„... შემთხვევა, მილიონობით შემთხვევა აძლევს მას (იგულისხმება ნაპოლეონი), ხელისუფლებას და ხალხი, თითქოსდა შეთანხმებულანო, თითქოსდა პირი აქვთ შეკრულიო, ხელს უწყობენ მას, რომ გახდეს ხელისუფალი. შემთხვევა აყალიბებს საფრანგეთის (იგულისხმება კონვენტი) მაშინდელი მმართველობის ხასიათს, შემთხვევა განაპირობებს პავლე I-ის ხასიათს და იგი ცნობს მას (ნაპოლეონს), როგორც ხელისუფალს; ასევე შემთხვევით ხდება შეთქმულება პავლე I-ის წინააღმდეგ...“ („ომი და მშვიდობა“, ეპილოგი)

ამოდენა ტიტანურ რომანში სხვა შეფასება ამ ორი დიდ პიროვნების შესახებ არ არის.

ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთი გენიალური ნაწარმოებების შემქნელის, როგორც არის: „მემამულის დილა“, „აღდგომა“, „ანა კარენინა“ და სხვა, - მიერ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევითობები, სრულებით არ არის შემთხვევით, რამეთუ იმ სისხლიანი მარტის ღამეს, როცა შეთქმულები შევიდნენ იმპერატორ პავლე I-ის საძინებელ ოთახში, უკუღმა და მსოფლიო ბორბალი რუსეთის იმპერიის და მსოფლიო ისტორიოგრაფიის განვითარებისა.

რუსეთის იმპერატორების პეტრე III-ის და პავლე I-ის ტრაგედია ის იყო, რომ პირველი იყო ქმარი, ხოლო მეორე შვილი (ზოგიერთი წყაროს თანახმად პავლე I არ იყო ეკატერინეს შვილი) ეკატერინე II-ისა. ქმარი მან მოაკვლევინა ერთ-ერთ უახლოეს ფავორიტს (ეკატერინეს 20 ოფიციალური ფავორიტს ჰყავდა), შვილი კი სახელმწიფოს მმართველობას ჩამოაშორა თავის ტრაგიკულ დაღუპვამდე.

დედის სიკვდილის მერე (1796, ნოემბერ-

რი) რუსეთის იმპერატორი გახდა პავლე I. პირველი რაც მან მოიმოქმედა ის იყო, რომ მთლიანად გადახაზა დედის მიერ 34 წლის მანძილზე გატარებული პოლიტიკური კურსი, რაც დიდი ბრიტანეთის ინტერესებს ემორჩილებოდა (გავისხენოთ ალიასკის გაყიდვა). იგი, პავლე I, თავისი დიდი პაპის პეტრე I-ის პოლიტიკური კურსის მიმდევარი აღმოჩნდა. მისი ინგლისთან უთანხმოება უკომპრომისო იყო. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ თითქოს რუსეთის გმირული არმიების გამოხმობა იტალიიდან და შვეიცარიიდან, ინგლისის მიერ კუნძულ მალტის დაპყრობით იყო გამოწვეული. სინამდვილე ის არის, რომ მალტა მხოლოდ საბაზო იყო ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის მიზნით. აზრით იგი უშუალოდ, აშკარად დაუპირისპირდა რუსეთის არისტოკრატისა და თავადაზნაურობას. იმპერატორი მათი უფლებების შეზღუდვას ცდილობდა, მაგრამ ეს ცდა უკვე ძალიან დაგვიანებული იყო, რამეთუ, მაშინ როცა ფრანგ რევოლუციონერებს (იაკობინელებს) ლუდოვიკ XVI და მარია ანტონეტა გილიოტინაზე აპყავდათ, ინგლისელები ბატონობდნენ არა მარტო ადრიატიკის და ხმელთაშუაზღვას, არამედ მბრძანებლობდნენ ზამთრის სასახლეში ისევე, როგორც საკუთარ სახლში. პავლე I-ის და ნაპოლეონ I-ის აზრის სიღიადე იმით გამოიხატება, რომ ორივე იმპერატორი ერთდროულად მიხვდა: საფრანგეთის, ევროპის და რუსეთის განთავისუფლება დიდი ბრიტანეთის კოლონიალური მონსტრის ბრწყყალებიდან, შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ ინგლისს ინდოეთიდან გამოაძევებდნენ.

ინდოეთს დიდი ბრიტანეთის დიდ სამეფო გვირგვინს ეძახდნენ: რუსული „Корона Великобритании“.

ინდოეთის და მისი სიმიდრეების დაპყრობისათვის ბრძოლას ინგლისელებსა და ფრანგებს შორის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ერთმანეთს ებრძოდა ოსტ-ინდოეთის ორი კომპანია: ინგლისის და საფრანგეთის. 1763 წ. საბოლოოდ გაიმარჯვეს ინგლისელებმა (რობერტ კლანი), რომელმაც სამუდამოდ განდევნა ფრანგული კომპანია. 1769–1772 წ.წ. შიმშილისაგან დაიხოცა ინდოეთის მოსახლეობის მესამედი, დაახლოებით 40-50 მილიონი ადამიანი. შიმშილის მიზეზად მიჩნეულია ის, რომ ამ პერიოდში ბენგალიდან (ალმ. ინდოეთი) ლონდონში მილიარდობით ფუნტი სტერილნივის ძვირფასეულობა გაიტანეს. ამათ გამოიწვია სოფლის მეურნეობის მოსპობა. ამ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ინდოეთის გენერალ-გუბერნატორი უორენ ჰასტინგი. იგი მართალია დააპატიმრეს, გაასამართლეს, მაგრამ დიდი გამოსასყიდის ფასად გაანთავისუფლეს. საერთო ხელმძღვანელი კი იყო ინგლისის ლორდთა პალატა. ამგვარმა ეკონომიურმა ოპერაციებმა შემდგომში სისტემატიური ხასიათი მიიღო. 1876 წ. ინგლისის დედოფალი ვიქტორია ოფიციალურად იქნა აღიარებული, როგორც ინდოეთის იმპერატორი, თუმცა ეს სახელწოდება არ გულისხმობდა მხოლოდ ინდოეთს, რადგან დიდი ბრიტანეთის კოლონიალური სისტემის ქვეშ იმყოფებოდნენ აგრეთვე პაკისტანი, ბანგლადეში და სამხრეთ აზიის სხვა ე. წ. „Туземные княжества“ – მკვიდრი მოსახლეობის სათავადაზნაურო მამულები.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ განაპირობა ევროპაში – თავდაპირველად ინგლისში და შემდეგ, პარალელურად საფრანგეთში ახალი პოლიტიკური კლასის – ბურჟუაზიის გამოჩენა, რომელიც სამკვიდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ფეოდალიზმს.

XVII ს. შუა წლებში ინგლისში დიდ წარმატებას მიაღწია ვაჭრობა-მრეწველობამ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი კაპიტალისტური მანუფაქტურა გახდა, რომელსაც ხელს უშლიდა და აფერხებდა სტიუარტების მონარქიული სისტემა, რა-

მაც გამოიწვია ინგლისში ევროპის მასშტაბის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია. 1646 წ. 24 თებერვალს ინგლისში გაუქმდა რაინდული მფლობელობა და მისგან გამოდინარე ყველა სამეფო ვალდებულება. 1649 წ. 30 იანვარს მეფე ჩარლზ I სტიუარტი, როგორც „მოღალატე და ტირანი“ სიკვდილით დასაჯეს (ოლივერ კრომველი), ხოლო 19 მაისს ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. ხელისუფლება გადავიდა ერთპალატიანი პარლამენტის ხელში. ლორდთა პალატა გაუქმდა.

კრომველის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში შინააშლილობა დაიწყო და პარლამენტმა გადაწყვიტა როიალისტების შემორიგება. ეს სიტყვა „როიალ“ ლათინური წარმოშობისაა, „რექს“, „რუა“ მეფეს ნიშნავს, ხოლო „როიალ“ – მეფურს, მონარქულს, როცა ნორმანთა დინასტიამ ინგლისი დაიპყრო (ვილჰელმ დამპყრობელი), 300 წლის მანძილზე ფრანგული ენა ინგლისის ოფიციალური, სახელმწიფო ენა იყო.

ოლივერ კრომველი გარდაიცვალა თავის სიკვდილით 1658 წ., ხოლო 1661 წ. ინგლისის ბურჟუაზიამ სამეფო ტახტზე დასვა ჩარლზ II, შვილი მათ მიერვე სიკვდილით დასჯილი მეფისა. ამ უცნაური აქტით ინგლისის ბურჟუაზიამ ჩარლზ I სიკვდილით დასჯა მთლიანად კრომველს გადააბრალა; ეს, რა თქმა უნდა, ინგლისის ბურჟუაზიის ცბიერება იყო, რაც ახალმა მონარქმა გვიან გააგო, თუმცა მან ამით ისარგებლა და 1611 წ. იანვარში მისი ბრძანებით კრომველის ცხედარი შეურაცხვევს და „ლორდ-პროტექტორის“ ორი თანამშემნე მეფის მკვლელობის ბრალდებით საფლავიდან ამოთხარეს და ტაიბერნში სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს; რამდენიმე საათის მერე კი გვამები ჩამოხსნეს და მათი თავები მოათავსეს ვესტმინსტერის სასახლის წინ 6 მეტრის სიმაღლეზე...

... ყოველივე კი იყო ფარსი, კომედია, რაც ინგლისის ბურჟუაზიამ გაითამაშა მონარქიის ფიქტიური შენარჩუნების მიზნით, როგორც ბალაგანი, როგორც თოჯინების თეატრი, სახელმწიფოს პოლიტიკურ საქმეებში ჩარევის უფლების გარეშე. 1688–1689 წ. წ. ბურჟუაზიამ მეფესთან შეთანხმების საფუძველზე ჩარლზ II ტახტიდან ჩამოაგდეს და როგორც უკვე ვთქვით, მონარქია ბურჟუაზიამ შეინარჩუნა როგორც ბალაგანი. ინგლისში დამკვიდრდა კონსტიტუციური, პარლამენტური მმართველობა. ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. ისტორიულ ლიტერატურაში ამ გადატრიალებას „უსისხლო“ ანუ „სახელოვანი რევოლუცია“ ეწოდება.

მაშასადამე, მონარქიული აბსოლუტიზმი ინგლისში დატოვეს ძალაუფლების გარეშე. საკითხი ისმის ასე: რატომ, რისთვის შეინარჩუნა ინგლისის ბურჟუაზიამ და მინათმფლობელმა არისტოკრატამ ამგვარი კომიკური ფარსი? ეს იყო ინგლისის მმართველი კლასის საკმაოდ მოფიქრებული და გააზრებული ქმედება. ის უზარმაზარი კაპიტალისტიც შემოდიოდა ქვეყანაში კოლონიებიდან, აძლევდათ ინგლისელ ვაჭრებს ენით აუნერელი მანიპულირების საშუალებას: ჯერ ერთი – ისინი ინარჩუნებდნენ უფლებას გამოსულიყვნენ მონარქიის დასაცავად ევროპის სხვა ქვეყნებში, რათა შეენარჩუნებინათ იქ ნახევრად ფეოდალური სისტემა, საკუთარი სავაჭრო-ეკონომიური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე – ამ ქვეყნების არმიების რაინდულ სულსიკვეთებას ისინი იყენებდნენ როგორც დაქირავებული ძალას. ასე აღმოჩნდნენ ინგლისის ე. წ. კოალიციაში რუსეთის, ავსტრიის, პრუსიის და ევროპის სხვა ქვეყნების არმიები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს.

იმ დღეებში, როცა საფრანგეთის პირველი კონსული ნაპოლეონი ამზადებდა დესანტს ინგლისელების კუნძულზე გადასასხმელად, ხარჯები ამ დაქირავებული არმიების შესანახად, გამოსახებოდა კოლოსალური ციფრებით და როცა ეს პირველი „კოალიცია“ ფრანგებმა სამარც-

ფანტასტიკის განაგრძობა



სოსო სიგუა

ქართველმა მკითხველმა მიიღო პროფესორ ბორის მიშვილაძის ახალი ნიგნი — „ცამეტი წამი აფეთქებამდე“, რომელიც განსხვავებული კუთხით გვაცნობს ცნობილი ფიზიკოსის საზოგადოებრივ ხედვებს — ეს არის ფანტასტიკური პროზა, სამეცნიერო ცოდნის მსატყურელი გარდასახვა, ჩვენთვის უცხო იდეების ქცევა მხატვრულ სახეებად. ფანტასტიკა ყოველთვის იყო ლიტერატურის თანამდევნი, როგორც მითი, ლეგენდა, ზღაპარი თუ პოეტური ილუზია. მაგრამ სამეცნიერო პროგრესის პროგრესმა ფანტასტიკასაც ახალი მოდუსი შესძინა, რადგან თავად ზუსტი კვლევა ჩვენთვის, არასპეციალისტებისათვის, ლამის თავად დაემსგავსა ფანტასტიკას.

ამის შესახებ ბორის მიშვილაძე უაღრესად საინტერესოდ გვიყვება სხვა ნაშრომებში. მაგრამ მან ამჯერად პრობლემების გადმოცემა შეცვალა და იდეები ცხოვრებას, ყოველდღიურ სინამდვილეს შეუერთა, უფრო სწორად — ცხოვრებისეულ მოვლენებში ამოიკითხა სამეცნიერო პარადიგმები.

როცა ვკითხულობთ ამ ნიგნს, ზოგჯერ გვეჩვენა ილუზია, რომ ეს ფანტასტიკა კი არაა, არამედ — შესაძლებელი რეალობა.

მაგ., პირველივე მოთხრობაში („სამასმეერთე“) ავტორი ისე დამაჯერებლად გვიყვება ხმის აღდგენის ეფექტზე, თითქოს საუკუნეების მანძილზე ლითონი მართლაც ინახავდეს განწირულ შეძახილს და მისი აღდგენა შეიძლებოდა.

ავტორს მასალაც ძალიან შთამბეჭდავდა აქვს შერჩეული. პერსონაჟი სამასმეერთე არაგველი გიორგი ფხოველი, რომელიც მარტოდმარტო შეებრძოლა და შეაკვდა მტერს 200 წლის წინათ. 200 წლის შემდეგ ტარდება პროფესორის მიერ ექსპერიმენტი თუ როგორ აძლიერებს რეგულატორი ლიონი — ჟანგის ხმის ნატეხზე გარდაცოლილი ხმის ხმაურს. მათგან კი გამორჩევეს ყველაზე მკვეთრი და სასონარკვეთილ ხმას, რომელიც დასცდა სიკვდილის წინ სამასმეერთე არაგველს და დღეს მოესმა დღევანდელი მკვლელი მკვლელის შორეულ შთამომავალს.

მოთხრობაში ფანტასტიკური ელემენტი გააზრებულია, როგორც სავესტის რეალური და შესაძლებელი. თანაც ეს იდეა ჩასმულია პატრიოტიკის გარსში და უჩვეულო რაკურსით გვანერებს იმ ზღვარს, სადაც მეცნიერება ფანტასტიკას უერთდება, მითუმეტეს, — კიდევ უფრო ფანტასტიკაა, რომ ადამიანის გენომში სამი მლრდ ორასი მლნ ნუკლეოტიდური წყვილია, რომ მეტაგალაქტიკა ტრილიონობით გალაქტიკის ერთობლიობაა.

ასეთი მრავალი ფაქტი აქვს გადმოცემული ბორის მიშვილაძეს, რაც აფიქრებინებს მის პერსონაჟს, რომ „სამყაროს ჰყავს ავტორი“. ეს ავტორი კი ღმერთია — ყოველის-

ხვინოდ დაამარცხეს, პარლამენტარებმა დაადასტურეს ინგლისის პირველი მინისტრი უილიამ პიტის წყალობა გადაყრილი მილიონობით ფუნტი სტერლინგისათვის, რის გამოც პიტის უდროოდ გარდაიცვალა. დიდ ბრიტანეთში მოგვიანებით მიხედნენ, რომ სწორედ პიტის მამინდელმა პოლიტიკამ იხსნა მამინდელი, და ამავდროულად დაუბრუნდნენ ისინი ნაპოლეონის საბოლოოდ დამარცხებისათვის. შემდგომში პიტის ამ ნაცად პოლიტიკას იყენებდა დიდი ბრიტანეთის თითქმის ყველა პრემიერ-მინისტრი, მათ შორის: ბოლდუინი, ჩემბერლენი და განსაკუთრებით ჩერჩილი.

პური არსობისა

„უსისხლო“ ანუ „სახელოვანი რევოლუციის“ მერე ბურჟუაზია ქვეყნის წარმართველ მთავარ ძალად იქცა. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მისი კოლონიალური სისტემა, შეიქმნა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო კოლონიალური იმპერია. ქვეყანაში დაიწყო სამრეწველო რევოლუცია. საქარხნო-საფაბრიკო მანქანური წარმოებისა და კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით ინგლისში სასწაულები ხდებოდა. ამასობაში კი მონარქიული საფრანგეთი ეკონომიურ კატასტროფაში აღმოჩნდა; მისი ყველა კოლონია თანდათანობით აღმოჩნდა ინგლისელი ბურჟუების ხელში, საფრანგეთში სოფლის მეურნეობა გაქრა, მოსახლეობა შიმშილობდა. მდგომარეობა ევროპის სხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში არ იყო უკეთესი, ვიდრე საფრანგეთში. მკითხველი ამ მიმართებით რომ გათვითცნობიერდეს მოვიყვან ორ მაგალითს:

1.ემიგრანტი სერბიდან სავვა ტაკელი 1787–1788 წ. მოგზაურობდა რუსეთში (ეკატერინე II პერიოდი). ქ. ტულაში ბაზრის მოედანზე გავლის დროს, მან დაინახა განცალკევებით შეჯგუფებული, კარგად ჩაცმული 40 რუსი გოგონა. მის შეკითხვას თუ რატომ იდგნენ ისინი იქ, გამცილებელმა უპასუხა: „იყიდებიან“. გვიყვიდე ჩვენ, ბატონო, გვიყვიდე“ — ყვიროდნენ თვალცრემლიანი გოგონები.

რუსს მემამულეს არაფერი გააჩნია გარდა ცოცხალი სულისა. მემამულეს უფლება აქვს გაყიდოს ქმარიც, ცოლიც, შვილებიც... მათი ქონიც და ტანსაცმელიც კი. გასათხოვარ გოგონებს ისინი 25 მანეთად ყიდიან. ხშირად ლეკვი და არა ძალღი 120–ჯერ უფრო ძვირია ადამიანზე. სომეხ ვაჭრებს გაჰყავთ ისინი გასაყიდად თურქეთში და სპარსეთში“ — აუხსნა მოგზაურს გამცილებელმა.

2.საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების წინ „ფრანგი დედები თავიანთ შვილებს დანით კლავდნენ ან მდინარეში ახრჩობდნენ უპურობის გამო, მერე კი თვითონაც იკლავდნენ თავს“ (აკად. ე.ვ. ტარლე, „ნაპოლეონი“, 1957, მოსკოვი, საბჭოთა კავშირის აკადემიის გამომცემლობა, რუსულ ენაზე).

„მსოფლიო ჟანდარმი“, ასე ეძახდნენ მამნი დიდ ბრიტანეთს. ეს სახელწოდება ამ კოლონიალურმა იმპერიამ შეინარჩუნა მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე. ნაპოლეონის უმთავრესი იდეა, ლახვარი ჩაეცა ამ ჟანდარმისათვის და გაეთავისუფლებინა ევროპა, ინგლისელთა ხელებით რომ დასამარდა წმ. ელენეს კუნძულზე 1821 წლის 9 მაისს, იოსებ სტალინამდე არავის თავში არ დაბადებულა. თვით მარქსი და ლენინი, თავიანთი თეორიული წნეხის ქვეშ რომ იმყოფებოდნენ კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ამ მიმართებით სრულფასოვნად ვერ იყვნენ გარკვეულნი.

პარიზის მოქალაქეები — ბურჟუები, ბოლოს და ბოლოს რომ მიხვდნენ ინგლისელთა რა ხელოვნებით ჩამოცვივდა მათ თავზე შიმშილი, ბასტილიისაკენ გაემართნენ და ციხე-სიმაგრე საძირკვლებამდე მოსრეს ვით სიმბოლო თვითმპყრობელობის, ვით სიმბოლო მონარქიული ძალაუფლე-

ბის მოსპობისა (14 ივლისი, 1789).

ვალტერ სკოტი გადმოგვცემს, რომ ბასტილიის აღების დროს, იქ შვიდი ტუსალი იმყოფებოდა, ზოგი ავადმყოფი, ზოგი მოხუცი და არცერთ მათგანს არ სურდა თავისუფლება, რადგან მათ ციხე-სიმაგრეში უფასოდ კვებავდნენ. მოიერიშებმა ისინი ძალით გამოათრიეს გარეთ. ამის მიხედვით თუ განვსჯით ლუდოვიკ XVI არცთუ ცუდი მეფე ყოფილა, მაგრამ პარიზის გარეუბანში მცხოვრები გლეხები, სამეფო სასახლეში რომ შეცვივდნენ და მონარქებისაგან პურს ითხოვდნენ, — რის გამო გაკვირვებულმა მარია ანტუანეტამ მათ ჰკითხა: „როგორ, თქვენ პიროვნ (ტკბილვეზელი) არა გაქვთ?“ — კარგად ვერ ერკვეოდნენ რატომ არ ჰქონდა სახელმწიფოს პური. აქედან გამომდინარე, არა მარტო ლ.ნ. ტოლსტოისათვის, არამედ ბევრი თანამედროვე მწერლისა და მკვლევარისათვის დღემდე გაუგებარია რატომ დაიპყრო ნაპოლეონმა ეგვიპტე და რატომ გააგზავნა რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა 50 ათასი კარგად შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი ინდოეთის გასათავისუფლებლად ინგლისელი კოლონიზატორებისაგან, თანახმად საფრანგეთის პირველ კონსულთან დადებული ხელშეკრულებისა.

ასე და ამგვარად, დაიწყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია.

მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ინგლისისა და საფრანგეთს შორის, მიუხედავად მათი წარმომშობი მიზეზებისა, ყოველთვის გააფთრებული და შეურთხველი იყო. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც; ინგლისელმა თორებმა მომენტალურად შენიშნეს თავიანთი მონიანდმდეგე: ფრანგი კაპიტალისტები — და როცა ამბობებამ ძალიან შორს შეტოვა, რევოლუციური ტერორის პიკზე, ტიულრის დალაშქვრის მერე (10 აგვისტო, 1792), როცა იაკობინელებმა მეფის და დედოფალს თავი მოჰკვეთეს, ინგლისში გადაწყვიტეს ჩაეხშოთ ფრანგული რევოლუცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმ ინგლისელმა ბურჟუებმა, რომლებმაც თავიანთი მონარქების ყოფა ბრბოს გასართობ თეატრალურ ბალაგანად აქციეს, ახლა მთელ მსოფლიოს მოუწოდებდნენ ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ „უნმინდესი მისიით“: რომ აღედგინათ საფრანგეთში მონარქიული მმართველობა და დაებრუნებინათ სამეფო ტახტი ბურბონებისათვის (ასევე მოიქცა დიდი ბრიტანეთი რუსეთის თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციების დროს — ი.პ.). ფრანგები იძულებული გახდნენ დაეცვათ რესპუბლიკა... და როცა პირველი რევოლუციური გამარჯვებით გამოწვეული ენთუზიზმი გაქრა, როცა დირექტორიის წევრებმა რესპუბლიკა უფსკურლის პირას მიიყვანეს, საფრანგეთის ომს ინგლისის წინააღმდეგ წინ გაუძღვა 28 წლის იტალიურ-კორსიკული წარმომავლობის გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი. ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე ეს ომები, ინგლისშიც და საფრანგეთშიც განიხილებოდა, როგორც ინგლისელი ვაჭრების და მენარმეების ომი ფრანგი ვაჭრების და მენარმეების წინააღმდეგ. ცხადია, რუსეთს არ ქონდა უფლება ამ დავაში (პაუქრობაში) ჩარეულიყო, თუნდაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე: „მსოფლიო ჟანდარმის“ დამარცხება რუსებს მწვანე გზას უხსნიდა საკუთარი სანარმოო ძალების განვითარებისათვის, მათთვის ხელსაყრელ კონკურენციულ ბრძოლაში. აი, ეს პერსპექტივა დაინახა რუსმა იმპერატორმა პავლე I და საფრანგეთის პირველი კონსულის მეგობრულ ინიციატივას მეგობრობითვე უპასუხა — 50 ათასი კარგად შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი, 2 არმია, 2 მიმართულებით გაგზავნა ინდოეთისაკენ, იქიდან ინგლისელების გამოსაძევებლად.

ეკუთვნის თუ არა საქართველო ევროპას

იოანის ბულიასი,

საპარტნიო, ათენი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც დიდებულად უძღვება ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ ბერიძე. გამოსვლა დაიწყო ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალმა სახელწოდებით „არავი“. ეს საინტერესო ჟურნალი ორგანიზებულია საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ჟურნალის დაბადებას ვულოცავთ ჩვენს მესხეთელ კოლეგებს და ვბეჭდავთ ერთ სტატიას „არავიდან“.

ის, რასაც დღეს იტალიად მოვიხსენიებთ, რამდენიმე საუკუნის წინ პატარა სახელმწიფოების მოზაიკას წარმოადგენდა, რომლებიც მე-19 საუკუნეში გაერთიანდნენ და იტალიის სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

იტალიას აქვს ბერძნული (ანტიკური და შუა საუკუნეების) წარსული, რომლის უდიდესი ნაწილი შექმნა კორინთომ, ხალკიდამ და სხვა ბერძნულმა ქალაქებმა კოლონიზაციისა და ცივილიზაციის გავრცელების გზით.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ბერძნული გავლენა იტალიის სამხრეთში, როგორც ანტიკურ, ასევე ბიზანტიურ ეპოქაში. ბერძნების დაარსებულია ნეაპოლი, კატანი, აკრაგანტა, გელა, ელეა, მესინი, სირაკუზა, რეგიო, ტარანტო, კპრეა-კაპრო, მეტაპონტიო, კროტონი და სხვა ქალაქები. ამავე დროს, უდავოა ბერძნული გავლენა იტალიის დანარჩენ რეგიონებზეც ყველა ეპოქაში.

როდესაც იტალიისკენ იონიის ზღვით მიემართებოდა, ადრიატიკის ზღვაში შესვლისას გვხვდება ტრემიტის ანუ ძველი ბერძენი გვირის, დიომედეს კუნძულები. ჩრდილოეთით მდებარეობს კორინთოელთა მიერ დაარსებული სირაკუზას კოლონია, ძველბერძნული ადრია, რომლისგანაც მიიღო სახელი ადრიატიკის ზღვამ.

ბერძნებმა იტალიაში თავიანთი ცივილიზაცია შეიტანეს, რომლის ერთ-ერთ ელემენტს ვაზის კულტურა და ღვინის წარმოება წარმოადგენდა. ორივე მათგანი ქრისტეობამდე 6 ათასი წლის წინათ საქართველოში დაიბადა, გავრცელდა საბერძნეთში და მიაღწია იტალიამდე, როგორც ვინო“.

ძველი ბერძნების მეშვეობით იგივე გზა გაიარა იტალიამდე მეტალურგიულმა ხელოვნებამ, რომელმაც ასევე საქართველოდან ჩააღწია საბერძნეთამდე. პეფესტოსმა თავისი მეტალურგიული და მექანიკური ხელოვნება დაამუშავა საქართველოში, საბერძნეთსა და იტალიაში.

აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, არგონავტებმა, საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, დიდი წრე დაარტყეს და იტალიის ნაპირებს მიაღწიეს.

იტალიელთა მითური გმირი, ლათინოსი, ერთ-ერთი ვერსიით, ბერძნულ-ქართული წარმოშობის იყო: ოდისეისა და კირკეს შვილი, აიეტის ძმისშვილი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძველესმა ერგოვლებმა, ანუ დმანისის ადამიანის შთამომავალმა ქართველებმა, იტალიას მიაღწიეს პეტრალონას ადამიანის შთამომავალ ბერძნებთან ერთად.

ქართულმა ცივილიზაციამ ბერძნულთან ერთად მსოფლიო შემოიარა.

ჰერაკლემ იმოგზაურა საქართველოსა და იტალიაში, სადაც დააარსა ქალაქი პერაკლიონი, დღევანდელი პომპეი და ჰერაკლეს ნავსადგური, დღევანდელი ლივორნო.

პიზადან რომისკენ მიმავალ გზაზე, ორბეტლოს ახლოს მდებარეობს ტალამონი, ანუ ძველბერძნული ტელამონი. ეს ქალაქი არგონავტმა ტელამონმა დააფუძნა.

რომიც თავიდან ბერძნული ქალაქი იყო.


მისი დაარსება ევანდროს პალანდიონელს უკავშირდება. ეს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში მოხდა. ამიტომაც ქალაქის ცენტრალურ გორაკს პალატონო ეწოდება.

რომის აღმოსავლეთით მდებარე ტივოლიც ბერძნების ქმნილებაა.

ჩრდილოეთით, პესკარასთან მდებარე კიეტი ძველბერძნული ტივონია, რომელიც, სავარაუდოდ, აქილევის მიერ არის აგებული.

ფოჯას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიპონტო ბერძნული სიპუნდა, რომელიც დიომედემ დააარსა. მის სახელს უკავშირდება კანისიონიც, დღევანდელი კანოსა.

უძველეს დროში ცენტრალურ იტალიაში ეტრუსკები ცხოვრობდნენ. მათ ბელადს, ტერენოსს ძველი ბერძნები ჰერაკლეს ვაჟად მიიჩნევდნენ. ამ ხალხმა მჭიდრო კულტურული ურთიერთობა დაამყარა კორინთოსთან. უფრო კონკრეტულად, ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში კორინთოელი ვაჭარი დემარატოსი სხვა კორინთოელებთან ერთად წავიდა და და-



ფუძნდა ეტრურიაში. მისი ვაჟი ლუკომონი რომის მეფე გახდა. დემარატოსმა თან წაიყვანა კორინთოელი მეცნიერები და ხელოვანი ეტრურიაში, რომელთა მეშვეობითაც განვითარდა ადგილობრივი ცივილიზაცია. იგივე განმეორდა ათასი წლის შემდეგაც, როდესაც იტალიაში ჩასულმა ბიზანტიელმა ბერძნებმა ცივილიზაციის ნაპერწკალი გაავრცელეს იტალიელებში. ასე დაიწყო რენესანსის ეპოქა, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბერძენი ფილოსოფოსების მიერ იტალიაში დაარსებულმა პირველმა აკადემიამ.

იტალიელთა დამწერლობაც ბერძნულს უკავშირდება. ხალკიდასა და კიმის ანბანი ძველმა რომაელებმა ათვისესეს, დაარქვეს „ლათინური“ და დღეს მას ევროპელების უმრავლესობა და ამერიკელები იყენებენ. კიდევ ერთი სახის ბერძნული დამწერლობა ძმებმა, კირილემ დამეთოდოსმა, გარდაქმნეს სლავურ სტილზე, რომელსაც დღემდე იყენებენ სლავები.

ბიზანტიელმა ბერძნებმა, რომელთა ტრადიციული მოკავშირეები იყვნენ ქართველები, გადაარჩინეს იტალია სარაცილებისგან და სხვა მტრებისგან. მაგალითად, გრიგორი ტარხანოტისმა, როგორც იტალიის ბიზანტიელმა მმართველმა, იხსნა ქალაქი ბარი 1002–1003 წლებში. ბარში ბერძნული კვალის გამოხატვაა ამ ქალაქში ამჟამად არსებული ბერძნულ-იტალიური კულტურული ასოციაცია „პითაგორა“.

ტარხანოტისები წარმოადგენდნენ ბიზანტიაში განთქმულ ქართულ ოჯახს. მათ ბერძნებთან მჭიდრო კავშირები დაამყარეს, გაბერძნდნენ და, მოგვიანებით იტალიაში გადავიდნენ, სადაც ცნობილი გახდ-

ნენ, როგორც დიდი მოაზროვნეები.

ანალოგიურად, ფართოდ ცნობილი ბიზანტიური ოჯახი, გვარად „იატრუ“ ან „იატრაკოს“ გადავიდა იტალიაში, სადაც მათი გვარი იტალიურად ითარგმნა და ასე წარმოიშვა ცნობილი მედიკოსების საგვარეულო. მედიკოსები ცენტრალურ იტალიაში XIV-XVIII საუკუნეში ცხოვრობდნენ ქალაქებში: ფლორენცია, რომი, ბოლონია. თარხნივილები მათ გვერდით ცხოვრობდნენ და მედიკოსებისგან ხშირად იღებდნენ დახმარებას. საერთოდ, თარხნივილები მიდიოდნენ იქ, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ: ნაპოლში, ფლორენციაში, ანკონაში, ბოლონიაში, პადოვასა და რომში.

რავენა ძველბერძნული რიჩი არის. მოგვიანებით ის ეტრუსკების ქალაქი გახდა. ბიზანტიურ ეპოქაში წარმოადგენდა „რავენას მმართველობის“ ცენტრს, რომელიც ბერძნების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ბიზანტიური კვალი კარგად ჩანს ქალაქის იტალიურ ტყავებში, რომლებიც ბერძნული მოზაიკით არის მორთული.

რიმინი წმინდა ადგილს წარმოადგენს. დიოსკურების ძველი ტაძრის ადგილას დღეს დგას წმინდა ფრანჩესკოს საკათედრო ტაძარი. 1465 წლიდან იქ განისვენებს პლიტოს გემისტოსის წმინდა ნაწილები, რომლებიც სპარტის რაიონიდან გადაიტანეს. 1944 წლის 21 სექტემბერს ბერძნებმა ქალაქი გერმანელი ფაშისტებისგან გაათავისუფლეს და იქ ბერძნული დროშა აღმართეს. რიმინის ჩაბარების ოქმი სამ ენაზე – ბერძნულად, იტალიურად და ინგლისურად იქნა შედგენილი.

პიზა, რომელიც დღეს თავისი დახრილი კოშკით არის ცნობილი, ბერძნულ კოლონიას წარმოადგენდა. მისი მიტროპოლისია ქ. პისა, რომელიც ძველ ოლიმპიასთან ახლოს მდებარეობს.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რომთან ახლოს იცხოვრა გმირმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ, მიხეილ თამარაშვილმა, წარმოშობით ახალციხიდან, რომელმაც ახალგაზრდა კაცის გადარჩენას საკუთარი სიცოცხლე შეწირა.

საცხოვრებელი კოშკების არსებობაც ამ სამი ქვეყნის საერთო კავშირს გამოხატავს. საცხოვრებელი კოშკები არსებობს როგორც საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, ასევე საბერძნეთში, კერძოდ, მანის რაიონში და იტალიის სხვადასხვა მხარეში, როგორცაა სან ჯემინიანო, სიენასთან.

ჩვენს ეპოქაში ქართველი ემიგრანტების უდიდესი ნაწილი ცხოვრობს საბერძნეთსა და იტალიაში. მათი უმრავლესობა თესსალონიკისა და ათენშია დასახლებული, ხოლო იტალიაში, ქალაქი ბარი, ქართველი ემიგრანტების შეკრების ცენტრად არის ქვეული.

სამხრეთ იტალიის ზოგიერთ რაიონში დღემდე ცხოვრობენ ბერძნულად მოსაუბრე ადამიანები, რომლებიც ძველი ბერძნების შთამომავლები არიან.

ანუ, იტალია, უძველესი დროიდან და ყველა ეპოქაში ბერძნებისთვის მშობლიურ გარემოს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ქართველებისთვის, რომლებმაც ყოველთვის იცოდნენ ბერძნებთან ერთად სიცოცხლე და სიკვდილი!

იტალიური გარემო ჰგავს ქართულს, რადგან კავკასიისა და ალპების მთები აკავებენ ჩრდილოეთის ცივ კლიმატს და უზრუნველყოფენ ბერძნულ ბუნებრივ გარემოს იტალიასა და საქართველოში.

ეკუთვნის თუ არა საქართველო და საბერძნეთი ევროპას? არა, სინამდვილეში ევროპა ეკუთვნის საქართველოსა და საბერძნეთს!

ეკუთვნის თუ არა იტალია ევროპას? იტალიას სხვა არჩევანი არა აქვს, რადგან მიჰყვება საბერძნეთისა და საქართველოს წმინდა ნაკვალევს!

ბერძნულიდან თარგმნა **გიორგი ჯანელიძე**



თეიმურაზი აბოლაძე – 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზი აბოლაძის 60 წლისთავი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქვირფასო თემურ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, სიკეთითა და ვაჟკაცობით გამორჩეულ პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად საინტერესო, მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, ქართული პატიოსნებითა და ღირსების გრძობით სავესტო მწერლური ცხოვრება. 1978 წელს ჟურნალ „ჭოროხში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები და მას შემდეგ თქვენი მრავალწახნაგოვანი შემოქმედების ნიმუშები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ რომანებს, როგორცაა „დავინყებულნი ამბავი“ და „ყაჩაღი დვალისკელები“, რომლებსაც გამოცდილი პროზაიკოსის ხელი ატყვია, პროზაიკოსისა, სრულყოფილად რომ ერკვევა მწერლობის ამ ურთულესი ჟანრის ყველა ნიუანსში, ყველა პერიპეტიაში და ქართული პროზის დიდოსტატთა კოშპორტაში ეწერება ძალდაუტანებლად და ბუნებრივად.

საყურადღებო და ძალზე ფასეულია თქვენი ქრონიკები „მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები“, „მამია გურიელის გახსენება“, „იზიუმსკები“, „წმინდა გიორგის ეკლესიის მცირე ნეკროპოლი“, „დადგენილი ანების ამბავი“... რა შრომა ფაგინევიანთა, რამდენი ღამე გაგათევიათ ძველისძველ ფაგინევიანთა თვალყურებაში, რამდენი საიდუმლოსთვის აგხდიათ ფარდა. ჩვენი ისტორიული წარსულის კვლევა, მწერლურ ქურაში გატარებული და დაგემოვნებული, საოცრად კოლორიტულს და მიმზიდველს ხდის თქვენს ქრონიკებს.

თქვენი პოეტური კრებული „ოცი წლის წინათ“ სრულად პასუხობს თანამედროვე ქართული პოეზიის მოთხოვნებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ესეების და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ერთტომეული „ზღვარი“, თქვენი დახვეწილი და რაფინირებული ლიტერატურული გემოვნების კიდევ ერთი დასტური.

თქვენი მრავალმხრივი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდით ბალდათის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ჟურნალ „განთიადის“ განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად და მთავარი რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „უქიმერიონის“ რედაქტორად, ჟურნალის „მერიმისისა“ და „მწვანეყვავილას“ რედაქტორად.

თქვენი მრავალწლიანი მწერლური შრომა და რუდუნება დავით კლდიაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიებით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ღირსების ორდენი.

ბატონო თემურ! როდესაც თვალს ვავლებთ თქვენს მიერ განვლილ ცხოვრებისეულ თუ შემოქმედებით გზას, მყისვე მნიშვნელოვანია არაკი შეგვახსენებს ხოლმე თავს და გვიხარია, რომ ასეთი ღირსეული მეგობარი გვყავს გვერდით.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დღევანდელ მწერალსა და მზევრძელობას გისურვებთ სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი



დილარ ივარდავა მოქმდის განახლების მარტი

თოვლის, ნუშის, ტყემლის ფიფქთა
სუროგატი
შიშველ სივრცეს ფრთოსანივით
სერავს მარტი.
გადათხუპნულ ყალამს სუსხში
აცოდვილებს,
ნისლში ახვევს გაზაფხულის
მკერდცივ დილებს!
უჩინარი ხემით ქარებს დირიჟორობს
და ცრემლებად მოწანწკარებს ნამი
ჟოლოს.
მგლის მშვიერი მადლით დათრთის
ჭრელი მარტი,
ალუფხული ფერთა მღვრიე კომბინატი.
თავსატეხი თავსაყრელად გააჩნია,
ნუხელ ქარმა ღამე შავად გაათია,
ცვალებადი ხასიათის ხშირი ბურთით
დიდ-პატარა გაიხადა უმადური!
მსუსხავია, ბუზლუნა, წინმატია,
რო არ იყოს ამდაგვარი, რის მარტია?!
სხვანაირად? აპრილი ვერ იაპრილებს
და მაისი ივნისს ვეღარ მიაკვილებს.
გაზაფხულის ყველა თვეს აქვს
თავის ხვედრი,
რომ ზაფხულთან გადავიდეს ალავერდი!
რა ქნას მარტმა თუ კი არის ჭირვეული,
უსათუოდ მშრომელია მწირველ გულით!
სამოქმედოდ არ უცხრება წამით ვნება,
უფლის სურვილს მთელი გრძობით ენივეთება!
...მოჯავლანებს, მობუზლუნებს მღვრიე მარტი,
სიმწვანის და ვარდ-ყვავილთა სუროგატი!

ვედრება

დანყველილია ჩემი გზანვრილი,
ზოგს დაეხედა ხვედრი მორჩილი,
თუ დაიბადა ეშმას ზაკვილი
მუდამ იქნები ბედდაჩოქილი.
არა ყოფილა ყოფა იოლი,
ძნელია თასის ბოლომდე დაცლა,
აგერ არ იყო გალაკტიონი
ვერ განერიდა თბილისურ ჯვარცმას.
ვერცა ტატომ და ვერცა ილიამ
ვეღარ გაუსწრეს მხრებით რუბიკონს,
ალბათ წინასწარ ჩახერგულია
კაცთა სავალი ეშმას ზურგიით!
ეს გზა ვინ იცის სად იგეგმება,
თუხთუხითა და თავის დაღებით,
ან ზოგის გული ხმალს რად ეგება –
წმიდა გზნებისთვის ტანჯვის გამლები!
ყველამ თავისი იტიროს მოთქმით.
მე კი ბოლომდის ჩემს მკვდარს მივსტირი,

სულ მოვლილი მაქვს ლოცვით და ჩოქვით,
მამულის ჩემის ფუძე-ქვითკირი!
ნუ, ნუ დამიშრობ, მზეო, წყაროს თავს,
ნუ კი გამაქრობ, დღეო, უკვალოდ, –
უშველე ჩემს ერს, მუდამ სალოცავს,
შენ გვედრები,
შენ ერთს – უფალო!

უდნობი თოვლი

რა უშფოთველად დამშორდი, ფოთოლავ,
არ აგიტოკდა ერთი ნერვიც კი,
ნუხელ ნუხილმა სიზმრებზე მოთოვა,
თუმცა განსასჯელად მაინც ვერ ვიცლი!
ვატყობ რომა ვართ ჩვენ დაზაკულნი,
შემობურვილნი რუხი ნისლებით,
ყურში ჩამესმის შენთან მაყრული –
დამმინებელი ჩემი ღირსების!
სხვის ჩანგზე გაკრთნენ შენი სიმები,
სხვის სახლში ისმის შენი არია,
განყვეტილია ყველა იმედი, –
იმ სიყვარულმა სული დალია!
მარტის თვის დღენიც კი არ იცვლება –
იმ ერთ დღეს შენ რომ იცვალე ფერი,
თუ წრფელი ტრფობა გარდაიცვლება –
კვლავ მემუქრება დღე ბედისწერის?!
იქნებ რაც მოხდა – იყო სიზმარი
და არც ღირს მასზე ნერვების მოშლა,
ნახე? ორივე, ჩვენი მიზანი,
დღეს რა საოცარ სიცხადით მოსჩანს!

უკუღმართობა ტიალ ბედისა

დღეს ქაოსადქმნილ ეზოს და ერდოს
მწვანე სამშვენი შევწოდა ერთ დროს!
ფუტკარს ისევდნენ მარტსა და აპრილს –
ყვავილს თელავდნენ მუხლამდე დაყრილს!
საგაზაფხულო კამკამა სიო
ლურჯად ხატავდა მთელ კავკასიონს.
ჩახრიალებს შემოძახილით
წყურვილს იკლავდა სოფლის ნახირი.
მამლებს ყივილს, კრიახს ქათმების
გადასდიოდა დილის ნათელი!
კუნტრუმს ციკნების,
რწევას თუთების –
განცდა მოქქონდა უსათუთესი!
ბოსტანს ქოჩრავდა ქინძი და პიტნა,
ჭიშკართან ცეცხლი დაენტო ტიტას,
მწვანე ზღვას ელვა ედგა შორიდან,
კეხრონი ქარი ხრიდა კონინდარს.
სხვადასხვა ჯიშის მსხლები და ბლები –
თითქოს მღეროდნენ – შვეტქმნილი დები...
ნაბლის სამთვლიან პატარა ოდას
ზღვის მონაბერი სურნელი ჰქონდა!
სახლსუკან ნაშენ ქვის კოხტა მარანს
ქვევრებში ცლიდნენ ბუზლუნა წარაფს.
მოსიყვარულეთ, მეუღლეთ, ერთფერს –
ენტოთ კერია თომას და ესთერს.
ო, იმ კერიას დღესა ატყვია –
სტუმრისთვის მუდამ იყო კარლია!
თომა, ესთერი – ფუტკრის მიბაძვით –
მუდამ ფუსფუსით ვლიდნენ მიზნამდის!
ნებით უფლისა, რაც გაჩენილან
მათგან სიკეთეს უნდა ედინა!
ამიტომ ჩანდნენ ასე ლამაზნი
სტუმართმოყვრულად მკულნი – თავაზით!
ეზო-კარი კი მორცხვებული, –
ციდან სიკეთე შემხეფებული
იყო!... დღეს არ ჩანს იგი – კარავი,
მონანიების მწარე წამალი –
არ ჰყვის ღობის სარზე მამალი,
არ საქმიანობს ბაღში არავინ
და... გულს დარდი ჰკლავს დაუფარავი!
იავარქმნილა ირგვლივ ყოველი,
ჩემი მედინა, სვეტიცხოველი...
არ ვიცი ახლა რისთვის მოველი,
ან რად მაქვს თვალი ცრემლით სოველი?!
ჩემს ნასახლართან ვდგავარ ეულად,
ეზო ჯავ-ბარდად გადაქცეულა!

გაყინულია ბედის ტრიალი –
ხმა არვის მესმის ომახიანი,
ვდგევარ ამ ეზოს მეჭირისუფლე –
დანყველილი და ოხერტიალი!

რალას უშველის

ნასესხებ ჩემს წლებს ენურვის ვადა,
უნინდებურად სისხლს ვერ ვახურებ,
ვინც მთელი გრძობით მწამდა, მიყვარდა
აცდა ცხოვრების სლიპ საფეხურებს.
თვალში ლიბრივით ჩაფუძნდა ნისლი,
ძვირფასი ხმები მიემსხვრა შორეთს,
უცხო მუსიკის გნიასი ისმის,
რომელიც დააქვთ ზეცაში ქორებს!
გადაშენების დრო დადგა სწორედ,
ვეღარ არჩევენ ალთას და ბალთას;
ეჯიბრებიან ერთი მეორეს –
უდგას პარადი ავ თვალს და ართვალს!
ვის გააკვირვებ გრძობა შიშველით,
რადგან მიუშვეს პირუტყვის ვნება,
სინდის-ნამუსი ან ვის უშველის,
ადრე თუ იყო – ფიფქვით დნება!
გარდასახულა ჭაობზე თოვლად
ღირსება ქალთა და ნდობა კაცთა,
თვალდახელმუა დაქცეულს ყოვლად
სიბილწეს ბოლოს მაინც არ აცდა!
პლანეტა სადღაც მიექანება
უანგარიშოდ დაგემილ ჟინით,
რალა უშველის შეპყრობილს ჭირით,
ჩემი მამლური აქაქანება!

სანამ ცოცხალი ხარ

სიზმარ-ცხადიდან ვერ გამოვედი,
ვის გაუგია ფიქრის ხმა ნეტაე?!
ჩვენ ყველას ჩვენი
თან დაგვაქვს ბედი
და მას უჯრაში ვეღარ ჩაკეტავ!
მის ერთგულებას დაუსაბამოს,
რაც არ იღონო ვეღარ მოცდები,
ყოველ დილას და ყოველ საღამოს
რომც ალუვლინო უფალს ლოცვები,
ეგ რიტუალი მიტომ იწამე,
რომ დაემსგავსო მორწმუნე ცნობადს,
სანამ დადიხარ დედამიწაზე
უნდა გაგაჩანდეს კაცური გრძობა!
უნდა იცოდე მოსულს წამებით
წუთისოფელი მაინც გაგთელავს,
უნდა დაინვა დღის სიმწარეთი –
კუნაპეტ ღამის ციციანთელად!

თუ კი იტყვიან

სულ გაძარცვულა ხე სიციცხლისა –
წლები ცვივან,
ვითარც ფოთლები;
აღარ ბოვინობს ჟამი მოცლისა,
ვდგავარ უფსკრულთან, ღრმა შემფოთებით!
თუ ხსოვნას სტოვებ კაცურს და კეთილს
ესეც რაიმედ ხომ ჩაგეთვლება,
ჩვენ ხომ ვდარაჯობთ იმ ბოლო წერტილს
ზედ საფლავთან რომ გადიკვეთება!
ვისია ამ გზის სულისკვეთება,
ეს იქ, მთავრდება შენი დაცხრომა,
სულს დაამშვიდებს, დაშლის ფეთებას
თქმული ბაგიდან:
ღმერთმა აცხონოს!

სულ რეკვიმებს როგორ ვუსმინო
დარდის თონეში ვეღარ ვჩერდები,
საფლავს მიყრუებს პიანისიმო,
კუბოს ეცემა როცა ბელტები!
ეგაა ბოლო თავშესაფარი,
თუმცა ასეთის უფალი, ვის სწამს,
ქარმა განენა ჰუნეს ფაფარი –
მინის გაზრდილი ვიქცევით მიწად!

უფლის განგებით

ვეკიდე ერქვანს.
ვფერავდი სახნისს,
თანდათან გაგხდი წიგნის სარჩევი; –
მქონდა პანია ერდო და სხალი,
სტუმარ-მოყვარის კარგი გამრჩევი!
ყველაფერს უნდა გონით შეხება,
ზოგჯერ დათმობაც არის საჭირო,
ყველას თავის ელის შეხვედრა,
ცაში რომ ასე ფრთონავ, არწივო!
ჩახედე ერთი ჩახრამულ ხრამებს,
მენყერების და ზვავების დედას;
შენც ადექი და მზესავით ცხარედ
ამოანათე კოსმოსსა ზედა!

თუ უშველის – უფრო მოთა

იტანჯება, ცოდვით კუთავს,
არც სულია, არც ხორცია;
ჰგავს კოლხეთი დედა ფუტკარს
შვილები რო დახოცვია!
გაუბერნდა მზე და მთავრე,
ჩაქრობია ვარსკვლავები,
მოდით, მტრებო, გაიხარეთ,
ააჟღერეთ საკრავები.
მოშლილია ძმობა, დობა,
შაოსანი დედა მოსთქვამს,
სიძულვილი აბობოქრდა,
წყაროს წყალი აგვიქოთდა.
სამეგრელო თავის შვილებს
ნახეთ როგორ ნთქვას უღირსად,
ეჰ, მშობლებსაც, მთლად შემოიღებებს,
ჰკითხეთ ყოფა ან უღირს რად?
არაფრადო! ამ „არაფერს“
მთლად წარმართულ ტონით მორთავს,
ამ ყველაფერს თუ უშველის
ბაბუს ტრფობით ზრდილი მოთა!

ყიზლარი... ბაბრათიონის სახლმუხეუმი

ღანზე დამეცა ცრემლივით ცვარი,
ციურ ცთომილებს შენაჭიდები,
კასპიის ტრამალთ ეფინა ცხვარი
მაცნე დიდების ბაგრატიონების.
აქ ჩვენს ბინადართ უხსოვარ ჟამის
გულზე ეფინათ ცხვართა პეტელი –
დამაოსები მზაკვართა თვალის –
სიმდიდრე კავკასთ ტომთა – მეტყველი.
როდი სუფევდა ბორჯი იოლი –
ორმა ხანძრებით ზეცა შებოლა, –
აქ შთამომავალთ ბაგრატიონის
დღეს შევხვდებოდი როგორ მეგონა!
ყური დაუგდე – რეკავს ცის ზარი,
ხმათა ექო კი ბრუნავს წრიულად –
დიდ მხედართმთავარს თურმე ყიზლარი
გაღიასავით ემშობლიურა.
ყიზლარში დღესაც დგას მისი ოდა,
მაგრამ ერთს ვიტყვი –
ნუ მითვლით ცოდვად:
–ხარს არ ჰქონდაო, ბუზს კი გაჰქონდა –
აქ, პეტრეს სახლში რად მომაგონდა?!
არა და... ჩვენი სისხლი და ხორცი
იმ ნკვარამეთში სხვას რაზე ეყმო?
მამულუკების ცრემლიან ლოცვის
წუხილი ქართველთ ნუთუ არ გვეყო?!
ქართლის შვილები სხვებს ჰფენენ
მნათობს,
როცა ვართ თავად ნელგანყვეტილნი, –
ეს ყველაფერი მითხარით რატომ?
ტანჯვას როდემდე მრავალწერტილი?!
მამულო, შვილთა გაკლია ხელი,
უფალო, ჩემს ქართლს ფარი უფარე,
თვალზე დამეცა ცვარი თუ ცრემლი –
სევდის მაცნე და... ჭირისუფალი!

ნუგზარ ჯანაშვილი

ჩემი ოთიბილი ძმა

ზაალ ბოტკოველმა კაბინეტში წიგნი შემომიტანა. დავხედე „ნუგზარ ჯანაშვილი – მშვენიერი იაფო“... „ბატონ რევაზ მიშველაძეს, ჩემს ლიტერატურულ კუმირს, მასწავლებელს და დიდებულ ქართველს“ – ეწერა ტიტულზე.

კითხვას მაშინვე შევუდექი და ახლა, როცა ბოლო სტრიქონამდე გავედი, სიამოვნებით უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ ისრაელში, ამდროში ცხოვრობს მშვენიერი ქართველ-ებრაელი მწერალი, თავის აღმზრდელ საქართველოზე ძაფებით კი არა, უყანგავი ჯაჭვით მიბმული ნუგზარ ჯანაშვილი.

რამაზ მიშველაძე

ეს დაავადება წმინდა ადამიანურია.

მისი სიმპტომები მხოლოდ ჩვენი, ჰომოსაპიენსთა პრეროგატივაა და ჩვენსავე მოდუნებულ თუ მოჭარბებულ მგრძობელობაში ვლინდება.

ჩვილია იგი და ფაქიზი და მასაც გააჩნია ჭუპრობისა თუ ინკუბაციის პერიოდები – სენი უკურნებელია-მეთქი, ვერ დავიფინებ, თუმც, არც უმისობაა – სადღაც ნიჰილიზმსა და სენტიმენტალიზმს შუა გახირულა და იწვის და ტკრციალებს ჩუმად, თავისთვის. მეტნაკლებად ყველას გვდაღავს – მხოლოდ ბრიყვებსა და ბავშვებს აუვლის გვერდს – მარტო მათში ვერ პოულობს სანაყოფე ნიადაგს.

ეს – ნოსტალგიაა.

ნოსტალგია კი, მოგეხსენებათ, სულის შიმშილია, ფარული შიმშილი. ახლა დარწმუნებით თქმაც შეიძლება, რომ ამ სენის მოსათოკად ან მთლად ამოსაძირკვად ერთი სიცოცხლე არ იკმარებს და განა 10-15


წელი რა ვადაა, განსაკუთრებით ამ ვადაგადამტვრეული, ერთი ამოსუნთქვა წუთისოფლისათვის, ჯერაც არააბორიგენის გაფაციცებულობა რომ აღგებქდია ეიფორია და ილუზია ჩახატულ თვალეში და ბევრი რამ დღესაც არ გესმის და ისე მიემსხვრე რიფებს, ეგებ ბოლომდე ვერცრა გაიგო ამ ქვეყნის, თუმც სამშობლოში რომ ხარ, ანუ სახლში და რომ ეს ასეა და არა სხვაგვარად, არაა დიდად საპოლემიკო... და არც „სალაილაო“...

და შვილებს თუ შეეხიდე და შვილიშვილებს მაინც აუარა გვერდი ამ სენმა, ეგეც რამეა, თუ არადა, მოგჭრათ კბილი „პაპის ნაჭამმა ისრიმა“ და ეგაა...

ეს ეთიოპიელი კი, თუ ორას და „თანახს“ დავუჯერებთ, (და აბა, რას დავუჯეროთ, დალოცვილო, თუ თორა-თანახს არა) ჩემი ძმაა, დაკარგული ძმა, გაფანტულობის უღმობლობით და ისტორიული უკუღმართობით, ხვიჩა-გორასავით ერთიმეორეს დაცილებულნი და სასწაულით ისევე შეერთებულნი – და ეს სასწაული ჩვენი საერთო ძირი, ფუძე, ებრაელობა – იგივე თორა და თანახსია.

კანის ფერი და მენტალობა აქ

ვერ გამოდგება თეზის გასაბათილებლად – პირველი დედამიწის სარტყელ-განედზეა დამოკიდებული, ხოლო მენტალიტეტის



შესაცვლელად ორიოდ თაობაც იკმარებს. ეს უკანასკნელი კი ისტორიისათვის – ერთი ამოსუნთქვაა.

მოკლედ, შორი ექსკურსი და ღრმა ნიაღვრისა რომ არ გამომივიდეს, მოდით, დავუახლოვდები ჩემს სათქმელს და დავინყებ იმით, რომ თელ-ავივიდან ხოლონში ყოველდღიურად თითქმის ერთსა და იმავე დროს ვბრუნდები – ასე, 3 საათზე (პლუს-მინუს 5-10 წუთი) უკვე ჩემს შხუნაში ვარ. ხალხსა და ამბულანსს ერთდროულად მოუხმობს.

მე ვუახლოვდები ამ უნებლიე გულშემატკივარს და ეთიოპიელზე ვუთითებ: „შეეშვით, გიგერეთ, იგი უბრალოდ, მთვრალია“. მერე მე ძმას ვანჯღრევ, მიბლეთილ თვალეებს სულ ძალის-ძალათი ვახელინებ და დიდი ხნის უნახავივით ჩავძახით: – „მაშლომხა, ახი?...“ „ახი“ ოდნავ წამოიწევს, სახე არაფრისმთქმელი აქვს, თვალეები ნაკვერჩხლებივით უელავს, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, იმაზე სწრაფად და ყოჩაღადაც დგება, ვიდრე მოველი. გულშემატკივარი საბრი ქალი ბოხბოხი ბუტბუტით მაშინვე გვცილდება და ორთავე „ახის“

ერთ ბოძს გვატოვებს.

წამოდი, ჩრდილში დაჯექი, მზეზე შენი დგომა არ ვარგა, – ვეუბნები მობანცალეს და მზეერთ მივანიშნებ სკამისაკენ.

ჩემდა გასაკვირად, ეთიოპიელი მაშინვე მიჯერებს, სწრაფად სცილდება ბოძს და ფრატუნით მიდის სკამისაკენ. მეც, ძალაუნებურად, მივყვები და გვერდით ვუჯდები.

რატომ სვამ შუადღის გულზე, მზეში „ვოდაკა“ არ ვარგა – მეტი დამაჯერებლობისათვის ხელეებს ვიშველიებ და ვულიმი.

მე ჩემი სოფელი მინდა – დამახასიათებელი აქცენტითა და რალაცნაირი, ბოროტი მზეერთით მიმარცვლავს „ძმა“ და მოულოდნელად ხოშკაკლებივით ცრემლებს ყრის.

რა სოფელი? – გაკვირვებას ვერ ვფარავ მე.

ჩემი სოფელი, ეთიოპია – თვალეები უელავს და ხელს იქით იშვერს, საითაც, ალბათ, ეთიოპიაა და, საიდანაც, ერთ დროს, ჩამოაფრინეს.

დიდი ხანია აქ ცხოვრობ?

ხო. 15 წელი. იქ პატარა სახლი მქონდა, 4 შვილი მყავდა, და ყველანი ერთად ვცხოვრობდით. მეუღლე შარშან დამელუპა, შვილები მუშაობენ და მე მენატრება ჩემი სახლი, ჩემი სოფელი. იქ ერთი ხე დგას, მთელი სოფელი იმის გარშემო ვიკრიბებოდით და ათას რამეზე ვჭოჭობდით. აქ რა არის საინტერესო? მაღალი სახლები და ასფალტი?... – რა გქვია, ახი? რეუბენი.

რეუბენ, მე საქართველოდან ვარ, გსმენია საქართველო? არა? კარგი, მეც ებრაელი ვარ, მაშ, ჩვენ ძმები ვართ, ხომ ასეა? კი, ვიცი, ძმები ვართ.

მაშ, ნულარ დაღევ. აქ, ისრაელში, ცხელა, განყენს...


ისრაელში ცხელა? სიცხე შენ იქ უნდა გენახა... აქ ზოგჯერ აგვისტოშიც მცივა...

კარგი, რეუბენ, მექარება, კარგად იყავი, მე ბეცალელი მქვია.

იგი სკამზე დავტოვე, თავჩაქინდრული და ჩაფიქრებული. მას ეთიოპია ენატრება, თავისი სოფელი და მთელ სოფელში რომ დგას – ის ერთადერთი ხე!

მას არ ენატრება ქათქათა კავკასიონი, კრიალა ცა, არც ხეობები და ჩანჩქერები, არც ტყეები და მდინარეები... მას ენატრება ქვიშაში ამოსული მარტოხე და მე მესმის მისი, მესმის და მჯერა, რადგან ეს ხომ ის სენია, მხოლოდ ჩვენ, ადამიანებს რომ გვჭირს და ბრიყვებისა და ბავშვების გარდა – ყველას ერევა.

მას შემდეგ ჩვენ ხელის აწევით ვესალმებით – იგი ჩემი ეთიოპიელი ძმაა.



ლევან ბრეგვაძე – 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან სოლომონის ძე ბრეგვაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ლევან!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ქართული კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1974 წელს შედგა, როდესაც აღმანახ „კრიტიკაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „ერთი თარგმანის კურიოზები“. დებიუტი ფეხბედნიერი გამოდგა და ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ თქვენი სახით ქართულ სალიტერატურო კრიტიკას ღრმადერეუდირებული, ფართო თვალსაწიერის მქონე, უკომპრომისო შემოქმედი შეემატა, რომელიც უთუოდ იტყოდა თავის მართალსა და წონად სიტყვას.

მას შემდეგ ოცზე მეტი წიგნი გამოაქვეყნეთ, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი და დროთა განმავლობაში თანამედროვე ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცით.

თქვენი კრიტიკული წერილების წიგნი „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“ ყურადღებას კრიტიკული აზროვნების მაღალი დონით, გემოვნებით და, რაც უმთავრესია, ქართული მწერლობის ინტერესების დაცვით იპყრობს.

თქვენი თარგმანები რუსული, გერმანული და ფრანგული მწერლობის ცალკეული ნიმუშებისა უაღრესად საყურადღებოდ გვეჩვენება.

ოთხასამდე მეცნიერული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომის ავტორი ბრძანდებით. თქვენი ტექსტები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ბულგარულ და ოსურ ენებზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი არჩეული ხართ გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

წლების განმავლობაში ასწავლიდით ჟურნალისტიკას, ლიტერატურის თეორიასა და ისტორიას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ხართ. სხვადასხვა დროს მუშაობდით აღმანახ „კრიტიკის“ პასუხისმგებელ მდივნად, მთარგმნელობითი კოლეგიის უფროს რედაქტორად, გაზეთ „მამულის“ რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „მშობლიური კერის“ რედაქტორად, გაზეთ „ალტერნატივის“ რედაქტორის მოადგილედ, „კავკასიური სახლის“ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორად.

დაჯილდოებული ხართ „საბას“, „საგურამოს“ და ვაჟაფშაველას სახელობის პრემიებით, გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემიით სამეცნიერო თარგმანის დარგში.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდებულ შემოქმედს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ირმა კეკელიძე

სამოცდათვრამეტ წლამდე მიღწეული ჭარმაგი მამაკაცი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. არ უყვარდა დიდხანს ძლი, ზოზინი. გამოქვინისას, უთენია წამოდებოდა ხოლმე და ადრე გაზაფხულის სუსხიან, ცივ დილას ეზოში გამოვიდოდა. კოფრის უხემ ხელებს ცივი წყლით დაიხედა და ცას გახედავდა. იმ დილასაც ასე იყო. შინიდან გარეთ გამოსულმა ჩვეულებრივ ხელები დაიხილა და ცას გახედა. მთის მწვავე მზემ თვალბში შეანათა, მაგრამ მხოლოდ თვალბში კი არა, გულიც გაუნათა. იდგა უხმოდ, გარინდელი და ცას გაპყურებდა. შემდეგ მისმა მზერამ ირგვლივ დათოვლილ მთებისკენ გადაინაცვლა. ფეხებზე ვილაყის ხელის შეხება იგრძნო. დახედა და გაეღიმა. პატარა ნუცა ბაბუს ფეხებზე შემოსევდა. გაზაფხულის ნიაფი ნაბლისფერ გამაღვივებელ თემებს უნუნევდა. გოგო ცდილობდა ერთი ხელით თემბი მოეწესრიგებინა, მეორეთ კი ბაბუს ფეხს ჩასჭიდებოდა. თვალბში მოჭრულმა მოხუცს ახედა და ნკრიალა ხმით ნაუტყინა: „გრიმა ბაბუ, დედა შენზე გაბრაზებულია“. მალაღმა, ახოვანმა, თმაჭალარა მოხუცმა სქელი ჭალარა ნარბები შეკრა და ისე უპასუხა: „რაბომ, ჩემო პატარავ, რას ვაპყუნი?“ გოგომ ისევე ნატიტიანი, არც ისაუზმა, არც წაძალი დალია და ამ სუსხიან დილას გარეთ ისე გავარდა თბილი ქურქი არ ჩაიკვია. ბაბუს გაეღიმა. პატარა, თმაგანნილი გოგო ხელში აიყვანა და სიცივისგან განითლებულ ცხვირის წვერზე აკოცა. შემდეგ ცისკენ აიხედა და ნუცასაც ანიშნა ზემოთ აეხედა. „ხედავ, ბაბუ, მზე გამოვიდა, შიგ თვალბში გვანათებს. თვალბში გავლით გულამდე ჩადის და მთლიანად მალამოდ ედება მთელს ჩვენს სულს, გულსა და სხეულს. რომელი წამალი შეეძრება?! მზის სხივებზე უკეთესი წამალი არ არსებობს“. თვალბში მოჭრული პატარა გოგო უზაროდ იყურებოდა ხან ცისკენ, ხანაც ბაბუს ნაოჭებიან შუბლს მიმჭერებოდა. შემდეგ გრიმას გულმკერდზე მიაღო თავი და ისევე გაუმეორა: „დედა ძალიან გაბრაზდება თუ წამდვილ წამალს არ დალივ“. ნუცაკომ ბაბუს მკერდთან რაღაც სიმადრეზე შეხება იგრძნო. დაინტერესდა, ბაბუს გულის ჯიბე ხელით მოსინჯავდა მოხუცს პკითხა: „აქ რა გიდევეს, ბაბუ, რა არის ეს მაგარი?“... გრიმა შეილიძეს ნაბლისფერ განწილ თემებზე მოეფერა და ხმადაბლა უპასუხა: „ეს ოქროს ზოდია, ბაბუ... ოქროს ზოდი...“ ბავშვმა თვალბში შეხედა და ისევე მოუტყინა: „შენია ეს ოქრო, ბაბუ? აქ ინახავ?“... მოხუცმა ცას გახედა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა: „მხოლოდ ჩემი არა, ბაბუ... ჩენია, ყველასია!“ შემდეგ ხელში აყვანა შეილიძელთან ერთად სახლისკენ შებრუნდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „შინ შევიდეთ, ბაბუ, ჩემს თავს არ ვჩივი, შენ არ გამიცივდე. დედიკოსაც ძალიან ნუ გავაბრაზებთ...“

შუადღე უფრო მეტად მზიანი იყო. სვანეთის მთის ძირას, პატარა შეფენილ სოფელს, მთის მწვავე მზე დაუზოგავი სიუხვით აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს. სოფლის შარავზაზე გაყინულმა, გაქვევებული თოვლმა დნობა დაიწყო. მინა დარბილდა და ალაგ-ალაგ თოვლს ტალახი შეერია. სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ტალახარეულ თოვლში ტყაპატყუპით მიაბაჯრებდნენ და მობუზულუბის სასკოლო ჩანთებით ხელში ცდილობდნენ ჩქარი ნაბიჯებით ევლით და შინ დროულად მისულიყვნენ. სოფლის შუაგულში ძველიძველი ქვის პატარა სახლი იდგა, სადაც გრიმას უმცროს მეგობარს, გენოს ლექანი გაეხსნა... ლექანი არა მხოლოდ სურსათით ამარაგებდა სოფლის მოსახლეობას, არამედ სოფლის თავკაცთა შეკრებისა და შეზარხოშების ადგილიც გახლდათ... ფოლადის მძიმე, სვანური ლუმელი ლექანის კუთხეში იდგა, რომელიც საგულდაგულოდ შეწყობილ და ცეცხლმოკიდებულ შუბლს სასიამოვნო ტკაცატყუცი გაჰქონდა. იქვე მდგარ დაბალი მის მაგიდას სამი ახალგაზრდა შემოსხდომოდა. მე-ლექანი გენოს სტუმრებისთვის სახელდახელოდ გაემალა სუფრა. სახლში გამოცხვარი პური, სვანური სულგუნი, მსხვილად დაჭრილი მოხარშული ლორი, მონარშული კარტოფილი, ლუმელე გაფიცებული კუბდარი, მწვანე პომიდორის მწწნილი, სვანური მარილი და სვანური რახი, ერთი სიტყვით, რაც კი მოახერხა, ყველაფერი გულით მიართვა გზად მიმავალ და მის ლექანში შემოსვვით შემოსულ სტუმრებს.

მასპინძელს არც კი უკითხავს, ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ ან სად მიდიოდნენ. ლექანის კართან გაჩერებული შავი ჯიბიდან გადმოსული სამი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც ახლა მის ლექანში სახელდახელოდ გამაღვივებულ სუფრასთან ისხდნენ და მადიანად სადილობდნენ, კარგად შეზარხოშებული იყვნენ, როდესაც ლექანში ძლიერი ნაბიჯებით სოფლის ბრძენკაცმა შეაბიჯა. „მობრძანდი, გრიმა ბატონო, მობრძანდი! დაბრძანდი ლუმელთან, გათბი“, მიახაბა მედუნემ ახლადშემოსულს და პატარა ხის დაბალი სკამი მიანოდა ახლადშემოსრებულს. მოხუცმა დაბალ სკამზე საგულდაგულოდ მოიკალათა და გაციებული, გაყინული ხელები მოგიზგიზებ, გახურებულ ლუმელს მიუშვირა. გენო სტუმრებს მიუბრუნდა, ორივე ხელი გამალა და ხმამაღლა მიმართა: „ბედი გქონიათ, რომ გრიმამ შემოგისწროთ. ეს კაცი სოფლის თავკაცია, სოფლის ბურჯია, სოფლის ტვინია, სოფლის იმედა. შეზარხოშებულმა სამეულმა აღმაცურად შეხედეს „სოფლის ბურჯს“ და ერთმანეთს უღიშლამოდ გადახედეს. „დროზე უნდა გავაგრძელოთ გზა, თორემ დაგვიღამდება, სერიოზულ საქმეზე ვართ ჩამოსულები“, - წარმოსთქვა ტყავის შავ ქურთუკში გამოწყობილმა, თავგადაპარსულმა ახალგაზრდა მამაკაცმა და გენოს თვა-

ოქროს ზოდი

ლი თვალში გაუყარა. „მართალი ხარ, ბესო, დროა ნაიდეგი“, - დაეთანხმა გვერდით მჯდომი ნითური მეგობარი. „ანგარიში მოგვიტანეთ და წავედით, თორემ დაგვიღამდება წამდვილად“. აჰყვა მესამე, შევგერეშანი მამაკაცი. გენომ შუბლი შეკრა და მკაცრი ხმით უპასუხა: „რა ანგარიში, რას ბრძანებთ. ჩემი ოჯახიდან მოტანილი რაღაც ერთ-ორი ლუკმა მოგართვით გზად მიმავალ სტუმრებს და ამას როგორ განიგაროებთ. რომ დაგვაგვიანდათ, არც მაგაზე იდარდით. ლამის ისე გაგათეინებთ, რომ არ შევერცხვებით. ასე არ არის, გრიმა?!“ გრიმამ თანხმობის ნიშნად თავი უხმოდ დაუქნია და მის გვერდით მჯდომ შევგერეშანს მამაკაცს მხარზე ხელი დაადო.

შუბლმკერულ ახალგაზრდებს სახეზე ღიმილი მოერიათ და ერთმანეთს რაღაც ამოუცნობი იდუმალი შერით გადახედეს. „დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ დღის ბოლომდე ადგილზე უნდა ვიყოთ. მნიშვნელოვან საქმეზე მივდივართ, ძალიან რომ არ გვეჩქარებოდეს, თქვენთან ყოფნას რა სჯობს, ლამაც სიამოვნებით დაფრწობოდა“. - წარმოსთქვა თავგადაპარსულმა და რახით საეცე ქიქა მეგობრებს მოუჭახუნა... „წამდვილად ასეა, ისეთ სერიოზულ საქმეზე მივდივართ, რომ ციხის აღება, ჩვენს საქმესთან შედარებით, არაფერია!“ - წარმოსთქვა ნითურთ-მიანბ, რახით საეცე ქიქა ბოლომდე დაცალა და მაგიდაზე დაახეთქა. „გეთანხმები, ასეა, მაგრამ კაცი არ ვიყო, თუ ეს „ქაჯეთის ციხე“ არ ავიღო! დამიჯერო, ფრიდონ, ყველაფერი მაგრად იქნება!“ - მიმართა შევგერეშანმა ნითურს. „მჯერა შენი, მიხო, ჯიჯარო, მჯერა შენი იმედით წამოვედით. „ქაჯეთის ციხის“ აღებას გაუმარჯოს!“ - ხმამაღლა წარმოსთქვა ნითურმა და შევგერეშანს იმედის თვალით შეხედა.

ლუმელის გვერდით მჯდომმა გრიმამ ჭკალარა წვერზე ხელი ჩამოსცვა და ახალგაზრდებს შეხედა. შემდეგ ჭკაში რახი თვითონვე ჩაისხა და დინჯად წარმოსთქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენიც, სვანეთში. თქვენს შორის ერთ-ერთი ფრიდონიც ყოფილა. თან „ქაჯეთის ციხის“ აღებაც გადაგინჯვედითა. თქვენმა საუბარმა წურფინა ფრიდონის თათბირი გამახსენა „ქაჯეთის ციხის“ აღების წინ...“ მოხუცმა ლექანის კითხვა დაიწყო: ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი, სამუშაოთ დებონიანი,

მასწავლენ მათი საქმენი, მახლტუნვებდინ, მწვრთნიდინ, ასრე გავიდი საბუელსა, რომ თვალნი ვერ მომიკიდინ,

ვინცა მჭერტილნი ყმანვილნი, იგიცა ინატრიდინ...

გრიმამ რახით საეცე ქიქა პირთან მიიტანა და ცოტა მოსცვა. ახალგაზრდები მოხუცს მიმჭერებოდნენ. გენომ მათი მზერა იგრძნო და დინჯად მიმართა: „ეს გრიმა, სოფლის ბურჯი, სოფლის ბურჯი. მან შოთას „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის. ის ჩვენი განძა, ჩვენი სინდის-წამუსია. გაგმაროლათა, რომ თქვენ, შემთხვევითმა მგზავრებმა, იგი ვაი(ვა-ნი)“. გრიმა წამოდგა, მარცხენა ხელი გენოს მხარზე დაადო, მარჯვენა ხელით პირჯვარი გადაინერა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, ისე დაიწყო: „მე რა განძი ვარ, ერთი ბერწერი ბერიკაცი ვარ. ანკი ისეთი რა გამიკეთებია, რომ „სოფლის ტვინს“ მეძახი. ამ სოფლის განძი ჩვენ ყველანი ერთად ვართ... რაც შეეხება წამდვილ განძს ჩვენი ქვეყნისას, ჩვენი ერისას, მე მას ყოველთვის თან ვატარებ. ის ჩემი ოქროს ზოდი... აი, აქ, გულის ჯიბეში მიდევს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიციცხლებ, მაგრამ ჩემს ბაღიშს სულ იმას ვუშვებ, რომ ეს „ოქროს ზოდი“ ჩემი ჯიბიდან არ ამოიღონ, თან გამაბნაონ... იმ ქვერემ ნიხომ უკან კარებები გამოაღეს და მოხუცს მანქანის უკან საგარძელზე დაჯდომამი მიგმარენ. თვითონ კი აქეთ-იქით შემოუხსდნენ. ლექანში დარჩენილი დალილი გენო მანქანის უკან კარებების დახურვისა და ადგილმდებარე სწრაფად მონჯვების ძლიერმა ხმამ რაღაცნაირად შეაშფოთა და გამოაფხიზლა.“

სერი ნაიგრძელა და მზერა მის მარცხენა გულის-პირთან არსებულ ჯიბეს მიაპყრო. შემდეგ მზერას არ დასჯერდა და გრიმას ჯიბე მარჯვენა ხელის თითებით საგულდაგულოდ მოსინჯა. ხელში რაღაც მაგარი საგანი მართლაც იგრძნო. სახე შეეცვალა და მოხუცს ინტერესით ჩაეკითხა: „რა სთქვი, ბაბუ, ბაბუ, ჯიბით ოქროს ზოდს ატარებ?... თანაც ასე თავისუფლად, ასე სოფელ-სოფელ და არ გემინია?“ მოხუცმა ნითურს გაოცებულმა შეხედა და დინჯად უპასუხა: „რისი უნდა მეშინოდეს?... ამის გამგონ შევგერეშანმა მიხომ ხელი გეუბნებ და შეპყვირა: „ვაჰ, გენაცვალე, რა ვუპყვი ყოფილხარ! ოქროს ზოდი ჯიბეში გიდევეს და არაფრის გემინია? ბაბუ, ერთი ეს მოთხარი, ნაღდი ოქროა?“ მოხუცმა თავი დაუკრა და ისე უპასუხა: „დაიხ, ნაღდი ოქროს ზოდია, თანაც ბავალო, შუფასეგელი ბავალო!“. შემდეგ გენოს მიუბრუნდნენ და სამივემ კითხვების კორიანტელი დააყარეს: „ვინ არის ეს კაცი, რა გვარის კაცი, საიდან აქვს ახლა ოქროს ზოდი?... მთლიანი ჯიბე გამოტყინი აქვს ამხელა

ზოდით?... ნაღდი ბავალოა თუ ხუმრობს და გვა-სიაფანდებს?... დაუჯერებელია, საიდან ამ მოხუცს ეს ოქროს ზოდი?“ გენო ალაღად, ღიმილით სამთავეს თავს უქნევდა და ისე პასუხობდა: „კი, წამდვილად ოქროს ზოდი უდევს ჯიბეში. ხომ გეუბნებით, გრიმა ამ ოქროს ზოდის, ამ განძის გარეშე არსად არ მიდის. აკი თვითონაც ამბობს, გარდაცვალების შემდეგაც თან გამაყოლები, იქაც მჭარდები!“ პირზე ლუმორულმა, უკვე საკმაოდ შეზარხოშებულმა ბესომ თავი ველარ შეიკავა და ხმამაღლა შესძახა: „იქ რაღაში სჭირდება. სანამ ცოცხლები ვართ განძი მანამ უნდა მოვიხმაროთ“. ნითურმა ფრიდონმა არ დააყოვნა, ისე შეაგება: „თანაც ვინ განძი, ოქროს ზოდი!“ შევგერეშანმა მიხომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „ბავალოს ზოდი, ნაღდი ბავალოს!“ შემდეგ დაცლილი ჭიქები კვლავ რახით შეავსო და ფეხზე წამოდგარამა წარმოსთქვა: „პატრონო გრიმა, თქვენ გაგინარჯო! თქვენი სახით თუ ასეთ განძს წაგაწყობებოდით, რას ვიფიქრებდით?!“ დაფიქრებული გრიმა სამივეს აკვირდებოდა, შემდეგ თვალზე ცრემლიმდგარმა თავისი ჩვეული აბალი ხმით დინჯად დაიწყო:

მე სოფელმან მომამორვა უკეთესსა ჩემსა მხესა, ნუ ამოჭვრევი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა...

ამასობაში ლექანში ნუციკომ მოაკითხა გრიმას. მოხუცთან მივიდა, მუხლებზე ჩამოუჯდა და ყურში უჩურჩულა: „ბაბუ, წამოდი, დედა გაბრაზდება, წამალი გაქვს დასაღვეი, წნევაც უნდა გაგისწიოს“. მოხუცმა ბავშვს თითურ, ფუმფუმად ლოყაზე აკოცა და ხმადაბლა უთხრა: „შენ ნაღი, ბაბუ, და დედა დაანჯარე, მეც მალე მოვალ...“ ნუციკომ განანჯუნებულმა შეხედა გრიმას და უთხრა: „ბაბუ, ნუ დედა, დედა გაბრაზდება, ნამალი გაქვს დასაღვეი!“... გრიმამ შეილიძეს გაუღიმა და ანიშნა, რომ წასულიყო. განანჯუნებული ნუციკო ლექანიდან მარტო გოგელ და სირბილით დაადგა შინსაკენ მიმავალ თოვლწყაპიან გზას.

მოსაღამოვდა. გენოს ლექანში მჯდომ და მოქეფე სამ ახალგაზრდა მამაკაცს „ქაჯეთის ციხის“ აღებაც დაინჯებოდა და ალბათ ისიც აღარ ახსოვდათ, რისთვის ჩამოვიდნენ სვანეთში, რატომ გაჩერდნენ გენოს ლექანში, სად მიდიოდნენ და საიდან მოდიოდნენ. მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: „ოქროს ზოდი... საიდან, როგორ?... ნაღდი ბავალო!... საოცრება, რა უნდა გრიმას იღებში ოქროს ზოდს... გაგვიცა, სვანეთში მდინარეშიც პოულობენ ოქროს კენჭებს...“ - გაიძახოდნენ და თან შემოილი სახით და გადიდებული, ამღვრეული თვალებით გრიმას გულმკერდზე მარცხენა ჯიბეს მიმჭერებოდნენ.

გრიმამ იგრძნო, რომ სასმელი მოერია და ფეხზე წამოგდა. ახალგაზრდებს შეხედა და მორიდებით მიმართა: „შინ უნდა წავედო, შეილიძელი გავანანჯენე, შეილიც განიცდის, წამლის მიღება დაგავიანე“. ნითურმა ფრიდონმა გრიმას ხელი გადახვია და ჩურჩულით უთხრა: „ბაბუ, შენ აქედან მარტოს, ფეხით ვერ გაგიშვებ, ჩვენ მიგაცალიებთ სასლამდე...“ მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხმადაბლა უპასუხა: „კი ბატონო, თანახმა ვარ, ამაღამ ჩემი სტუმრები იქნებით, ხვალ გააგრძელოთ გზა, სადაც მიდინართ. მადლობა ვუთხრათ გენოს მასპინძლობისთვის, დროა ჩემს ოჯახში გადავიანაცვილი!“

მოხუცი და სტუმრები ფეხზე წამოდგნენ. გრიმა კიდევ ერთხელ მიუბრუნდა გენოს და მადლიერების ნიშნად თავი დაუხარა. შემდეგ ახალგაზრდებთან ერთად ლექანი დატოვა. ნითურმა ფრიდონმა შავი ჯიბის კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. ბესომ და მიხომ უკან კარებები გამოაღეს და მოხუცს მანქანის უკან საგარძელზე დაჯდომამი მიგმარენ. თვითონ კი აქეთ-იქით შემოუხსდნენ. ლექანში დარჩენილი დალილი გენო მანქანის უკან კარებების დახურვისა და ადგილმდებარე სწრაფად მონჯვების ძლიერმა ხმამ რაღაცნაირად შეაშფოთა და გამოაფხიზლა.

მოხუცმა თვალი გაახილა. უაზროდ აქეთ-იქით იცქირებოდა. „სად ვარ, რა მჭროს, ვისთან ვარ?... გაიფიქრა და თეთრხალათიან ახალგაზრდა გოგოს უაზროდ შეხედა. ახალგაზრდა მდამდე მოხუცს გაუღიმა და გაზარებულმა პკითხა: „გაიღვიძე, ბაბუ? კარგია გონს თუ მოხვედით!“

საავამყოფოს ფოიემი პატარა ნუცა და დედამისი ნინ და უკან გადი-გამოდიოდნენ. შენობის გარეთ თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო. მედუნევე გენო იქვე ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდარაიყო, თავი ხელებში ჩაერგო და ხმამაღლა მოსთქვამდა: „ჩემი ბრალია, მე დავლუკე. ვის ვენდე, ვის ვავატანე მოხუცი კაცი. ვის ვენდე, ვის?... ადამიანები მეგონენ, თურმე ყანალი ყოფილან. მეზობელი „ქაჯეთის ციხის“ ასაღებად მივდივართო. თურმე მათი ახლობლისთვის შეილს უცხოეთიდან ფული გამოუგზავნა სოფელში სახლის ასაშენებლად და მის გასაქურდად მიდიოდნენ. საცოდევ კაცს ნიღებებით შევარდინან, იმასაც წინააღმდეგობა გაუნეგია და მოუკლავთ ამ სულდაღებებს, ამ ტარტაროზებს. დღეს დილით მესტიის პოლიციამ ყველაფერი დაუფიქრათ... ნაძირლები!... მე ვარ მოსაკლავი, მე! როგორ ვანდე ჩვენი სოფლის იმედი ვილაც ნაძირლებს. იმ უწმინდურებს ეგონათ, რომ მოხუცს ჯიბეში მართლა ოქრო ჰქონდა“. გაოგებული მეზობლები გენოს მიმჭერებოდნენ. საკოლას დირექტორმა, ტანმორჩილმა, თმაჭალარა ქალბატონმა დოდომ თავი ვერ შეიკავა და გენოს ჩაეკითხა: „რას ამბობ, გენო, რა ოქროს ზოდი, გრიმა ხომ გულის ჯიბით მუდამ „ვეფხისტყაოსანს“ ატარებდა?... გენომ ქალს თვალცრემლიანმა ახედა და უპასუხა: „სწორედ მაგ განძზე ვლაპარაკობდი. გრიმა ხომ „ვეფხისტყაოსანს“ ოქროს ზოდს ეძახდა. ნაძირებმა მოხუცს თავში რაღაც ჩაასხდეს და ტყე-ღერემი გადაადგეს. ეგონათ ხელში ბავალო ოქრო შერჩებოდათ. გრიმას თავთან დაგდებული უპოვინა პოლიციას ის წინააღმდეგობა გადმომცეს“. გენომ სკოლის დირექტორს დასისხლისაგებული „ოქროს ზოდი“ მიანოდა და უხეში ხელებით ცრემლები მოიშინდა. ქალბატონმა დოდომ წინა ხელის კანკალით გადაშალა. სისხლის ლაქებს შორის გადარჩენილ სტროფები ქალმა მისდაუნებურად ხმამაღლა ამოკითხა:

მო, დაესხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი გვეცის შეუშრობელი: მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი! დავჯე, მუსთველმან ვაგვექციე, მისთვის გულდახვარობილი, აქამდე ამბათ ნათქვამი, ან მარგალიტი წყობილი. პატარა ნუციკო საავამყოფოს შენობიდან ეზოში შეძახილით გამოვარდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა: „ბაბუ გამოიღვიძა! ბაბუ თვალთ გაახილა!“ მთელი სოფელი გარს შემოერტყა პატარა გოგოს. ზოგი სახეგაღიშებული შესცქეროდა, ზოგსაც გული აჩუყებოდა და ცრემლს ვერ მალავდა. ნუციკო კი ხელებგამოლი იდგა და ყველმორებული ტიტრინებდა და არ ჩერდებოდა. „ბაბუმი ვაივებია თუ არა, ლექსად დაიწყო ლაპარაკი. „ვეფხისტყაოსანს“ ნაკითხვა დაიწყო... მოიცა... მოიცა... გამახსენდა, რაც თქვა: „ვა, სოფელი, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭკროა! ყოფილი შენი ნიღდობი წინადაგმა ჩემბრ ტირისა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა! მავრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“ სოფლის მოსახლეობა გაოგნებული ყურებზედა პატარა გოგოს, რომელმაც სულმოუთქმელად ჩამოარაკრა „ვეფხისტყაოსანს“ პატარა ეპიზოდი. გენომ თავი ვერ შეიკავა, ხელი ხელს შემოკრა და გაზარებულმა შესძახა: „ნახეთ, ამ პატარა კულდაჭამაც როგორ ზეპირად ჩამოარაკრა „ოქროს ზოდის“ სტროფები?!“ აქეთ-იქიდან შეძახილები გაისმა: „რა გასაკვირია, ვისი შეილიძელია არ იცით?!... ვსეც ბაბუის კვალზე დგას!“ ნუციკომ ყელი მოთრია და ლაპარაკი განაცემდა: „ბაბუმი მე და დედა ვერ გვიცნო. „ვეფხისტყაოსანი“ კი მაინც ახსოვს. ექიმმა სთხოვა, „გეთანდოლის ანდერძი“ წამიკითხო და ისიც უშეცდომოდ წაიკითხა. ექიმმა მე და დედა დაგვაშვებდა და იმედ კოვცა, რომ ცოტა დრო სჭირდება და თქვენც გიცნობს და ყველაფერს ძალიან კარგად გაისხენებსო...“

სამოცდათვრამეტე წლის მოხუცს არ უყვარდა დიდხანს წოლა და ზოზინი. უთენია აღრიანად წამოგდა და ზაფხულის ლამაზ, მზიან დილას აწნავნებულ ეზოში გამოვიდა. ხელები დაიხილა და ცას გახედა. მთის მზემ თვალბში შეანათა, მაგრამ მხოლოდ თვალბში კი არა, გულიც გაუნათა. იდგა გარინდებული და ცას გაპყურებდა. შემდეგ მისმა მზერამ ირგვლივ აწნავნებულ მთებისკენ გადაინაცვლა. ფეხებზე ხელის შეხება იგრძნო. გაიღიმა. პატარა, თმაგანნილი გოგო ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა. ნუციკომ ბაბუს გულის ჯიბეში მაგარი საგანი ხელი შეახო. მოხუცი შეილიძეს ნაბლისფერ, განწილ თემებზე მოეფერა და ხმადაბლა ყურში უჩურჩულა: „ეს ოქროს ზოდია, ბაბუ, ოქროს ზოდი!“ ბავშვმა თვალბში შეანათა და ისე უპასუხა: „შენს ოქროს ზოდს ისევე აქ ინახავ, ბაბუ?“ მოხუცმა ცას გახედა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უპასუხა: „მარტო ჩემი არა, ბაბუ, ჩენია, ყველასია!“ შემდეგ ხელში აყვანა პატარა ნუცა ერთად საცნობარ-რიალეულ ცას გახედა, მზის სხივებს კვლავ თვალებში შეხედა და გულში ჩახუტებულ შეილიძელს ნაბლისფერ თემებზე ეამბორო...“



ნათელა ირემაძე

ბამომიარეთ

სული გაყინა გაჭირვებამ ქარს გამაყოლა, მცირეა, მზეს სხივს ვთხოვ, იქნებ სულში ჩამომინათოს. მხარი მეცვალა, გზას ვერ ვიგნებ, მახრჩობს ტყვეობა, გთხოვთ, თუ მიდიხართ, წასაყვანად გამომიაროთ. ტკივილიანი დღენი თითქოს ჩამოვიშორე, მაგრამ დღეს და ხვალ ისევ ძველნი მეორდებიან. წინ მელობება ქარიშხალი თავანყვეტილი, არადა სახლში რახანია მელოდებიან.

წყენა ტკივილმა ამიფეთქა სულის წალკოტი, დაფლეთილ გულმა როგორ უძლოს ამდენ იარებს, სანამ ფეხზე ვარ და ჯერ სულით არ დავცემულვარ მზად ვარ გამოგყვეთ, გელოდებით გამომიარეთ.

ლოდინი

მე ჩემი ქვეყნის სევდის ნისლი ვარ, ქარიშხალი ვარ, ცრემლების ზღვა ვარ, სხვის სამშობლოში არ მაქვს სამშობლო, ჩემს სამშობლოშიც უცხო და სხვა ვარ. დღეს ჩემ სამშობლოს ნატვრაში ვდნები და ისევ მიწვეს დროსთან ლოდინი, აქ სხვის მამულში სახლი არ მიდგას, იქ ჩემ სახლში კი ჩემი ლოდინი. ჩაძირული ვარ სევდის მორევში და ვიარები ასე ეულად, მკლავს სანეტარო მამულზე დარდი ზედმინენით და გამორჩეულად. დრო ჩქარა მიქრის, მიქრის და ისევ შეშლილ გრიგალად უკანვე მოდის, ერთიიგივე დღე მეორდება და დასასრულიც არ უჩანს ლოდინს.

იქ ქუთაისში

ქუთათურის სიო დაქრის, სიცოცხლეა მისი ქროლვა, ქუთაისში ყვავილებს წვიმს, ყვავილების იცის თოვაც, თუ არ იცნობ ქუთათურებს, გაიცანით უკვე დროა, რესტორნებში შედით მხოლოდ, პურმარილი თავად მოვა,

მოგართმევენ წვერა თევზებს რაჭველების ხარისთვალის,

ხვანჭკარა და ოჯალეში ჩამოსხმული რქაში ხარის, ბახუსს უცბად მოგაფხიზლებთ მონაბერი ხვამლის ქარი, იქ სიცოცხლე წყაროდ მოსჩქევს, იქ ხომ უკვდავება არის.

იქ დავბრუნდები

იქ დავბრუნდები, სად სამოთხეა, სად ცხენისწყალი ლაჯანურს ერთვის, სადაც მზე ჩემთვის ამობრწყინდება, ცაც გაანვიმებს ვერცხლისფერს ჩემთვის. ტყე ისაუბრებს ფოთლების ენით, ტოტების რხევით იცეკვებს ჩქერი, იქ დავბრუნდები, სადაც ნიავი ტკბილ იავნანას იმღერებს ჩემთვის. სულს გადმოსკდება სიამის წყარო, ცრემლიან ტალღებს გაცდება გემი, იქ დავბრუნდები, სადაც ყოველთვის და სულ ყველაფერს ერქმევა ჩემი.

სოფლის ქანული

სოფელს რა უნდა შევმატო, წინასწარ მაქვს გამიზნული. უკან უნდა დავაბრუნო სოფლებიდან გახიზნული, ფარის ღელეზე გავმართო წისქვილი გაუქმებული, რომ ისევ დავაგემოვნო ღელის წისქვილზე დაფქული. ზანდურ თავთუხის ნათესაში იყოს გოგმანი მწყერების, ფაფარაყრილი აღმასას გული ვიჯერო ჭენებით. კალოზე ძნები ჩავშალო, კევერში შევაბა ნოთია, ჩემმონეული ხორბლითა თორნეს მივაკრა შოთია. მოუგურგულო ჭირნახულს ხოდაბუნებში მოფენილს, გაქალაქებულ სოფლებს ისევ მოუხმო სოფელში. წინ წაუძღვარო ცხვრის ფარას რქადაგრებილი ყოჩია, სოფელში ამოვიტყუო ქალაქს გაჭრილი გოჩია. დათუნია და ელდარო, წინო, ნატო და ოფელი, შრომის ფერხულში ჩავაბათ, გამოვაფხიზლოთ სოფელი. ისევ ავაესოთ დოვლათით შიო ბიძიას მარანი, კვამლი ცად იკლაკნებოდეს, რიჟრაჟს გვამცნობდეს მამალი.

მამაპაპურად გადავხნათ,სამგორის ზეფარ ფერდობი, კვლავ მოვამრავლოთ ნასპერში მსხვილფეხ პირუტყვთა ფერმეები.

ბაღ-ვენახებსაც მივხედოთ, იცის ხილ-ყურძენ-ნუგბარი, მრავლად გავმართოთ სკვები და მოვაშენოთ ფუტკარი. ცხვარ-ძროხა თავად დავწველო,ნამზადი ვიცი ბრწყინვალე,

დავბრუნდე სოფელს, მივხედო, თავს მონად რალად ვინ-ვალე.

ვაკე მამულებს მივხედო, სათიბებს, ლაშე ვაკესო, ხელი ჩავჭიდო სოფლებებს და სოფლის საქმე ვაკეთო.

მზის ამოსვლა ჩემ სოფელში,

მზე გორაზე ჩამომჯდარი მაშინ, საოცნებო ედემის ბაღს ჰგავდა, ოქროს ფერით აელეგებულ სხივით სოფლის დილას გვირგვინებით რთავდა. ირგვლივ იყო ბულბულების სტვენა წყნარი წვიმა აჟღერებდა აკორდს, მზე ცისარტყლად შემოჭრილი მკერდში მიფეთქებდა სულის ლამაზ წალკოტს. ვარდ ყვავილის სურნელებით მთვრალი ქუხქუხებდა ჩემი ეზოს ღელე, იმ ზღაპრული სილამაზის ტრფობით საალერსოდ მზეს უწვდიდი ხელებს. დედამინის ნაზი გული იქ ძგერდა მის თავზე კი იხსნებოდა ცისკარი, სამოთხისა ბალი მართლაც იქ იყო ჩემს ეზოდან შესასვლელი ჭიშკარი..

გუშინ ათენში მოთოვა

ვერ ვამგვანე ქართულ ფიფქსა, ტრფობით ვერ ჩამადნა ხელში ვერც მიმიხვდა გულის ფიქრსა. აბა, ლეჩხუმში რომ მოთოვს, კალანდობას ღამით გვიან. თოვლის ნამქერს სულ მოზარდნის თოვლის მოსვლაც იმას ჰქვია.

ნაფოტს

ალვის ხიდან ჩამონათალ ნაფოტს მიაცურებს ზღვის სიღრმეში წყალი, ეს ნაფოტი სამშობლოსას ჰგავსო, თქვა და გაჰყვა დასაჭერად ქალი.

ტალღა ტალღას შეახეთქა მძლავრად გრიგალივით მოვარდნილმა ქალმა, ეგეოსის აღელვებულ ტალღებს, გამოსტაცა ეს ნაფოტი ქალმა.

სამშობლოდან განდევნილებს, ორთავეს, უკულმართულ ბედქვემ ათანაბრებს, გულში იკრავს ნაფოტს და თან ქალი სატრფოსაგან ელის დანაბარებს.

ქარი ქრის და ნავსაყუდარს არხევს, სევდის ნისლი ჩასწოლია ამ პორტს, სამშობლოდან გარიყული ქალი, სატრფოს ნაცვლად უალერსებს ნაფოტს.

„ჩემი სიკეთის მზეც დასტურია...“



არის ერთი მშენიერი ქართული სიტყვა – „ღვთისნიერი“. ღვთისნიერიაო, იტყვიან კაცზე, როცა მისი გაცნობისას გახსენდება, ღმერთმა ადამიანი მსგავსად თავისად რომ შექმნა. მის გარეგნობას ღვთის იერი დაჰყვება, როგორც უფლის ნათითურები, მის ქცევას, სიკეთეს, ცხოვრების წესს კი – უფლის მადლი. მართლაც ღვთისნიერი კაცია ავთანდილ ბუთხაშვილი. არაგვის ხეობიდან პეტერბურგამდე ისე ატარა არსთა გამრიგემ, დიდი წინაპრის შეგონება ერთხელაც არ დავინწყებია: გახსოვდეს ვისი გორისა ხარო. სადაც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს სიყვარული დაჰქონდა გულით, თავისი ქცევით, ცხოვრების წესით ყველგან ქართველი კაცის ღირსებას იცავდა:

„კარგია ქვეყნად ყველას უყვარდე, თუნდა ბოროტს და თუნდა შურიანს, ყველამ გაიგოს, გვიან თუ ადრე ჩემი სიკეთის მზეც დასტურია“.

მზეც და მრავალი ის ადამიანიც, ვისთვისაც სიკეთის ხელი გაუნვდია ბატონ ავთანდილ ბუთხაშვილს.

ადამიანი გენეტიკური ყულაბაა, მის არსებაში წვეთ-ვეთობით გროვდება წინაპართა ყველა ღირსება და ნაკლი.

სწორედ წინაპართაგან ერგო ავთანდილ ბუთხაშვილს პოეტური ნიჭი, სულის სიმტკიცე, სიკეთის მადლი, ერთგულება და მოძმის გატანის უნარი.

ბატონი ავთანდილ ბუთხაშვილი პეტერბურგში რუსთაველის საზოგადოების ფილიალის თავმჯდომარეა. სწორედ მისი ძალისხმევით დაიდგა სანკტ-პეტერბურგში, რუსთაველის 56-ში შოთა რუსთაველის ძეგლი, რომლის ავტორიც ზურაბ წერეთელია. ასე გამოხატა ბატონმა ავთანდილმა სამშობლოსადმი სიყვარული და ქართული ბიბლიის - „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის 850 წლისთავისადმი თავყვანისცემა.

ძეგლის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ სკულპტურის ავტორი ზურაბ წერეთელი, სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორი გიორგი პოლტავჩენკო, თეატრისა და კინოს წამყვანი მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი და ბატონი ავთანდილ ბუთხაშვილი.

ავთანდილ ბუთხაშვილის თაოსნობით პეტერბურგში ქართული სკოლაც გაიხსნა. გრიგოლ ორბელიანი წერდა: „დიდებას ეძებ, სიკეთე ჰქმენი!“

ბატონი ავთანდილი დიდებისათვის არ იღწვის, მისი სიკეთე მისი გულის კარნახითაა. ფიქრობ, საქართველო უნდა იცნობდეს და თავყვანს სცემდეს ამ ღირსეულ მამულიშვილს, მამულიშვილს, რომელმაც თავისი პორტრეტი ასეთი სიტყვებით დახატა:

ყველგან ყველასთვის სიკეთე მსურდა, არ ვირჯებოდი არაკეთილად. სხვათა აზრების არ ვკრებდი ხურდას, რაც ბევრჯერ თქმულა და გაცვეთილა.

არ მოვევლინე მამულს დამლონედ, არ ვსულდგმულობდი ზნით შემზარავით, არა ვზოგავდი ენის ძალ-ლონეს, რომ სასიტყვეთში მენწა კარავი.

არ ავამჩატე არსების დონე, არ ვაწუხებდი ქვეყნად არავის, ვრისხავდი, ვინაც მონაჩმასს მონებს, ვინც არის ქვეყნის ამომზარავი.

მაცვალა გონაშვილი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე



კაკაბერ ხაჩიკიანი – 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი გურამ გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გამოსაქვეყნების მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გურამ!

ჩვენო კეთილო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან კოლორიტულ პიროვნებას, საინტერესო შემოქმედსა და მეცნიერს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

ფართო საზოგადოებრიობა თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ როგორც უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერს – სამთო ინჟინერიის სპეციალისტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, აკადემიურ დოქტორს. თქვენი სადინერტაციო ნაშრომი „მინისქვეშა გვირაბების გამაგრების პრობლემები ტყიბულის პირობებში“, როგორც შესაბამისი დარგის ექსპერტები ამტკიცებენ, მეტად საყურადღებო მონოგრაფიას წარმოადგენს.

ყოველივე ამის ფონზე ძალზე სასიამოვნოა, რომ პოეზიისთვისაც მოიცალეთ და არაერთი მშვენიერი ლექსით გაგვანებიერეთ. 2002 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. ასე იქცეით ევტერპეს მსახურად და ამის გამო არცერთი წუთით არ გინანიათ.

თქვენი ლექსები, რომლებმაც დაივიწყა ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „ლექსები“ და „სიყვარულის მომღერალი“ ქართველი მკითხველის ინტერესით სარგებლობს. თქვენ ხომ თქვენი ქვეყნის, თქვენი მშობლიური თბილისის ჭეშმარიტი ტრუბადური ბრძანდებით, იმ თბილისისა, ყველას რომ ხიბლავდა თავისი შუკებითა და ქუჩაბანდებით, თავისი გულითა და სტუმართმოყვარე ხალხით. თუმცა არც დღევანდელი ივანიჭი, სამოქალაქო თემიტიკა თქვენი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად იქცა. თამამად, პირუთვნელად, ვაჟკაცურად ამხელთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ასე გვიშლის ხელს ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში.

ჩინებული მუსიკოსი ბრძანდებით და საკუთარ ლექსებზე არაერთი მშვენიერი სიმღერა შექმენით.

დიდი სიყვარულით თარგმნეთ ალექსანდრე პუშკინის, ალექსანდრე ბლოკის, ფეოდორ ტიუტჩევის, ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები...

არჩეული ხართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად და იქაც ღირსეულად იღვწით მშობელი ქვეყნის სასიკეთოდ.

გვიხარია, რომ ასეთ ხანდაზმულ ასაკშიც ახერხებთ ახალგაზრდული სულისა და შემართების შენარჩუნებას.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მსცოვან შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქართლის მთის წინ, მტკვრის და არაგვის შესართავის სახით ასომთავრული ჯ არია გამოტოლი. დედა მდინარეს ალბათ მთის ძირას მდგარი კუროს ქანდაკიც (აკვატურ ზომორფული სიმბოლო genius loci). დასცქეროდა ზემოდან – ვინ იცის?

ასონიმნის ბუნებრიობა ისეთად თვალში საცემია, ვერსია, ვითომდა ჩვენი ანბანი ქრისტიანობის დროინდელია, – საჭიროა გაბათილდეს! ეჭვგარეშეა, ქართული ანბანი უკვე ფარნავაზამდე არსებობდა.

ეს ხარია. იგი ვერა ბარდაველიძემ ამოიცნო, ჩვენ სანაგვეზე მოვისროლეთ.

ქართული დამწერლობა ჩვენში ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოსვლამდე გაჩნდა. არც მესრობ – მამტოცი მოგველენია ინსტრუქტორად ქართული ანბანის შექმნის საქმეში. ამ ასოში უნდა იყოს თავმოყრილი დიდძალი ინფორმაცია. ეს არის საკვანძო ასო ნიშანი, რომელშიც ქართული ანბანის შექმნის უნიკალური ცნობაა გაცხადებული.

ამ აზრის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი იწყება. რატომ მაინც და მაინც და არა სხვა რომელიმე? უშუალოდაა დაკავშირებული ქართული ანბანის შექმნის საიდუმლოსთან? ის არ გაანალიზებულა კვლევის შესაბამისი მეთოდით და ახსნის ყველა შესაძლებელი მიმართულებით. სწორედ 34 – ე ხომ არ უნდა გაგვერიცხვიანებინა სხვებზე უწინარესად? ახლა მთავარია ეს დაწერილობა უნაყოფო და უნიადაგო არ აღმოჩნდეს მკვლევარისათვის. ასო – ნიშანი რაღა თქმა უნდა დაშიფრულ ინფორმაციას შეიცავს, რისი მოძებნაც ანბანის რიცხვულ სისტემის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. თითოეული ასო ხომ რიცხვსაც ასახიერებს. დავაკვირდეთ როგორც გემატრიას, ასევე იზოსეფიას ამ რიცხვისა.

ვინაშით, რა წერია აქ. პირველ ყოვლისა ვგონებ ისა სწერია, რომ „ხარმაზია“ და არა – „არმაზი“. ალბათ არც „ხარმაზია“ და აქ ორი მთავარისადმი მიძღვნაა, ერთი სავსე მთვარეა, მეორე სამი დღისა – ამაზე დავიდუმებ.

ხარის რიცხვი 34 და 7000 ია. ციფრები, რომელთაც აქ მოვიხმობ, წინა წერილშიც დავწერე. (Y)34 + (C)1 + (H)19 = 54. ეს სამკეცი საროსია. ნოლს დავურთავთ და 540 იქნება – ქართული წარმართული დასაბამი.

რომელ ქრონოლოგიურ მიჯნაზე და შესაბამის ისტორიულ გარემოცვაში აბინავებს ქართული ანბანის შექმნის ფაქტს კი არა – საქართველოს?

ხარი მთვარის ღვთაების ზომორფული სახეა. მთვარის ღვთაება ზეციური ხარია. მთვარეს ღმერთის თვისება ახასიათებს. იგი მართავს დედამიწის წყლებს, რაც დედამიწის თანამგზავრის ფუნქციაა.

აღნიშნული ცნობა ენიგმური ხასიათისაა და სახელწოდება შესაძლოა წართაულად ქართველთა ნამდვილ წარმომავლობაზეც მიუთითებდეს. მტკვარი ხარის მდინარეა, რაგვარ ნილოსია ხარის მდინარე. მაგრამ, ნილოსი ხარ აპისის მდინარე გახლავთ. აპისი ნილოსს განასახიერებს. რომელი ხარის მდინარეა მტკვარი? ლათინურად – (kiros), რუსულად – (кыра) ქართულად – (кыра?) სიტყვა „მტკვარი“ თითქოს



ხარი მონანილობს, ისევე, რანაირადაც ბგერათშეერთება ღმერთში „ერთია“ ჩაქსოვილი. თანხმოვნების ასეთი მჭიდრო განლაგება ქართულ ენაში ცნობილიცაა და ამოცნობილიც, თუ მათ შორის ხმოვანს ჩავურთავთ.

34 შუა გავეყოთ და 3 და 4 შევკრიბოდ. ქურუმთა სეპტიმალურ რიცხვს – 7-ს მივიღებთ.

არ ვითომ უძრავი ნიშანია, ხოლო, თუკი კარგად დავაკვირდებით, ბღვარისკენ მოძრაობს.

წან მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთსკენ.

ჩრად – მიისწრაფვის დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ის შესაძლოა ქვესკნული ასო ნიშანაცაა. წრე იკვრება.

მოდით ამ სახელწოდებების პირველი ასოები შევავჯამოთ. მაშ ასე: ბღვარი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. – ბად!

ბანი – 2-ია, ანი 1-ია, დონი 4 ია. საოცრება – 7 – ქურუმთა სეპტიმალური რიცხვი. ისევ 7 – თან შევჩერდით. ოლონდ, ვინცობაა ანი ამოვავდეთ და როგორც მთვარე ის განვაცალკევებთ, მაშინ ასე გამოვა: 2 + 4 = 6. თვლის შვილობით სისტემაში ექვსი ზღვრული სიდიდის რიცხვია. ერთ საგაზეთო გვერდზე ყველაფერს ვერ ჩავტევ. გარკვეული მეტაინფორმაცია უკვე შევიძინეთ. ახლა ვნახოთ, რა მარაგი ახლავს ამ ყოველივეს.

მარტო ზემოთმოტანილ, თუნდაც თვალსაჩინო მაგალითის მოხმობით ვერ დავკმაყოფილდებით, უაღრეს ინტერესს უნდა ინვესტავს, როგორი რიცხვით არის აღბეჭდილი ასომთავრულის ოცდამეთოთხმეტე ასო Y არი.

მრგვლოვანი ღრმად გააზრებული გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა.

სიმბოლო თავისი ხასიათით „ჰერმეტიკულია“. იმ მაგიურ კვადრატში ხომ არ ჩავწეროთ, რომელსაც მზესთან აკავშირებენ? რაოდენობის გამომხატველი მთელი ეს კონსტრუქცია ახალ თვისობრიობას შეიძენს.

ასოთა ამოსავალ გეომეტრიულ თარგად რიცხვულ კვადრატს ვიყენებ. „მისწორ კვადრატში“ შემდეგი ციფრები აიკრიბა: 7; 11; 12; 13.

7 + 11 + 12 + 13 = 43. – მზის საროსი.


34–ს შუა გავეყოთ, და ხარის რიცხვითი მნიშვნელობები ამრიგად შევაჯამოთ, გარნა მთვარე განვაცალკევებთ: 3 + 4 + 19 = 26. ამას დავმატებ პალეოგრაფიულ ერთეულთა რაოდენობა სიტყვისა – 3 და ჩვენ 29 ს მივიღებთ ეს იქნება მთვარის საროსი.

გვაქვს მთვარის საროსი და აგრეთვე მზისაც. ახლა ესენი შევაჯამოთ. 43 + 29 = 72. ეს პრეცესიაა.

პრეცესია საქართველოში ჯერ კიდევ 540 წელს იცოდნენ. ჰიპარქემ მოპარა ჩვენს ქურუმებს და მიითვისა.

ასო Y არში პრეცესია სხვაგვარადაც დავძებნე.

ხარ – 34 ია. ვინცობაა უკუღმა ნავი-



კითხავთ 43 იქნება. 43 მზის საროსია. ამას მივუმატოთ 19 (რაც რიცხვი) = 62. ვინდლო ამ რიცხვს დავამატებთ ხარის მე 10 რიგითობას მესამე 12 ეულისა, 72 დავვირჩება. აკი ვთქვით - 72 - პრეცესიაა.

ეს გამოსახულება ახალ თვისობრიობაში, შვიდეულების სხვა თანრიგშიც გადავიყვანოთ: 17; 24; 25 და 32 დავთვალო.

17 + 24 + 25 + 32 = 98 ს.

ციფრულ კვადრატში ჩახახული ჯარ გრაფიკა 98 კრებს. რაღა თქმა უნდა ამ რიცხვითაც მინიშნებაა გაცხადებული.

ასო - ნიშნის გრაფიკული რიცხვი მისსავე ანბანური სათვალავის ორ უმნიშვნელოვანეს: (ჟანისა) და („ე“ 8 - ეს) ციფრებს ასაჩინოებს. ჟანი – ჟანი. იგი, რიგით 18 – (90) – ე მზისა და მთვარის კვანძურ მოძრაობების თაობაზე მომთხრობია, მხოლოდ, „ე“ 8 - ე სხვა ინფორმაციასთან ერთად იმის მაუწყებელიცაა, უკეთუ რამდენი წლის განმავლობაში იქმნებოდა ქართული ანბანი. ჩვენ ხომ ეს ასო - ნიშანიც გადავავდეთ?!...

ყველა წარმართული და არცერთი ბიბლიური რიცხვი!

ასოების: ჯარისა და ღანის ლიგატურა კიდევ მეტი იმფორმაციის მომცემია.

ფარნავაზის საფლავიც ჯარმაზის მთაზე იქნება და საურმაგისაც; ფარნავაზ მეორისაც და ფარსმან ქველისაც; სხე-ფარნუგისაც, ასფარუგისაც და რაღა თქმა უნდა აბეშურასიც. უნდა ვიფიქროთ, ყველანი ესენი თავსა ზედა ქართლისასა დაფლეს. ვინ იცის რამდენჯერ ამოსულა აქ მირიან თავისი ახალგაზრდა მეუღლის დასატირებლად.

არის სხვაც: თუ ქართლის მთიდან შევხედავთ, არაგვის კუდი მარჯვნივ უხვევს – მარჯვნივ აღმოსავლეთია, ესეც მინიშნებაა. ასო ნიშანი ხარი (თუკი ნახევარწრისაგან კონსტრუირებულ, მარცხნივ და მარჯვნივ წარზიდულ ნალისებურ კორპუსში წრედ ქართლის მთას ჩავხახავთ) ძალზედ დაემგვანება პლუტონის სიმბოლოს. მართალია, პლუტოსი სხვაა, ის სიმდიდრის ღვთაებაა, თუმცაღა მათ არისტოფანე არ განასხვავებს როგორც ქრონოსს და კრონოსს. პლუტოს – სიმდიდრე. პლუტონ – ქვესკნელის ხთონური ღმერთი. იგივე – ჰადესი.

პლუტონი გახლავთ მმართველი პირველი სახლის – ვერძისა და ასევე ის ყველა ზოდიაქოს საწყისია. ვბრუნდებოდი ქართლის მთიდან და თითქოს ჩვენი წარმართი წინაპრების ხმა მომაცილებდა: ამაღამ მთვარე ვერძში შევალს! ვერძში შევალს! ვერძში შევალს!

ნოდარ შანიძე

მაია დიაკონიძე

ნეტავ რად უნდა მიყვარდე?!

ნეტავ, რად უნდა მიყვარდე, რად უნდა მკლავდე ფიქრებით, თუკი ჩვენ ერთად არა ვართ, არც მომავალში ვიქნებით, შენ ბოლოქარი ზვირთი ხარ, მე კი პანია ფრინველი, შენ მთაში მონავარდე ხარ, მე ვარდს შევყურებ იმედით, მაინც ერთურთის დარდი გვაქვს, თვალი შემომჩრა გიშერის, გულზე რომ სევდად მანეხხარ, ამ ლექსსაც მიტომ გიმღერო.

ნუნუ ლადიძე

იებს კონად შევკრებ....

ნუნუ ჩემი წერილები არ გინახავს დღემდე? შორით ნისლებს ვეფარები მტრედებს ვუვლი თეთრებს. იმედი მაქვს გზას ვასწავლი, გამოფრენას შენსკენ. იმედი მაქვს ახლა მაინც, ნაიკითხავ ჩემს ლექსს. ნაიკითხავ... გაილიმებ... მოიგონებ ძველ გზებს. გაზაფხულის მოსვლას ველი, იებს კონად შევკრებ. თმებს ჩავანწავ, მოვირთვები და გამოვწე შენსკენ. მწყინს, რომ ჩემი წერილები, არ გინახავს დღემდე. მწონს იყვარული ჰა-ჰა გასაოცარია მოწყენილი გაბრაზებული

მაია ხოფერია

„ბოზა ქალივით“

მაისის თვეში ნანვიმარ ქუჩას მივყვები ურჩი ბოზა ქალივით, ოცნებებს ისევ ჩემით ვალაგებ და ხელისგულზე ვანყო კარტივით... მე შენთან მინდა თეთრი ღამე და ოქროსფერ აისს შევხვდეთ ვნებებით, გაშლილი თმების სიმხურვალეში, სიყვარულს როგორ არ დანებდები... პერანგს შეგიხსნი თბილი თითებით და კოცნის გემოს არ დაგავიწყებ, ულამაზესი ნანატრი ღამე, ყველა საფიქრალს გადაგავიწყებს... მაისის თვეში ნანვიმარ ქუჩას, მივყვები ურჩი ბოზა ქალივით, ოცნებებს ისევ ჩემით ვალაგებ და ხელისგულზე ვანყო კარტივით...

ია ეკელი

წარსულის ლაბირინთებში

ფიქრით ავედი კავკასიონზე და მზეს შევეხე ჩემი ხელებით, მაშინ ვფიქრობდი გალაკტიონზე და გავუგზავნი გუნდი მერცხლების. დილას მიხაკი შემომეფეთა, ძებნა დავუწყე ისევ ტიცციანს, იმ ტრამალების მეგელი მეკვთა... მისი გზა-კვალი, არც მათ იციან. ჰაერს ვსუნთქავდი აბასთუმანის, ლადო ფერდობზე შემომდგარიყო, გადმოვიარე ქედი სურამის, სახელი მისი არ მომეკვდარიყო. აქ აყვავებულ ნუმის ყვავილებს, მირზა ბარათებს ჯარიდან წერდა და მის სულიერ გამოძახილებს, თითქოს სამყარო მალულად ჭვრეტდა. ტატოს მერანმა ჩამომიქროლა, სევდა შემომხვდა გზაზე ტერენტის, ამოიცნობდით ქართველ ემიგრანტს,

გერმანიაში შავი ბერეტი. „ხეკორძულასთან“ წყალი დავლიე, ისე მენიშნა სიტყვის ქარგები, „ხმა კატამონთან“ რომ შემომქმამა... ვიცი, არასდროს დავიკარგები. „სირაჯხანისკენ“ რუმებს ვეძებდი, თბილისის კარებს მტერი სტუმრობდა, ჩვენი წარსული სისხლით მორწყული... ო. რა ბოროტად ზოგჯერ ხუმრობდა. დავეხეტები ლაბირინთებში, მინდა ავწონო სიტყვის მარაგი... ნეტა იმ სახელს სამარადღამოდ, წლებს რომ დარჩება სიტყვით ნაქარგი. ფიქრით ვაბრუნებ ზეცის კაბადონს, შემომეჩვია შლეგი რითმები... ასე მგონია, უმისამართო და უბილეთო მგზავრი ვიქნები.

ლეილა იასეშვილი

ალარა აქვს ფასი

სიკეთე და სიყვარული, ჩვენი მოდგმის არსი, მთლად დავკარგეთ, ალარა აქვს, ალარა აქვს ფასი. შური, მტრობა ერთმანეთის, ბოროტების მსხვერპლი, ასე სწრაფად რად მრავლდება, თუკი ყველა ვებრძვით? ამოვადგოთ ფესვიანად, არ დავტოვოთ ხნულში, ბოროტება არავისთვის არ გავივლოთ გულში. და გაფიცვებთ ვინც კი ქვეყნად გირჩევიან ყველას, გაჭირვებულს რომ შეხვდებით, რომელიც გთხოვთ შევლას. არც დაფიქრდეთ, უსათუოდ, უნდა დაეხმაროთ, სიკეთე ჰქმენ, თუ სიკეთით გინდა გაიხარო. სიკეთე და სიყვარული, ჩვენი მოდგმის არსი, მთლად დავკარგეთ, ალარა აქვს, ალარა აქვს ფასი.

ქეთი ბეროშვილი

ფურცლებს ვისაუბრებ

მარტო ვზივარ და საიდუმლოს ვაბარებ ფურცლებს, აბობოქრებულ დარდებს კიდევ გავატან ღრუბლებს. ღრუბლებს, რომლებიც უფრო მეტად მიმძღავრებს სევდას და მთელ ქვეყანას იდუმალი სიმართლით ხედავს... მივალ, ავიღებ ამ ჩემს კალამს, ფურცლებს დავხვებ და წარსულისკენ კვლავ გახედვას ჩუმად გავბედავ... დაწერ ისე, რომ არ ერგუნოს ტკივილი არვის, რომ სილამაზით ყოფილიყო სადარი ქარვის... ეს ფურცლებია, რომ მიხმოებენ ისევ მალ-მალე, ამ ფურცლებს მიღმა უამრავი სევდა ჩავმალე.

ნაირა შერმაზანაშვილი

რუსთაველს

მაშინ იყალთოს ენთო ლამპარი და იღვრებოდა მაღლი მაცხოვრის. ამღვრეულიყო რუსთავის ზეცა, ზესკნელს გამოჩნდა უცხო ვარსკვლავი. თურმე ვარდებმაც გაიმაისეს, როს მოველინა ქვეყნად რუსთველი. ალბათ აწვიმდა კამკამა ციდან. რამ დაადუმა მემატინან? იერუსალიმს რომ დაიკრძალა, ვიცი, მისტირის სული მესხეთის. ხშირად თავმდაბალს თავის სიდიდით, გიჟივით დევნის ამაყი ბრიყვი, მაგრამ სანუთროს ლაბირინთებშიც ცხოველი გონი ნაკვალევს ტოვებს.

ცირა ნუცუბიძე

გვიყვარდეს

სიყვარულზე ძლიერი ქვეყნად არაფერია, იმას არ უცხოვრია, ვისაც არ ჰყვარებია. ნიჭი ერთგულებისა სიყვარულის ნდობაა, დიდი ბედნიერება და უზადო გრძნობაა.

სიყვარული ღმერთია და სიცოცხლის არსია, იგი სულის ძალაა და ღვთიური მაღლია. სიხარულს ვანიჭებდეთ, სიყვარულით ვტკებოდეთ, მის გარეშე ვერ ვძლებდეთ, უიმისოდ ვკვდებოდეთ.

მანანა ზაზიკაშვილი

მე და შენ

მე და შენ შევრჩით ერთმანეთს, სხვები მოდიან, მიდიან, ჩვენ შორის მტკიცე, ურყევი კვლავ მეგობრობის ხილია.

ორივეს გვიჭირს ცხოვრება, უერთმანეთოდ გაძლება, უარყოფითი გრძნობები აქამდე როგორ გაძლებდა?!

ორივე ამტანები ვართ, ორივე ნაღდი, დამთმობი, ბევრ ზამთრის ღამეს ჩემს ოთახს შენზე ფიქრებით ვათბობდი.

შენი ხმა ისე მამშვიდებს, როგორც ფრინველთა გალობა, ღმერთმა მაჩუქა ამქვეყნად შენგან ეს დიდი წყალობა.

მაია თომაშვილი




ლომისას ავალ კვლავ მიმელიან ჩემი მთები და ჩემი ნისლები. ღვთისა და სულთა ამ საუფლოში მე მარტოსული აღარ ვიქნები. აქ დამთავრდება ჩემი სიცოცხლე აქ დამთავრდება ჩემი გოდება. დავხუჭავ თვალებს და ჭიუხებში მე სიყმაწვილე მომაგონდება. აქ სილამაზეს სულ სხვა ფერი აქვს სულ სხვა ხიბლი და სულ სხვა სურნელი. თუ ისევ ბარში ჩამიყვანთ ძალით სენი შემხვდება განუკურნელი. აქ აღარ შფოთავს ჩემი გონება და არ მჭირდება მე სხვა ქონება.

მზია აკობია

კურთხეულია ნათელი თქვენი (ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს)

თქვენს ოჯახს ლამაზს სულით მხნეს, ამაყს. სავესეს ღირსებით, სულ აღმა მავალს. სულ აღმა მავალს ნიჭით, დიდებით! საქართველოსთვის ბრძოლით, იმედით! რითაც იხარებს, უფრო იმძღავრებს – –სამშობლო ჩვენი, – –ამერ–იმერი! კურთხეულია ნათელი თქვენი, ვერ უძლებს შიდა, – –გარეშე მტერიც! ჩვენი ერისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ბრძანდებით ბრძენი, თანაც სულგრძელი, პოეტად შობილ მგოსანს სახალხოს, რაც მამა ღმერთით, – –უფლით რაც ხდება, ბატონო ჯანსუღ; გულით გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანის აღდგენას.

წარდგენილია ნობელის პრემიაზე



რევაზ მიშველაძის რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „მაცნე“. 2016 წელი) წარდგენილია 2017 წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად.

რომანი უკვე გამოქვეყნდა რუსულ ენაზე და ამჟამად ითარგმნება ინგლისურ, შვედურ და სომხურ ენებზე.

დაჯილდოვდა!

პუშკინის პრემია ტრეზორში მიშველაძეს

2017 წლის 15 თებერვალს მოსკოვიდან ფრიად სასიამოვნო ცნობა მივიღეთ:

მსოფლიო ლიტერატურაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის, თვითმყოფადი და მაღალმხატვრული ნოველებით ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისთვის რევაზ მიშველაძეს მიენიჭა პუშკინის პრემია ოქროს მედლითურთ.



თამაზ ნივნიკაძე

ჩემო თამაზ, როგორც უნდა ვუბღვერდეთ ერთმანეთს, ისტორია მაინც თანამებრძოლებად გამოგვაცხადებს. სტუდენტებს ვუყვებო შენი უნაპირო სიმამაცის და შენი მაღალი იუმორის ამბებს. ვუყვები და თვითონ მიხარია, რომ ესოდენ საამაყო მეგობარი მყავხარ. აჰა, რომცდაათი წელი გასულა, რაც ზარებს ვარისხებთ ჩაძინებული საქართველოს გასაღვიძებლად. ჩავძახოთ მკითხველს: გაარჩიე მტერი მოყვრისგან, კაცი არაკაცისგან!

კინალამ გადაყვევით საქართველოს დაუძინებელი მტრის სააკაშვილის და მისი ხროვის წინააღმდეგ ბრძოლას, არც იმთავე ვუძღვრე, ვისაც ძალა არ ეყო, რომ სამართალს ბოლომდე ეჭამა პური. რას ვიზამთ, ბრძოლა ჩვენი ბედისწერა. სამოცდათხუთმეტს გილოცავ, ჩემო თამაზ. მე ეს მოსახვევი ორი წლის წინ გავიარე, სულ არაა საშიში. მაგრად დეე!

რევაზ მიშველაძე 28.11. 2017 წ.

ანაიდა ბოსტანჯიანი

გარდაიცვალა საქართველოში მცხოვრები სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანაიდა ხაჩატურის ასული ბოსტანჯიანი. ქართულ სამწერლო ოჯახს გამოაკლდა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული შემოქმედი, რომელსაც თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებასა და წინსვლაში. ანაიდა ბოსტანჯიანი დაიბადა 1949 წლის 10 სექტემბერს თბილისში. 1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 34-ე სომხური საშუალო სკოლა, ხოლო 1972 წელს - ლენინაკანის მ. ნალბანდიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს ანაიდა ბოსტანჯიანი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა გამომცემლობა „მერანის“ სომხური გამოცემების რედაქციის გამგედ. იყო ლიტერატურულ აღმზანს „ხიდი“ მთავარი რედაქტორი. ლექციებს კითხულობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1976 წელს დაამთავრა გორის მე-10 საშუალო სკოლა. 1980 წელს ჩაირიცხა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1985 წელს დაასრულა. გიორგი მახარობლიძე წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო გორის მოსწავლეთა სასახლის მეთოდისტი და შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი. 1989 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ლიტერატურული კონსულტანტი გახლდათ და დიდი ვატაცებით იღვწოდა მშობლიურ ქალაქში სულიერების ასაღორძინებლად. ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობოდა მის პოეტურ კრებულებს, თუნდაც ისეთებს, როგორცაა „არბილის გამოძახება“ და „პეპლები ფრთებზე“. ამ მომცრო კრებულებმა სრულად დაიტანა სამშობლოს ბედსა თუ უბედო-

ტიტუტში, იყო გაზეთ „ვრსატანის“ განყოფილების გამგე. ანაიდა ბოსტანჯიანი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა 1975 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლიტერატურული სტატია ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე. მას შემდეგ ანაიდა ბოსტანჯიანის ლექსები, მხატვრული ნარკვევები, თარგმანები, ლიტერატურული წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ და სომხურ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. ანაიდა ბოსტანჯიანის ლექსების კრებულები: „თუ გცოდნოდა“, „მხოლოდ შენთან“, „დაუმთავრებელი ლოდინი“ ღრმა ლირიზმითა და საოცარი სინაზით გამოირჩევა. მის კალამს ეკუთვნოდა არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე, მათ შორის: „იოსებ ნონემვილი და სომხეთი“, რევაზ მარგვიანი და სომხეთი“, წერუნ თორგომიანი და სომხეთი“... და მინც ანაიდა ბოსტანჯიანი, უპირველესად, მთარგმნელი იყო, ჩინებული მთარგმნელი, რომელმაც არაერთი ქართველი მწერალი აამტყვევლა სომხურ ენაზე. სწორედ მისი თარგმანებით გაეცნო სომხი მკითხველი



თამაზ და ოთარ ჭილაძეების, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირჯიბის, თინა დონაშვილის, რევაზ მიშველაძის, გურამ დონაშვილის, ხუტა ბერუღავას, ლეილა მესხის, გურამ ოდიშორიას, ირაკლი სამსონიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს. ანაიდა ბოსტანჯიანი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. მინიჭებული ჰქონდა ვაჟა ფშაველას სახელობის პრემია. ქართული კულტურის დესპანის საპატიო ნიშნად, მოეწიეს ხორენაცის სახელობის მედალი. ქართველ მწერლებს დიდხანს ემასხორებათ ანაიდა ბოსტანჯიანი, დიდებული ქალბატონი, შემოქმედი და მოღვაწე. საქართველოს მწერალთა კავშირი

გიორგი მახარობლიძე



საქართველოს მწერალთა კავშირმა მტკიცებულა დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი გიორგი შოთას ძე მახარობლიძე. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ღირსებით, პატიოსნებით, ნიჭიერებით გამოჩენილი შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პოეზიით ცხოვრობდა, პოეზიით სუნთქავდა და მუდამ სათნოებისა და კეთილშობილების მშვენიერ მაგალითს წარმოადგენდა... გიორგი მახარობლიძე დაიბადა 1960 წლის 18 თებერვალს თბი-

ლისში. 1976 წელს დაამთავრა გორის მე-10 საშუალო სკოლა. 1980 წელს ჩაირიცხა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1985 წელს დაასრულა. გიორგი მახარობლიძე წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო გორის მოსწავლეთა სასახლის მეთოდისტი და შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი. 1989 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ლიტერატურული კონსულტანტი გახლდათ და დიდი ვატაცებით იღვწოდა მშობლიურ ქალაქში სულიერების ასაღორძინებლად. ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობოდა მის პოეტურ კრებულებს, თუნდაც ისეთებს, როგორცაა „არბილის გამოძახება“ და „პეპლები ფრთებზე“. ამ მომცრო კრებულებმა სრულად დაიტანა სამშობლოს ბედსა თუ უბედო-

ბაზე ღრმად დაფიქრებული პოეტის სულიერი ლაღადისი, რომელიც გრძობდა, რომ მის სათაყვანებელ სამშობლოში ბარბაბს დროება დგებოდა და მისი სიცოცხლე უფარსკვლავეო ღამეების ცისფერ სევდად იქცა, გეორგიანელების სამშობლოში გაუთინსდევდა და მეზურეს ექებდა, რომ მათთან ამოეთქვა საკუთარი ხეამილი. ნიშანდობლივია, რომ მისი შემოქმედებითი ღვა და რუდუ-

ნება ნიკო სამადაშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა, საყდრის ჩიტებს რომ უძღვნიდა თავის უმშვენიერეს ლექსებს. ქართველ მწერლებს დიდხანს ემასხორებათ გიორგი მახარობლიძე, ჩვენი ნაცრისფერი ყოფის კიდევ ერთი უდაზამაულო მსხვერპლი. საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალ სიმონ შამფრიანის მეუღლე მარიამ ცაცანაშვილი-შამფრიანი და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს. საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძობენ პოეტ ეთერ აფაქიძეს ძმის არსენ აფაქიძის გარდაცვალების გამო.

ახალი წიგნები რედაქტორები: პროფ. რევაზ მიშველაძე პროფ. ტიტე მოსია რეცენზენტები: ნომადი ბართაია, მურმან თავდშვილი საბა მეტრეველი პროექტის ავტორი: გური ოტობაია რედაქტორები: აკად. როინ მეტრეველი აკად. ავთანდილ არაბული აკად აპოლონ სილაგაძე